

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

თამარ ქარაია

მეხსიერების პოლიტიკა თანამედროვე საქართველოში

(საბჭოთა წარსულის გააზრება გარდების რევოლუციის შემდეგ)

დისერტაცია

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომი შესრულებულია ივ. ჯავახიშვილის სახ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

ხელმძღვანელი: მალხაზ მაცაბერიძე

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი



თბილისი 2015

სარჩევი

შესავალი.....	5
კვლევის დიზაინი, მეთოდოლოგია და სტრუქტურა	12
თავი 1. მეხსიერების პოლიტიკის კვლევაში არსებული კონცეპტუალური მიღები	23
§1.1 მეხსიერების ანალიზის დონეები.....	26
§1.2 მეხსიერების ტრანსფორმაცია ინდივიდუალურიდან სოციეტალურ კონტექსტში.....	31
§1.3 მეხსიერების განზომილების ცვლილება სოციეტალურიდან პოლიტიკურ კონტექსტში....	41
§1.4 მეხსიერება და გარდამავალი საზოგადოებები.....	50
თავი II. მეხსიერების პოლიტიკის ძირითადი ტენდენციები პოსტსაბჭოთა საქართველოში.....	53
§2.1 წარსულის გადაფასება და აღმოჩენა	56
§ 2.1.1 საბჭოთა წარსულის გადაფასება ინსტიტუციონალურ დონეზე.....	60
§2.2 დეკომუნიზაციის და ლუსტრაციის საკითხი პოსტსაბჭოთა საქართველოში.....	63
თავი III . მეხსიერების პოლიტიკის მარკერები „გარდების რევოლუციის“ საწყის ეტაპზე.....	72
§ 3. 1 ახალი სახელმწიფოს მშენებლობა იდენტობის ტრანსფორმაციის გზით.....	74
§ 3.2 საგარეო პოლიტიკა, როგორც მეხსიერების პოლიტიკის მარკერი	82
თავი IV. საბჭოთა ოკუპაცია, როგორც მეხსიერების „პროექტი“	87
§ 4.1 ოკუპაციის მუზეუმი, როგორც მეხსიერების ადგილი	92
თავი V. ლუსტრაცია, როგორც მანიპულაციის იარაღი	101
§5.1 არასრული საარქივო მონაცემების საკითხი	102

§ 5.2 ლუსტრაციის კანონპროექტები.....	104
თავი VI სტალინის საკითხი პოლიტიკურ დისკურსში	116
§ 6.1 საბჭოთა მონუმენტური ძეგლები.....	117
§6.2. ფაშიზმზე გამარჯვების დღე 9 მაისი თუ 8 მაისი.....	128
§6.3. წარსულის ფალსიფიკაციასთან ბრძოლა რუსეთის ფედრაციაში	133
§6.3.1 საბჭოთა ისტორიის სადათ საკითხები	141
§6.3.2 საბჭოთა წარულის აღქმა და ისტორიის სახელმძღვანელოების საკითხი რუსეთის ფედერაციაში	143
§6.4. საქართველოს ისტორიული სინამდვილის დამდგენი კომისია	145
დასკვნა.....	149
გამოყენებული ლიტერატურა.....	157

შესავალი

„საქართველო აგრძელებს თავის დიდ ისტორიულ სვლას თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ. ეს არის წელგამართული და ამაყი სვლა. ჩვენი ნაბიჯი გამყარებულია წინაპრების თავდადებითა და ახალი საქართველოს ენერგით, ისტორიული პასუხისმგებლობითა და მომავლის რწმენით“ (სააკაშვილი, ქ. 20.01.2008). ეს სიტყვა მიხეილ სააკაშვილმა 2008 წელს ინაუგურაციაზე წარმოთქვა და მასში საქართველოს გმირული წარსულით სიამაყე, წინაპართა წინაშე პასუხისმგებლობა და მომავლის გამოწვევის იდეა გააერთიანა. აღნიშნული გამოსვლა ისტორიის გამოყენების და კოლექტიური მეხსიერების კონსტიტუციურების მცდელობის მაგალითია და ასახავს მეხსიერების პოლიტიკის ძირითად ტენდენციებს გარდების რეგოლუციის შემდგომ საქართველოში.

ისტორიის, როგორც პოლიტიკის რესურსის გამოყენება არაერთ საუკუნეს ითვლის. დროთა განმავლობაში გაფართოვდა და დაიხვეწა მისი გამოყენების სტრატეგია. შესაბამისად, გაძლიერდა მისი საზოგადოებაზე ზეგავლენაც. ის შესაძლებელია ჩართულ იქნას, როგორც მმართველი ძალის ლეგიტიმაციის, ან პირიქით - არალეგიტიმურად გამოცხადების, ერის კონსოლიდაციის, მტრის წინააღმდეგ ბრძოლის და სხვა არაერთ პროცესში. ხოლო პოლიტიკოსების ძალისხმევა, საზოგადოებაში შექმნან კონკრეტული მოვლენის ხსოვნა ან ხელი შეუწყონ მის დავიწყებას სხვადასხვა რესურსების გამოყენებით, არის ის ფენომენი, რასაც მეხსიერების პოლიტიკას უწოდებენ.

მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ ევროპის კონტინენტზე მეხსიერების პოლიტიკის, როგორც პოლიტიკის დღის წესრიგის უცვლელი ნაწილის გაჩენა 1945 წელს მეორე მსოფლიო ომის დასრულებას, ახალი მსოფლიო პოლიტიკური წესრიგის შექმნას და ევროპაში ახალი იდენტობების წარმოშობა-დამკვიდრებისათვის სახელმწიფოებს შორის გამართულ ბრძოლას უკავშირდება (Lebow R. 2006).

საბჭოთა კავშირის დაშლამ, ცივი ომის დასასრულმა, ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარმოშობამ და შედეგად, წარსულის ახლებურად გაზრების საჭიროებამ, ახალი სიცოცხლე შესძინა მეხსიერების კვლევებს, რომელიც აქტუალურობას არც მანამდე კარგავდა. პოსტსაბჭოთა სივრცის ახალმა დამოუკიდებელმა სახელმწიფოებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, შეეცადნენ რა საბჭოთა კავშირის კოლექტიური მეხსიერებისაგან განთავისუფლებას, უარი თქვეს ისტორიული ფაქტების შეფასების საბჭოურ ვერსიაზე და ახალი, ნაციონალური ინტერპრეტაცია შემოგვთავაზეს. რასაც თავისი ობიექტური მიზეზი ჰქონდა და არა მხოლოდ საბჭოთა კავშირისგან გამიჯვნის სურვილით იყო განპირობებული, არამედ ისტორიის ახალი ვერსია სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში მნიშვნელოვან დამხმარე რესურსად მოიაზრებოდა.

დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესი ერის კონსოლიდაციას, ახალი იდენტობის ფორმირებას და მოსახლეობაში დამოუკიდებელი სახელმწიფოს შესაბამისი განწყობების და ღირებულებების შექმნას მოითხოვდა. ამიტომ წარსულის შეფასება, უმეტეს შემთხვევაში, გადაფასება სახელმწიფოს მშენებლობის პროცესის შემადგენელი ნაწილი გახდა. ხშირ შემთხვევაში ასეთმა მცდელობამ დიდი ვნებათა-დელვა გამოიწვია. სხვადასხვა ქვეყანაში ზიარი ისტორიული გამოცდილების განსხვავებულმა ინტერპრეტაციამ ახალ კონფლიქტებს დაუდო სათავე და არა მხოლოდ საშინაო, არამედ საგარეო პოლიტიკის განმაპირობებელ (ან მხარდამჭერ) ფაქტორად იქცა, ალიანსების შექმნის და მოწინააღმდეგეთა ბლოკად დაყოფის მიზეზიც კი გახდა.

ყოფილი საბჭოთა სახელმწიფოების ძირითადი პრეტენზიები საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთის და მისი ისტორიული ნარატივის წინააღმდეგ იყო და დღესაც არის მიმართული. საბჭოთა კავშირის ისტორიის განსხვავებული ინტერპრეტაცია რუსეთის ფედერაციაში ისტორიის ფალსიფიკაციად აღიქმება. ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში საბჭოთა წარსულის „ფალსიფიკაციის აღკვეთა“ და ფაქტების განსხვავებული ინტერპრეტაციისადმი ბრძოლა ეროვნული ინტერესების დონეზე არის აყვანილი და უსაფრთხოების

კონცეფციაშიც კი ჰპოვა ასახვა (ინტერნებ წყარო № 26). გარდა ამისა, შეიქმნა კომისია, რომლის უმთავრესი მისია, საბჭოთა კავშირის ისტორიული ფაქტების ფალსიფიკაციის აღკვეთა იყო, რაც აისახა ყოფილი საბჭოთა სახელმწიფოების მეხსიერების პოლიტიკის ძირითად ტენდენციებზე.

საერთაშორისო ურთიერთობებში მეხსიერების პოლიტიკის ჩართვა და მისი მნიშვნელობის გაზრდა დიდწილად ზიარი ისტორიის განსხვავებული ვერსიებითაა განპირობებული. რაც ამ საკითხის აქტუალურობის ახსნას კიდევ ერთი განსხვავებული რაკურსით გვთავაზობს. სახელმწიფოთა ხელმძღვანელები სულ უფრო ხშირად განიხილავენ ისტორიას, როგორც პოლიტიკის დღისწერიგის ნაწილს, ცდილობენ რა ეროვნული იდენტობის რეკონსტრუირებას და საზოგადოების გაერთიანებას. ამ დროს აქცენტი კეთდება წარსულის დანაშაულებებზე და ბოდიშის მოხდის აუცილებლობაზე, რაც თავის მხრივ, გავლენას ახდენს საზოგადოებაში „ჩვენ“ და „სხვების“ აღქმაზე. ყოველივე ეს, არც თუ ისე იშვიათად, საგარეო პრიორიტეტების განსაზღვრისას მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება.

კითხვაზე, თუ კონკრეტულად რამ განაპირობა კოლექტიური მეხსიერების ფორმირების, ისტორიის გამოყენების და ამ ფენომენის პლევის ასეთი დიდი დაინტერესება, არაერთი პასუხი არსებობს. მრავალ ახსნას შორის დომინირებს თანამედროვე სახელმწიფოებში არსებული კომემორაციული ცერემონიების სიუხვე, განსხვავებული და ხშირ შემთხვევაში დაპირისპირებული მეხსიერებების არსებობა, რომელიც მსოფლიო ომებმა, დაპყრობილი სახელმწიფოების განთავისუფლებამ, საბჭოთა სივრცის რდვევამ და ა.შ წარმოშვა. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა მესვეურებმა გაანალიზეს, რომ სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში წარსულის მაგალითების გამოყენებას შეუძლია საზოგადოების კონსოლიდაცია, საერთო მიზნისათვის დარაზმვა. შედეგად წარმოშვა ე.წ. „მეხსიერების ბუმი“ (Winter, J. 2000), ან “მეხსიერების ინდუსტრია“ (Rosenfeld, G.S.

2003. p.123)¹ როდესაც ისტორიული პერსონაჟების, მოვლენების შეფასება, მემორალიზაცია ან დავიწყება საზოგადოებათა დამახასიათებელი ნიშანი გახდა.

მაიკლ კამენნმა (Kammen, M. 1991) გამოყო რამდენიმე მიზეზი, რითაც შეეცადა აეხსნა მეხსიერების კვლევების პოპულარობის განმაპირობებელი მიზეზი აშშ-ის მაგალითზე. ესენია დღესასწაულები, რომელიც ქვეყანაში აღინიშნება 1980 წლის შემდეგ, მულტიკულტურალიზმი, პოლოკოსტის უარყოფა, მეხსიერება ვიეტნამის ომის შესახებ, „მეხსიერების ინდუსტრიის“ გამოჩენა², და ცივი ომის დასასრული³. ჩამონათვალი უჩვენებს, რომ ამ ფენომენის მხოლოდ ერთი მიზეზით ახსნა რთულია. როგორც ერლი აღნიშნავს, ამ კრიტერიუმების მხოლოდ ნაწილი შეიძლება შეესაბამებოდეს მაგალითად თანამედროვე გერმანიას, ან ამერიკას და, რომ თითოეულ კულტურას და თითოეულ საზოგადოებას შესაძლებელია მოეძებნოს საკუთარი ახსნა მეხსიერებით დაინტერესების ((Erll, Ansgar, Young, & (Ed), 2008 p.5), ან როგორც მას უწოდებენ „მეხსიერების ბუმის“.

ერლი საუბრობს, რომ მეხსიერებამ გადალახა სახელმწიფოთა საზღვრები, გასცდა საგარეო პოლიტიკას და გლობალურ ფენომენს წარმოადგენს. იქმნება მეხსიერების კვლევის საერთაშორისო ქსელები, ტრავმული მეხსიერების შენახვის მიზნით აგროვებენ ე.წ. „ზეპირ ისტორიებს“, ხოლო ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ მეხსიერების გავლენის შესაძლებლობას ახალი სიცოცხლე შესძინა.

საქართველოს შემთხვევევაში კოლექტიური მეხსიერება ერთ-ერთი აქტუალური თემაა, რამდენადაც ისტორიულ მოვლენებს პოლიტიკურ დისკურსში

¹ იხ. Kammen, M. 1991. HuysSEN, A. 1995. Barkan, E. 2000. Rosenberg, E. 2003

² ტერმინი „მეხსიერების ინდუსტრია“ პირველად გამოიყენა მაიკლ კამენმა (Kammen M. 1991 p.3), როდესაც შეეხო პოლოკოსტის კომემორაციის პოლიტიკას ისრაელში, ხოლო ამ ტერმინის უფრო აქტიური გამოყენება დაკავშირებულია გ. როზენფელდის სახელთან (Rosenfeld G. 2009 pp.122-158)

³ ელიდა ასმანი მეხსიერების ბუმის უმთავრეს მიუზეზად ცივი ომის დასასრულს, როგორც „დიდი ნარატივის“ მსხვევას მიიჩნევს, რამაც შექმნა ერთგვარი ჩარჩო წარსულის ინტერპრეტირების და ამავე დროს მომავლის განსაზღვრისათვის (Assman, 2009 p. 210).

მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. გმირებს, მოდალატებს, წარსული დიდების და ძნელბედობის დღეებს მუდმივად ახსენებენ საზოგადოებას, რასაც ზოგ შემთხვევაში სისტემური ხასიათი აქვს, და გვაძლევს საშუალებას ვიმსჯელოთ მეხსიერების პოლიტიკის ხასიათზე. საქართველოში მეხსიერების, როგორც პოლიტიკის დღის წესრიგის ნაწილის, გამოყენებისადმი ინტერესის ზრდა შეიმჩნევა 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ. მართალია, XX საუკუნის 80-90-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლის და დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, გარკვეული ძვრები შეიმჩნეოდა საბჭოთა წარსულის გააზრების კუთხით, მაგრამ ეს ძირითადად მკვლევართა საქმიანობასთან იყო დაკავშირებული და სახელმწიფო პოლიტიკის ფორმით ნაკლები თანმიმდევრულობით ხორციელდებოდა. გადაფასება უფრო მეტად შეეხო კონკრეტულ ისტორიულ მოვლენებს, რომლებიც უშუალოდ საბჭოთა კავშირის როლის პოზიტიურად წარმოჩენას ცდილობდა (წითელი არმიის შემოსვლა, 30-იანი წლების რეპრესები, წინააღმდეგობის მოძრაობები და სხვ.) და უმთავრესად ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოში პპოვა ასახვა. საზოგადოების კოლექტიური მეხსიერების ფორმირების საკითხით ამ პერიოდში პოლიტიკოსები ნაკლებად ინტერესდებოდნენ.

გამონაკლისს წარმოადგენს ლუსტრაციისადმი დამოკიდებულების საკითხი, რადგან ის დამოუკიდებელი საქართველოს სამივე ხელისუფლების (ზ. გამსახურდია, ე. შევარდნაძე, მ. სააკაშვილი) პირობებში იყო აქტუალური და საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის ზეგავლენით იცვლიდა სიმწვავის ფაზებს. რაც შეეხება ისტორიული მოვლენების დამახსოვრება/დავიწყების სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე აყვანას, ის სწორედ ვარდების რევოლუციის შემდგომ პერიოდს უკავშირდება. შესაბამისად, პოსტ რევოლუციური ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკური კურსი შესაძლოა დეფინიცირებულ იქნას, როგორც „ოფიციალური მეხსიერების პოლიტიკა“, რომელიც შეიძლება შესაბამისად განვმარტოთ: ძალაუფლების გამოყენების საშუალებით წარსულის შესახებ კოლექტიური შეხედულების კონსტრუირება, რომელიც სელექციურია და

მოიცავს მხოლოდ იმ მოვლენებს, რომელიც ამ კონკრეტული შემთხვევისათვის არის ხელსაყრელი (Jovi, D. 2004). ეს ერთგვარი პოლიტიკური პროცესია “რომელსაც აქვს საწყისი, მაგრამ არა დასასრული” (Connerton 1989. p.14).

საქართველოში ვარდების რევოლუციის შემდეგ მეხსიერების პოლიტიკის გააქტიურების მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოს “ხელახლა” მშენებლობის მცდელობა, რომელსაც წინააღმდეგობათა გადალახვის გზაზე ერის კონსოლიდაცია და ლირებულებების გადაფასება/ ახლით ჩანაცვლება სჭირდებოდა. ამავე დროს ანგარიშგასაწევია, საქართველოში წარსულისადმი არსებული განსაკუთრებული დამოკიდებულება, რაც მრავალსაუკუნიანი ისტორიის ქონით არის განპირობებული (ინტერნეტ წყარო №13). ასევე უმნიშვნელოვანესი მაფორმირებელი ფაქტორია, შიში საბჭოთა კავშირის მემკიდრის, რუსეთის მხრიდან მომდინარე აგრესისა და გავლენის აქტორებისადმი. შესაბამისად, კოლექტიური მეხსიერება აღიქმება, როგორც ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი.

მოცემული ნაშრომი ორიენტირებულია შეისწავლოს მეხსიერების პოლიტიკა, რომელიც ვერტიკალურად, ზემოდან ქვემოთ (ხელისუფლებიდან საზოგადოებისკენ) არის მიმართული და როგორც წესი, მმართველთა მხრიდან მეხსიერების ოფიციალური პოლიტიკური კურსის შემუშავებას ემსახურება. ნაშრომი ფოკუსირებულია მეხსიერების პოლიტიკის, როგორც იდენტობის შემადგენელი და უმთავრესი მაფორმირებელი ნაწილის კვლევაზე. მოცემული კვლევის თეორიულ ჩარჩოს წარმოადგენს სოციალური კონსტრუქციონიზმის თეორია. ამ თეორიის თანახმად მეხსიერების პოლიტიკის ხასიათის და შინაარსის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი მმართველი ელიტაა. მას გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებაზე ზეგავლენის არაერთი მოსახდენად არაერთი ბერკეტის გამოყენება შეუძლია.

კვლევა ასევე მიზნად ისახავს 2003 წლიდან 2013 წლამდე მეხსიერების პოლიტიკის ძირითადი ტენდენციების გამოვლენას. არჩევანი განპირობებულია

აღნიშნული პერიოდის სპეციფიური ხასიათით, მეხსიერების ცვალებადი სტრატეგიებით და მისი მაფორმირებელი ფაქტორებით.

საქართველოში ვარდების რევოლუციის შემდეგ მეხსიერების პოლიტიკის ტენდენციების განალიზებისას შესაძლებელია გამოვყოთ ორი ძირითადი ეტაპი:

- პირველი გრძელდება ვარდების რევოლუციიდან ქართველების რუსეთის ფედერაციიდან დეპორტაციის დაწყებამდე (2006წ.), როდესაც ოფიციალური მეხსიერების პოლიტიკა ერის კონსოლიდაციას ახალი სიმბოლოების შექმნით და ძველის ჩანაცვლებით, გმირული წარსულის წინ წამოწევით და მათზე აპელირებით ცდილობდა (პრეზიდენტის მიერ დავით აღმაშენებლის საფლავზე ფიცის დადება, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ჩამოსვენება და ა.შ.)
- მეორე ეტაპი რუსეთთან ურთიერთობის დაძაბვასთან ერთად იწყება. ამ პროცესის პირველ ნაბიჯად ქართველების რუსეთის ფედერაციიდან დეპორტაცია შეიძლება ჩავთვალოთ. დაძაბულობა განსაკუთრებით 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შეიმჩნევა, როდესაც საბჭოთა წარსულის შეფასება და ტრაგიკული მოვლენების გახსენება ოფიციალური დისკურსის ნაწილი გახდა და შესაბამის აქტივობებშიც გამოიხატა, როგორიცაა საბჭოთა მონუმენტების და მემორიალების ჩამოხსნა/გადატანა, ქუჩების სახელწოდებების შეცვლის საკითხის დასმა, ისტორიული ჰერიტაჟის დამდგენი კომისიის დაარსება, თუ ლუსტრაციის შესახებ კანონის მიღება. აქტიურად დაიწყო ტერმინ „ოკუპაციის“ გამოყენება, რაც ადრეულ პერიოდში არ გვხვდება და რაც თავის მხრივ მეხსიერების პოლიტიკის ტენდენციების ცვლილებაზე მიუთითებს.

კვლევის დიზაინი, მეთოდოლოგია და სტრუქტურა

მეცნიერების პოლიტიკის ანალიზისას შესაძლებელია ორი დონის გამოყოფა, ოფიციალური და არაოფიციალური (Wood, A. 2013. p21). არაოფიციალური პოლიტიკური მეცნიერება ასახვას ხელოვნებაში, ახალ მედიაში, გაერთიანებებსა თუ აქციებში ჰქოვებს. ხოლო ოფიციალური პოლიტიკური მეცნიერება მოიცავს პოლიტიკურ აქტორებს და მათ მიღებულ გადაწყვეტილებებს. ასევე იმ დისკურსს, რომელიც იმპლემენტაციის პროცესში იქმნებოდა. სწორედ ეს უკანასკნელი იქნა არჩეული მოცემული კვლევის ანალიზის დონედ.

კვლევა მოიცავს მეცნიერების პოლიტიკას 2003 წლიდან (ვარდების რევოლუციიდან) 2012 წლის ოქტომბრამდე. საკვლევი პერიოდის განსაზღვრას საფუძვლად უდევს ვარდების რევოლუციის შედეგად მოსული ხელისუფლების გამოკვეთილი პოლიტიკური კურსი კოლექტიური მეცნიერების ფორმირების სფეროში. 2012 წლის ოქტომბრის შემდგომი პერიოდის ჩართვა ამ კვლევაში არასწორად ჩავთვალეთ, რადგანაც ახალი ხელისუფლების დისკურსი განსხვავებულია წინასგან და შესაბამისად, კვლევაში ახალი ინდიკატორების ჩართვას მოითხოვდა.

მოცემული კვლევა ორიენტირებულია, არა იმდენად ნარატივის შინარსობრივ ანალიზზე, არამედ მეცნიერების აღგილების შესწავლაზე. რა ინფორმაციის მატარებელია და რის შესახებ აპირებს ის ხსოვნის დამკვიდრებას. აღნიშნული ნაშრომი უფრო მეტად ცდილობს გაანალიზოს, თუ რამდენად ახდენდა დროის კონკრეტული მომენტში არსებული პოლიტიკური დღის წესრიგი ზეგავლენას მოვლენის ინტერპრეტაციის ცვლილებაზე, როგორ ხდება ამ ცვლილების მიწოდება საზოგადოებისთვის, ფაქტების გახსენებით თუ პირიქით - დავიწყებით, როგორ ჩნდებიან და იცვლებიან ისტორიული პერსონაჟები პოლიტიკურ დისკურსში.

კვლევის ამ ფოკუსზე არჩევანი განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებადი სტრატეგია

სიმბოლოებზე, მოვლენათა დამთხვევაზე აქცენტირება იყო, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად ავლებდნენ პარალელებს თანამედროვეობასა და წარსულს შორის. აღნიშნულმა ტენდენციამ ასახვა კომემორაციული რიტუალების რაოდენობაზეც ჰქოვა, რომელიც დროთა განმავლობაში იზრდებოდა მათი პოპულარიზაციის ზრდის კვალდაკვალ. 2006 წლიდან უფრო მეტად გააქტიურდა პოლიტიკური კურსი, რომელიც პიერ ნორას „მეხსიერების ადგილების“ შესახებ თეორიით შეძლება გაანალიზდეს (Nora, P. 1989). როდესაც არა მხოლოდ სახელისუფლებო დისკურსი შეიცვალა, არამედ ტრანსფორმირდა ერის აღქმა გმირიდან მსხვერპლამდე, რაც შესაბამისი შინაარსის მქონე მეხსიერების ადგილების შექმნაში აისახა.

მოცემული კვლევა ასევე აანალიზებს საბჭოთა კავშირის გააზრების პროცესის მეხსიერების პოლიტიკის შემადგენელ ნაწილად ქცევას და ცდილობს ახსნას მეხსიერების სტრატეგიათა ტრანსფორმაციის განმაპირობებლი მიზეზები. ასევე თუ როგორ ხდებოდა მეხსიერების პოლიტიკის დღის წესრიგის ფორმირება, რომელ კონკრეტულ ნაბიჯებში პოულობდა გამოხატულებას აღნიშნული პოლიტიკა და შექმნილი „პროდუქტი“ განკუთვნილი საშინაო თუ საგარეო მოხმარებისთვის, რომელი დირექტულებების დამკვიდრებას ემსახურებოდა, რა „ფარული“ გზავნილის გავრცელებას ისახავდა მიზნად ესა თუ ის „მეხსიერების ადგილი“.

შესაბამისად, ეს კვლევა სიახლეს წარმოადგენს, რამდენადაც მიზნად ისახავს მეხსიერების პოლიტიკა გაანალიზოს საქართვლოსთვის ახალი, თუმცა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისათვის აპრობირებული რაკუსით, როგორც ახალი იდენტობის მშენებლობის პროცესის შემადგენელი ნაწილი.

დასახული მიზნის განსახორციელებლად გამოიყო რამდენიმე ამოცანა. ემპირიული მასალის გაანალიზების საფუძველზე გავაანალიზეთ, თუ როგორი არის ახალი იდენტობის მახასიათებლები; რა ტიპის გადაწყვეტილებებზე ასახა მეხსიერების პოლიტიკა; რა ვითარება უძლოდა

წინ კონკრეტული მეხსიერების „ადგილების“ შექმნის ინიცირებას და შესაბამისი გადაწყვეტილების განხორციელებას, რა ქვეტებსტები იგულისხმებოდა მიღებულ გადაწყვეტილებაში.

პკლევის მიზნებიდან და ამოცანიდან გამომდინარე ობიექტად შევარჩიეთ სახელისუფლებო დისკურსის გაანალიზება. თუკი გამოვიყენებოთ პიერ ნორას „მეხსიერების ადგილების“ კატეგორიზაციას (Nora, P. 1989) ობიექტები შესაძლებელია დავაჯგუფოთ შემდეგნაირად:

- სიმბოლური: დღესასწაულები (კალენდარი), რიტუალები, იუბილეები;
- მონუმენტები: საფლავები, არქიტექტურული ძეგლები, ბიუსტები;
- ტიპოგრაფიული: არქივები, მუზეუმები;

ანალიზისას გამოვყოფთ ორ ასპექტს, პირველი, თავისუფლებისათვის ბრძოლის დიდი ტრადიციის „გახსენების“ ოფიციალური პოლიტიკა გამოიხატებოდა სიმბოლოების, ისტორიული პერსონაჟების, მონუმენტებისადმი დამოკიდებულებაში და ეროვნული დღესასწაულების აღნიშვნის საკითხში.

ხოლო „მსხვერპლის“ და „დამნაშავის“ კონცეფციის აგების შესახებ მონაცემების მოპოვება შევძელით გადაწყვეტილებებში: საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმის და ისტორიული ჭეშმარიტების დამდგენი კომისიის შექმნის, ასევე „თავისუფლების ქარტიის“ მიღებასა და საბჭოთა კავშირის დროინდელი საარქივო მასალების განსაჯაროების საკითხის ანალიზისას. გარდა ამისა, განხილულ იქნა მეორე მსოფლიო ომის (თუ დიდი სამამულო ომის) დასრულების თარიღის და საბჭოთა პერიოდის ძეგლების ჩამოგდების და ქუჩების სახელწოდებების ცვლილების საკითხები.

საქართველოში 2003 წლის შემდეგ მეხსიერების პოლიტიკის ანალიზისას კვლევის კოსტებები ჩამოვაყალიბეთ შემდეგნაირად:

1. როგორია მესიერების პოლიტიკის ფორმირების პროცესი, ზემოდან ქვემოთ მიმართული, თუ პირიქით;
2. მესიერების პოლიტიკის რომელი სტრატეგია დომინირებს საქართველოში;
3. რა გავლენას ახდენს პოლიტიკის დღის წერიგი მესიერების პოლიტიკის ფორმირებაზე;
4. რამდენად ხსნის სოციალური კონსტრუქციონიზმი საქართველოში მესიერების პოლიტიკის ტენდენციებს

შესაბამისად, პიპოვება შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

1. მესიერების პოლიტიკა საქართველოში აქვს ვერტიკალური ხასიათი და მიმართულია ზემოდან ქვემოთ;
2. მესიერების ძირითად მიმართულებას ჰქონის ნარტივის დანერგვის მცდელობა წარმოადგენს;
 - ✓ შერჩეული ჰქონის ნარტივი არ არის უცვლელი. მისი შინაარსი ცვალებადია და ახასიათებს ორი ძირითადი ტენდენცია. 2006 წლამდე ძირითადი ტენდენცია სიმბოლოებზე აქცენტირებაა, ხოლო 2007 წლიდან ერის, როგორც მსხვერპლის ნარტივის დამკვიდრებას ცდილობს;
3. მესიერების სტრატეგიის არჩევანზე ზეგავლენას ახდენს საგარეო პოლიტიკის ორიენტირები;
 - ✓ რესერის ფედერაციასთან ურთიერთობის ნორმალიზაციის მცდელობის კვალდაკვალ საქართველოს ხელისუფლება ირჩევს საზოგადოების კონსოლიდაციაზე გააკეთოს, მოქალაქეობის,

როგორც დირებულების დამკვიდრებისათვის აქტიურად გამოიყენება შესაბამისი მაგალითები წარსულიდან;

- ✓ რუსეთთან ურთიერთობის დაძაბვასთან ერთად აქტიურდება რუსეთ-საქართველოს ნებატიური ისტორიული გამოცდილება. ჩნდება მტრის კონცეფცია, რომელზედაც აეგება ახალი კოლექტიური მეხსიერება;
- ✓ მეხსიერების პოლიტიკა ხდება ევროპული საგარეო ორიენტაციის დამადასტურებელი ფაქტი, რისი დადასტურებაც ხდება მეხსიერების ადგილების აღმოსავლეთ ევროპული გამოცდილების გადმოტანით;

4. სოციალური კონსტრუქციონიზმი წარმოადგენს ძირითად ამხსნელს, რამდენადაც ამ თეორიის თანახმად საზოგადოება ერთგვარ კონსტრუქციას წარმოადგენს და შესაძლებელია ინტერპრეტაციების შესაბამისად შინაარსის ცვლილება, რაც დიდწილად დამოკიდებულია პოლიტიკის დღის წესრიგზე, ფაქტების შერჩევითობით არის განაპირობებული, რომ მეხსიერების კონსტრუირება და მართვა შეუძლიათ მათ, ვისაც საზოგადოების დარწმუნების მექანიზმებზე წვდომა ეხელმწიფება

მონაცემების მოპოვებისა და დამუშავებისათვის გამოიყენება პვლევის თვისებრივი მეთოდები. მეთოდის არჩევანი მისმა შინაარსზე და სიდრმისეული ანალიზზე ორიენტირებამ განაპირობა, რამდენადაც რატომ და როგორ კითხვებზე აქცენტირებით მკვლევარს საშუალებას აძლევს, გამოავლინოს განსხვავებული ინტერპრეტაციები საკვლევი მოვლენის შესახებ.

გამოვიყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიის რამდენიმე ტექნიკა, კერძოდ სიღრმისული ინტერვიუები საჯარო მოხელეებთან, პოლიტიკოსებთან და ექსპერტებთან, რომლებიც ჩართული იყვნენ

პოლიტიკის შემუშავების, გადაწყვეტილების მიღებისა და იმპლემენტაციის პროცესში, რამაც საშუალება მოგვცა საკვლევი საკითხის შესახებ დეტალური ინფორმაციის უშუალოდ პირველწყაროდან მიღების. ამასთანავე, აღნიშნული ტექნიკა გვაძლევს საშუალებას შევისწავლოთ რეალობის სხვადასხვა ვერსიები (Silverman 2006 pp. 127-133).¹ რეალობათა ვერსიები განსხვავდებიან გამოკითხული ინდივიდების ჩართულობის მაჩვენებლის, კონკრეტულ საკითხისადმი დამოკიდებულების მიხედვით (Mihelj, S. 2013. p. 62.) აღნიშნული კვლევის ფარგლებში 2013-2014 წწ.-ში ჩატარდა 9 სიღრმისეული ინტერვიუ, ისტორიკოსებთან და პოლიტიკოსებთან რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩართული საკვლევ პერიოდში საქართველოში მეხსიერების პოლიტიკის მიმართულებების ფორმირების პროცესში.

გამოვიყენეთ თვისებრივი კონტენტ ანალიზი, რომელიც ოფიციალური დოკუმენტების და ტექსტური, ვიდეო და აუდიო მასალების შინაარსის გაანალიზების საშუალებას იძლევა. კვლევის ფარგლებში დამუშავდა მიხეილ სააკაშვილის მიმართვები 2004-დან 2012 წლამდე. მონაცემთა დამუშავებისას აქცენტი გაკეთდა არა რაოდენობრივ მაჩვენებელზე, თუ რამდენად ხშირად მიმართავდა სააკაშვილი ისტორიული ფაქტებს, არამედ შევეცადეთ გამოგვეპვეთა ტენდენცია, თუ რა შინაარსის მატარებელი იყო ეს მიმართვები. რამდენად თანმიმდევრული იყო და როგორ ხდებოდა ერთი და იმავე მოვლენათა ინტერპრეტაციასხვადასხვა დროს. გარდა ამისა, შესწავლილ იქნა სხვადასხვა სახელმწიფო კომისიების მიერ მომზადებული ანგარიშები.

თვისებრივი კვლევა არის მეხსიერების კვლევებისას აპრობირებული მეთოდოლოგია, რამდენადაც ის საშუალებას იძლევა გაანალიზდეს მეხსიერების ოფიციალური პოლიტიკა და გაირკვეს თუ რა ტიპის იდენტობის ფორმირებისაკენ არის მიმართული ინსტიტუციონალური მეხსიერება. კვლევის

¹ იხ. Keightley, E. & Pickering, M. 2013

პროცესში ასევე გამოყენებულ იქნა არაერთი მეორადი წყარო, რომელიც საქართველოში მეხსიერების პოლიტიკის შესახებ იძლევა ინფორმაციას.

კვლევისას ანალიზის ერთულებით თვიციალური „მეხსიერების პროექტები“, რომლებიც ქმნიან და კრავენ საკვლევ პერიოდის საქართველოში კოლექტიური მეხსიერების შინაარსს. ესენია:

- “ახალი საქართველოს” და “ახალი ქართველის” კონცეფცია. ხელისუფლებამ განაცხადა, რომ სახელმწიფოს “ახლიდან” აშენებდა. ასევე ცდილობდა დაემტკიცებინა მოვლენის გარდაუვალობა და ისტორიული ფაქტების მოშველიებით გაეზარდა ამ კურსის ლეგიტიმიზაცია და საზოგადოების მხარდაჭერა.
- “რუსული ოკუპაცია”, როგორც პროექტი და “საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი”. ეს უკანასკნელი 2006 წელს შეიქმნა და შეიძლება ჩავთვალოთ ერთ-ერთ პირველ ნაბიჯად საბჭოთა წარსულის შეფასების პროცესში;
- ლუსტრაციის კანონის მიღების საკითხი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ერთ ერთ ყველაზე ხშირად განხილვად და მტკიცნეულ თემას წარმოადგენს, რამდენადაც ეხება საბჭოთა უშიშროების სამსახურებთან დაკავშირებული პირების შესახებ მონაცემების განსაჯაროების საკითხს. საკვლევ პერიოდში ამ თემამ ტრანსფორმაცია განიცადა და დაუკავშირდა მიმდინარე პოლიტიკას და კოლაბორაციონისტული მოძრაობებისგან პრევენციის საკითხს;
- სტალინი და მეორე მსოფლიო ომი. დამოკიდებულება სტალინის ქართული წარმოშობის, მისი მმართვის სტილის და მეორე მსოფლიო ომის ქართველი გმირებისადმი პოლიტიკის დღის წესრიგის, შესაბამისად, მეხსიერების სტრატეგიის შესაბამისად განიცდიდა ცვლილებას.

- ისტორიული სიმართლის დამდგენი კომისია. რუსეთთან ურთიერთობის 200 წლიანი გამოცდილების შეფასების მიზნით შეიქმნა კომისია რომლის ძირითადი მიზანი იყო შეესწავლა აღნიშნული პერიოდი და გამოექვეყნებინა დასკვნები;

სახელისუფლებო დისკურსის და აღნიშნული პროექტების გაანალიზების საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, თუ როგორი იყო 2003-2012 წწ.-ში საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული მეხსიერების ოფიციალური პოლიტიკის ძირითადი ტენდენციები და აღნიშნული პოლიტიკის განხორციელების სტრატეგიები.

ნაშრომი შედგება ექვსი თავისგან. კერძოდ:

პირველი თავი მოიცავს მეხსიერების პოლიტიკის კონცეპტუალურ მიღგომებს. კერძოდ, ახსნილია ინდივიდუალური და კოლექტიური მეხსიერების ურთიერთზეგავლენის მექანიზმები და მისი ინსტიტუციონალიზების შესაძლებლობები. გარდა ამისა, აღნიშნულ თავში თავში ნაჩვენებია თუ როგორ ხდება სოციალური მეხსიერება პოლიტიკური მეხსიერების ნაწილი და რა რესურსი და სტრატეგია შეძლება გამოიყენოს ხელისუფლებამ აღნიშნული მიზნის მისაღწევად.

მეორე თავში გაანალიზებულია მეხსიერების პოლიტიკის ძირითადი ტენდენციები საბჭოთა კავშირის დაშლიდან 2003 წლამდე. კერძოდ, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მცირებნიანი მმართველობის პროცესში გადადმული ნაბიჯები, რომელიც მიმართული იყო ახალი სახელმწიფოს გამიჯვნისკენ საბჭოთა კავშირისგან, როგორც საკანონმდებლო დონეზე ასევე არაფორმალურად. ასევე ხელისუფლებაში ედუარდ შევარდნაძის მოსკლის შემდეგ მეხსიერების პოლიტიკის მკვეთრი ცვლილება და რუსეთთან ლავირების პოლიტიკის ზეგავლენა ოფიციალურ ნარატივზე. მეორე თავი ერთგვარ საფუძველს ამზადებს კვლევის შემდეგი ნაწილისათვის, რადგანაც სწორედ სახელმწიფოებრიობის აღდგენის საწყის ეტაპზე დეკომუნიზაციისა და

ლუსტრაციის პოლიტიკის არგატარებას ემყარებოდა ის არგუმენტები, რომლებზედაც 2003-2012 წწ.-ში მეხსიერების პოლიტიკა იყო დაფუძნებული.

მეხამე თავი ეხება „ვარდების რევოლუციის“ შედეგად ხელისუფლებაში მოსული ძალის მიერ პირველ ეტაპზე (2003 -2005წ.) მეხსიერების პოლიტიკის ანალიზს. აქ შესაძლებელია გამოვყოთ რამდენიმე ძირითადი მიმართულება. კერძოდ, სიმბოლოებზე აქცენტირება, რაც ძველი სიმბოლოების ახლით ჩანაცვლებას გულისხმობს, ასევე ისტორიული გმირების გამოყენება საზოგადოების სულისკვეთების ასმაღლებლად და განწყობების შესაცვლელად და ასევე “ჩვენი დროის გმირების” გამოვლენა, რათა საზოგადოება დარწმუნებულიყო, რომ ცვლილების პროცესი დაიწყო და ამ მიმართულებით გარკვეული წარმატებები უკვე მიღწეულია.

ნაშრომის მეოთხე თავი ეხება რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის აღქმას და საზოგადოებისათვის ამ თემატიკის სხვადასხვა ჭრილში წარდგენას. აღნიშნული საკითხი რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის დაძაბვის შემდეგ გააქტიურდა იქცა “მეხსიერების პროექტად”, რომელიც მოიცავდა კომპლექსურ ღონისძიებებს, რათა საზოგადოების კოლექტიურ მეხსიერებაში ასახულიყო არა მხოლოდ საბჭოთა, არამედ მეფის რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის საკითხი. წარსულის გააზრების მნიშვნელობაზე საუბრისას, ხაზგასმული იყო ის ფაქტი, რომ კოლექტიური მეხსიერების შექმნა იყო ერთგვარი პრევენცია, რათა არ განმეორებულიყო წარსული შეცდომები.

ნაშრომის მეხუთე თავში გაანალიზებულია ყოფილი საბჭოთა კავშირის საიდუმლო სამსახურებთან დაკავშირებული პირების ლუსტრაციის საკითხი. ეს თემა XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ერთ-ერთ ყველაზე მწვავე და ამავე დროს, ხშირად მანიპულირებად საკითხს წარმოადგენს. ის როგორც წესი, პოლიტიკის დღის წესრიგში საგარეო პოლიტიკის, განსაკუთრებით, რუსეთის ფედერაციიდან მომდინარე იმპულსების გაძლიერების შესაბამისად აქტიურდებოდა.

ძებულებები თავი მოიცავს ხელისუფლების დამოკიდებულების გაანალიზებას სტალინის, საბჭოთა და განსაკუთრებით მეორ მსოფლიო ომის დროინდელი გმირებისა და მონუმენტებისადმი, რომლის ადგილი ოფიციალურ ნარატივში არ აღმოჩნდა. მიუხედავად ოფიციალური დისკურსისა, საზოგადოების ნაწილი მტკიცნებულად აღიქვამდა სახელმწიფოს მიერ ამ მიმართულებით გატარებულ პოლიტიკას. ამ თავში ასევე გაანალიზებულია ისტორიული სინამდვილის შემსწავლელი კომისიის მუშაობა, რომელიც 2010 წელს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა და მიზნად რუსეთის მიერ საქართველოს ორგზის ოკუპაციის შესახებ ჭეშმარიტი ისტორიის დაწერას ისახავდა. მსგავსი კომისიის შექმნა შესაძლებელია განხილულ იქნეს, როგორც მეხსიერების პოლიტიკის ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული სტრატეგია, რომლის საშუალებითაც ხდება პეგემონური ანუ ოფიციალური ისტორიის ინტერპრეტაციის დამკვიდრება.

კვლევის შედეგად შესაძლებელია დავასკვნათ, რომ:

ვარდების რევოლუციის შემდგომმა ხელისუფლებამ გაანალიზა, თუ რა მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენდა კოლექტიური მეხსიერების კონსტრუირება და გამოყენება. მითუმეტეს იმ ქვეყანაში, სადაც ისტორიისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება არსებობს და მუდმივად მასზე ხდება აპელირება. გარდა ამისა, მეხსიერების პოლიტიკა ამ პერიოდში არ ყოფილა თანმიმდევრული და მასზე საშინაო და საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები დიდ ზეგავლენას ახდენდა. საწყის ეტაპზე უმთავრესი იყო ძველი ხელისუფლებისაგან დისტანცირება და სახელმწიფოებრიობის მშენებლობის თავიდან დაწყება, რაც სწორედ სიმბოლოების ჩანაცვლებითა და ახალი სიმბოლოების შექმნით მოხერხდა, ამასთანავე, ქართველი ერის გამძლეობაზე აქცენტირება საზოგადოების გაერთიანებას ემსახურებოდა.

რუსეთთან ურთიერთობის დაძაბვის შემდეგ შეიცვალა მეხსიერების სტრატეგია და იგი მსხვერპლის პოზიციიდან წარსულის შეფასებას დაუკავშირდა. შეიქმნა

მთელი რიგი „მეხსიერების ადგილები“, რომელიც მიზანმიმართულად ამკვიდრებდა საზოგადოებაში ოკუპაციის თემას. ამასთანავე მეხსიერება აღქმული იქნა, როგორც უსაფრთხოების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, რომლის რეალურობის დადასტურება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მოშველიებით ხდებოდა.

ამასთანავე არ შემუშავებულა მეხსიერების პოლიტიკის ერთიანი კონცეფცია. გადაწყვეტილებები, ძირითადად, იმპილსურად მიიღებოდა და მას ცენტრალიზებული სასიათი ჰქონდა.

კვლევის მიზანი არ არის ისტორიული ჭეშმარიტების დადგენა, ან მართალი მხარის წარმოჩენა, არამედ ჩვენება იმისა, თუ როგორ ხდება მეხსიერების პოლიტიკის შემუშავება და რამდენადს ახდენს მასზე ზეგავლენას პოლიტიკური დღის წესრიგი. კვლევა ასევე არ მოიცავს ისტორიის სახელმძღვანელოების ანალიზს, რადგანაც ამ შემთხვევაში ეს გამოიწვევდა დამატებითი ცვლადების გაჩენას და შესაბამისად კვლევის სხვა მიმართულებით წარმართვას.

თავი 1. მეხსიერების პოლიტიკის კვლევაში არსებული კონცეპტუალური მიდგომები

სახელმწიფოს მშენებლობის და ერის იდენტობის განსაზღვრის პროცესში შესაძლებელია, რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ფაქტორის გამოყოფა. მათ შორის ერთ-ერთი ისტორიული მეხსიერებაა. მკვლევართა ნაწილის აზრით, „ცივი ომის“ შემდგომმა ეთნიკურმა კონფლიქტებმა აჩვენა, რომ პრობლემური მეხსიერების საკითხი დომინირებს ისეთ საზოგადოებაში, სადაც იდენტობის პრობლემა აქტუალურია¹ და ხელისუფლებას უწევს ამ მიმართულებით მიზანმიმართული პოლიტიკის განხორციელება.

ზემოთ აღნიშნული დაშვება შეესაბამება პოსტსაბჭოთა საზოგადოებებს, რომელთა იდენტობას საბჭოთა რეჟიმის მრავალწლიანმა მმართველობამ თავისი კვალი დაატყო.² ეროვნული ერთობის გასაგებად გამოვიყენებთ ენტონის სმიტის ცნებას „ეთნიკ“ -ს რომელიც ყალიბდება არა შთამომავლობის, არამედ განგრძნობითობის გრძნობით³, შესაბამისად „საურთო ისტორიული მეხსიერების გარეშე ვერ იარსებებს ეთნოსი, მეხსიერება მისი არსებობის გაგრძელების პირობაა“ (სმიტი ქ. 2008).

¹ Kansteiner, Megill, Olick, Robbins დაწვრილებით განიხილავენ იდენტობისა და მეხსიერების პოლიტიკის ურთიერთგავლენის საკითხს.

² ეს უმთავრესად გამოიხატებოდა საბჭოთა სისტემის მიერ “საბჭოთა ადამიანის” აღზრდის მცდელობაში.

³ აღნიშნული ცნებას იყენებს ინგლისელი სოციოლოგის ენტონი სმიტი. რომლის თანახმად, “ეთნიკ” იგივეა, რაც ეთნიკური ჯგუფი, მაგრამ ეთნიკ ჩვეულებრივ უფრო დიდ ერთობებს მოიხსენიებენ. ნაციისა და ეთნიკს მთავარი განმასხვავებელი ნიშანია ნაციის დამოკიდებულება პოლიტიკისადმი. ნაცია ფლობს, ან ისტრაფის სახელმწიფოებრიობის სტატუსის მიღებისაკენ. ეთნიკ კი ერთგვარ, წინა ფორმას წრმოადგენს, სადაც ერი პულტურულ ერთეულად აღიქმება.

ზემოთთქმულიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების მიმღებთა წინაშე დგება იმ საერთო მაკავშირებლების გააქტიურების საკითხი, რომელთაც საზოგადოებას, როგორც ერთობას სიცოცხლისუნარიანობა უნდა შესძინონ და საერთო მიზნის გარშემო გააერთიანონ.

მეხსიერების პოლიტიკა, მიუხედავად მეცნიერთა მხრიდან მისი შესწავლის დიდი ინტერესისა, მაინც განიცდის თეორიული საფუძვლების საგრძნობ სიმცირეს, რომელიც დღემდე შეუვსებელი რჩება (Erll, Ansgar, Young, & (Ed), 2008. p.3). ეს თავის მხრივ გავლენას ახდენს აღნიშნული თემატიკის თეორიული გაანალიზების პერსპექტივაზე (Shmidt, S. 2008).

მეხსიერების გაგების ტრადიციული მოდელები თრიენტირებული იყო, მეხსიერების, როგორც „საცავის“ გაგებაზე, სადაც თავს იყრიდა წარსულის „ხატები“. დროთა განმავლობაში, აღქმის მოდელების გადაფასებასთან ერთად, აქცენტი პროცესზე თრიენტირებულ მიდგომებზე გაკეთდა. ჭ. ოლიკის თანახმად, სოციალური მეხსიერების კვლევებში შესამჩნევია რამდენიმე თეორიული ჩარჩოს უპირატესობა. ესენია: ცოდნის სოციოლოგიისული გაგება; ასევე მანკეიმის მეცნიერების სოციოლოგია, რომელიც უფრო მეტად იდეოლოგიის პოლიტიკურ გაგებაზე არის თრიენტირებული და ერთი-ერთი ყველაზე გავრცელებული კი არის პ. ბერგერის და ო. ლუკმანის სოციალური კონსტრუქტორიზმის თეორია (Olick, J. 1998).

სოციალური კონსტრუქტორიზმის თანახმად, საზოგადოება არ არის ფიქსირებული რეალობა. ის ერთგვარ კონსტრუქციას წარმოადგენს. ყოველი კოლექტივი ხდება სოციალური არტეფაქტი, რომლის რეფაბრიკაცია და მობილიზაცია ძალაუფლების ზეგავლენის შედეგია. მეხსიერება არის კონსტრუირების შედეგი. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ინტერპეტაციების შესაბამისად შინაარსის ცვლილება, რაც დიდწილად დამოკიდებულია პოლიტიკის დღის წესრიგზე. ხელისუფლების წარმომადგენლებს ფაქტების შერჩევითობის გამოყენებით მეხსიერების

კონსტრუირება და მართვა შეუძლიათ, რადგანაც საზოგადოების დარწმუნების მექანიზმებზე წვდომა ხელეწიფებათ (Shmidt, S. 2008).

აღნიშნულის სწორად აღსაქმელად, პ. ბერგერის და თ. ლუკმანის აზრით, უნდა გავითვალისწინოთ რეალობის ობიექტური და სუბიექტური ასკექტები. ამისათვის, საზოგადოება უნდა აღვიქვათ, როგორც მიმდინარე დიალექტიკური პროცესი, რომელიც სამი ძირითადი სახით ვლინდება, ესენია: ექსტერნალიზაცია, ობიექტივაცია და ინტერნალიზაცია (Berger, P. L. Luckmann, T. 1967. p. 129).

ავტორთა თანახმად, არსებობს „ინსტიტუციონალიზებული სამყარო“. ინსტიტუციონალიზაცია ხდება მაშინ, როდესაც საზოგადოების წევრები იზიარებენ აქტივობებს. შედეგად ის ყალიბდება, როგორც ჩვეულება, რომელსაც უვალა მისდევს და დროთა განმავლობაში ცხოვრების ნაწილად იქცევა. ექსტერნალიზაცია, ეს არის პროცესი, როდესაც ინსტიტუციონალიზებული სამყარო უკვე არსებობს. ის „აქ არის“, ცხოვრების ნაწილია. მისი გაგება „შიგნიდან“ შეუძლებელია, ამისათვის საჭიროა რეალობიდან გასვლა. ობიექტივიზაციისას ადამიანის მიერ შექმნილი პროდუქტი (მოცემული ინსტიტუტი) აღიქმება, როგორც თავისთავად, შემქმნელებისაგან დამოუკიდებლად არსებული, რომელსაც ჰყავს მომხმარებლები. ინტერნალიზაცია, მოიცავს სოციალიზაციის ელემენტებს. ამ დროს ადამიანები ხდებიან აქტივობის ნაწილი და მასში პოულობენ საკუთარ მნიშვნელობას. ამ თეორიის გათვალისწინებით ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული „მეხსიერების მოდელები“ ხდება საზოგადოებისკოლექტიური მეხსიერების ნაწილი (ibd pp.129-130).

მოცემულ ნაშრომში თეორიული ასკექტების განხილვისას, გამოიყენება სამი ძირითადი მიმართულება, რომელიც ფართოდ გავრცელებულია კონცეპტუალური მიღების კვლევისას:

- პირველ ეტაპზე განხილულია კოლექტიური მეხსიერების კვლევის შესახებ არსებული კონცეფციები;
- მეორე ეტაპზე გაანალიზებულია, თუ როგორ ხდება კოლექტიური მეხსიერების ინსტიტუციონალიზაცია და შესაბამისად, როგორია მეხსიერების პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების პროცესი;
- მესამე ეტაპზე კი განიხილება თუ, როგორ ზეგავლენას ახდენს კოლექტიურ მეხსიერებაზე პოლიტიკის აქტორები და პირიქით; რომელ სტრატეგიებს მიმართავენ და რა კრიტერიუმების საშუალებით არის შესაძლებელი მათი გაზომვა¹.

§1.1 მეხსიერების ანალიზის დონეები

მეხსიერების პოლიტიკის კვლევისას, შესაძლებელია გამოიყოს ანალიზის რამდენიმე დონე:

პირველი ბიოლოგიური მეხსიერებაა ². სწორედ ამ სახის ანალიზისას აღიქმებოდა, მეხსიერება, როგორც მოვლენათა და გამოცდილებათა საცავი. მაგრამ უმბერტო მატურანამ შეცვალა აღნიშნული შეხედულება. მან მეხსიერება განმარტა, როგორც კოგნიტური სტრუქტურა, რომელიც ქმნის ერთგვარ წესრიგს ადამიანის ტვინში და ზემოქმედებს მის ქცევაზე (Maturana H R, Varela F J. 1987. p. 62). ამასთანავე, აქცენტი გაკეთდა იმ ფაქტზე, რომ არც ერთი მეხსიერება არ არის სრულად ინდივიდუალური. მასზე ყოველთვის ახდენს ზეგავლენას კოლექტიური კონტაქტი. ეს იქნება ადამიანებთან ურთიერთობა, თუ მედია

¹ აღნიშნული ჩარჩო თავის ნაშრომში გამოყენებული აქვს ვეროვნეული (Verovšek, P. 2007.).

² მეხსიერების აღნიშნული დონე ნევროლოგების და ფსიქოლოგების კვლევის საგანია.

საშუალებებით სარგებლობა, რომლის დროსაც მუდმივად ხდება წარსულის ახალი ნიუანსების აღმოჩენა და მის შესაბამის გამოცდილებაში ჩართვა¹.

მეორე დონე, არის სიმბოლური (ან კოლექტიური), როდესაც მედია, ინსტიტუტები და სხვადასხვა ჯგუფები ინდივიდუალური გამოცდილების ზეგავლენით ქმნიან ზიარ მექსიერებას. ამ შემთხვევაში მექსიერების მეტაფორული გამოყენება ხდება. ამ დონეს უკავშირდება წარსულის ვერსიების შექმნა აწმუნს გამოწვევებისა და საჭიროებების შესაბამისად. ის, არცთუ იშვიათად განსხვავებული, ხშირად საპირისპირო შინაარსის მატარებელია, რაც ხშირ შემთხვევაში დაძაბულობის და კონფლიქტების წარმოშობის მიზეზი ხდება როგორც ქვეყნის შიგნით ასევე სახელმწიფოთა შორისაც (მაგ. საბჭოთა წარსულის აღქმა რუსეთში და მისგან რადიკალურად განსხვავებული ვერსიები ბალტიისპირეთის სახელმწიფოებში, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობის საკითხი რუსეთის უსაფრთხოების კონცეფციაშიც კი მოხვდა, აღნიშნული ფაქტი მექსიერების პოლიტიკის დიდი მნიშვნელობაზე მიუთითებს²). ამ შემთხვევაში სიმბოლური მექსიერება გადადის მესამე, ინსტიტუციონალური დონეზე.

ნედ ლებოუ გამოყოფს „ინსტიტუციონალურ მექსიერებას“. ინსტიტუციონალური მექსიერებას ის შემდეგნაირად განმარტავს “პოლიტიკური კლიტის წევრების, მათი მომხრეებისა და ოპონენტების მცდელობა, შექმნან წარსულის მნიშვნელობა, გაავრცელონ ისინი ფართო მასებში და საზოგადოებაში“ (Lebow, R. 2006. p.6.). ეს არის წარსულის ერთი კონკრეტული ინტერპრეტაცია, რომლის

¹ ინდივიდუალურიდან კოლექტიურ მექსიერებაში გადასვლის პროცესი ითვლება ერთ-ერთ დაუმუშავებელ ასპექტად მექსიერების კვლევებში, რადგანაც ხშირ შემთხვევაში ინდივიდები განსხვავებულად აღიქვამეს ტრაგმას ან ცხოვრებისეულ გამოცდილებას და ის სულაც არ ეთანხმება კოლექტივის მიერ მოწონებულ ვერსიას. (Kansteiner W. & Fogu C. 2006. pp. 102-46, 147-66)


² მექსიერების ანალიზის დონეების ანალიზისას ერლი მხოლოდ ორ დონეს გამოყოფს. ესენია ბიოლოგიური და სიმბოლური (Earl 2008.p.5)

ტირაჟირება და დანერგვა ხდება პოლიტიკური დღის წესრიგიდან გამომდინარე. კოლექტიური მეხსიერებისგან განსხვავებით აქ აქცენტი სწორედ პოლიტიკურად განპირობებულობაზე კვთდება.

6. ლებოუსგან განსხვავებით ელეიდა ასმანი (Assmann A. 2006.) მეხსიერების ტიპებზე საუბრისას აქცენტს აკეთებს არამხოლოდ ცნებაზე და მის სუბიექტსა და ობიექტზე, არამედ მის სიმტკიცეზე, თანმიმდევრულობაზე, სისრულესა და პირველადობაზე.

ა. ასმანის თანახმად ინდივიდუალური, ისევე როგორც სოციალური მეხსიერება, არის უფრო ფრაგმენტული და დაკავშირებული პირველად გამოცდილებასთან, ვიდრე პოლიტიკური და კულტურული მეხსიერება. სოციალური მეხსიერება დიდწილად არის ინტერგენერაციონალური მეხსიერება, რომელიც ხდება ტრანსგენერაციონალური და ტრანსფორმირდება პოლიტიკურ და კულტურულ მეხსიერებაში. რაც საბოლოო ჯამში შეიძლება მისი სისუსტის გამო მითით ჩანაცვლდეს (Assmann A. 2006. p.19). ამ პროცესის გრაფიკული სურათი შექმნა ერთ ლანგენბახერმა (Langenbacher E. 2003. p.9) რომლის თანახმად მასში სულ მცირე ოთხი სახის მეხსიერება არის ჩართული და მოიცავს გენერალიზაციურ, კოლექტიურ და კულტურულ ეტაპებს და ბოლოს განიცდის მითოლოგიზაციის პროცესს. (დიაგრამა 1)

მეხსიერების პოლიტიკის პერსპექტივიდან განხილვისას, ლანგენბახერი ამ გზას აფასებს, როგორც „ზიარი მეხსიერების ოპერაციონალიზაციას“, რომელიც გადადის „გავლენის მქონე მდგომარეობამდე“. რადგანაც პოლიტიკურ მეხსიერებას, როგორც წესი, ნაკლებად ჰყავს რეალური მოწმეები. იგი საზოგადოების წევრთა თანხმობაზეა აგებული, რაც დაინტერესებულ პირებს მანიპულირების ფართო არეალს აძლევს.



დიაგრამა 1. მეხსიერების სახეები

მკვლევართა ნაწილი მეხსიერების ანალიზის დონეთა უფრო ვიწრო დიფერენცირებას ახდენს, როგორიცაა მაგალითად: პერსონალური, კოლექტიური, ლოკალური, რეგიონალური, ინსტიტუციონალური, ნაციონალური, გლობალური. ასევე მეხსიერებას განასხვავებენ წარმოშობის მიხედვით: ოფიციალური; ზეპირი თუ კომერციული; სტატუსის მიხედვით: ზიარი, სელექციური, შეთანხმებული, სადაო; ის ასევე შეიძლება იყოს ისტორიული, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული და ა.შ. (Verovšek, P. 2007.)

მეხსიერების პოლიტიკა, ბევრი დისკიპლინის საკვლევი დარგია, მაგრამ მათ შორის უნდა გამოვყოთ პოლიტიკის მეცნიერება. პოლიტიკაში მეხსიერება ერთვება ორი მიმართულებით:

1. ქვემოდან ზემოთ მიმართებისას, საზოგადოების მიერ წარსულის ინტერპრეტაცია გავლენას ახდენს პოლიტიკური ელიტის იდენტობასა და შეხედულებებზე. შესაბამისად, მეხსიერების პოლიტიკა საზოგადოებრივი აზრის გავლენით ყალიბდება და მასში საზოგადოების მოთხოვნები

დომინირებს. მაგალითად, საზოგადოებაში არსებული მოთხოვნა სამართლიანობის აღდგენის შესახებ, რომელიც, როგორც წესი, ტოტალიტარული მმართველობიდან გადასვლის პროცესს ახლავს თან. ლებოუს თანახმად (Lebow, R. 2006. p. 25.) ცივმა ომმა მეხსიერების პოლიტიკის ქვემოდან ზემოთ მიმართულებით აგების შესაძლებლობა გამორიცხა. ეს რეჟიმთა მიზანმიმართული, კონფრონტაციული პოლიტიკით იყო განპირობებული. მხოლოდ ე.წ. „რკინის ფარდის“ გარღვევის შემდეგ გახდა შესაძლებელი პოლიტიკის დღის წესრიგში მისი განხორციელება და საზოგადოებიდან წამოსული იმპულსების ჩართვა.

2. ზემოდან ქვემოთ მიმართებისას, საჯარო აქტორები კონკრეტულ მოვლენებს რთავენ კოლექტიურ მეხსიერებაში. თვითონ არჩევენ წარსულიდან რომელი ფაქტი გააქტიურდეს და როგორი ტენდენციები დომინირებდეს საზოგადოების ცნობიერებაში. სწორედ ეს უკანასკნელი მიღვომა შეიმჩნევა საქართველოში მეხსიერების ოფიციალური პოლიტიკის ანალიზისას. რადგანაც პოლიტიკის დღის წესრიგი დიდად ახდენს ზეგავლენას მეხსიერების პოლიტიკის ტენდენციებზე. ასევე შესაძლებელია აქტიური მეხსიერების პოლიტიკის გადართვა საშინაოდან საგარეო პოლიტიკაში, ისევე როგორც საერთაშორისო იმპულსებს შეუძლიათ გააღვიძონ საშინაო პოლიტიკაში მიზუმებული ხსოვნა (Verovšek, P. 2007.).

§1.2 მეხსიერების ტრანსფორმაცია ინდივიდუალურიდან სოციეტალურ კონტექსტში

ამ სფეროს კვლევის მამამთავრებად 1900-იანი წლებიდან შეიძლება ჩაითვალოს ზიგმუნდ ფროიდი, ფრიდრიხ ნიცშე, ემილ დურკჰეიმი, პენრი ბერგსონი, აბი ვარბურგი, კარლ მანკეიმი, უოლტერ ბენჯამინი და ა.შ. მეხსიერების კვლევისა და გამოყენების ინტენსიურობა გაიზარდა ფაზიზმის დამარცხებასა და პოლოკოსტის გააზრებასთან ერთად. აღნიშნულ პროცესში თავისი მნიშვნელოვანი კორექტივები შექმნდა პოსტკოლონიალურ, რასობრივ თუ გენდერულ მეხსიერებას. 1980-იანი წლებიდან მოყოლებული საფუძველი ჩაეყარა ე.წ. „გარდამავალ სამართალს“ რომელიც მიზნად ისახავს ტრანზაციის პროცესში წინა რეუიმის მიერ დარღვეული უფლებების აღდგენას შესაბამისი იურიდიული და არა-იურიდიული ხერხების გამოყენებით (International Center for Transitional Justice). ამ უკანასკნელმა კი წარმოშვა „ახალი მეხსიერების კვლევები“, რომელსაც ასევე თავისი თეორეტიკოსები გაუჩნდა, როგორიცაა პიერ ნორა, იან და ელაიდა ასმანები, ერიკ ჰობსბაუმი და სხვ. ამავე დროს, ტექნოლოგიურმა რევოლუციამ და მისმა მიღწევებმა მეხსიერების გამოყენებას ახალი სიცოცხლე შესძინა.

თადაპირველად, მეხსიერების კვლევისას, შეიმჩნეოდა რედუქციონისტული მიდგომა, როდესაც მეხსიერება განიხილება, როგორც სულიერი და ფიზიკური მოვლენა. მეხსიერების გაგება დადის სხეულამდე და ცნობიერების განმსაზღვრელად ნერვულ სისტემას მიიჩნევს. მეხსიერებას ის მხოლოდ სულის სიდრმისეული სტრუქტურების გენეტიკურად გადაცემად იდეად წარმოაჩენს (გურჩიანი ქ. (რედ.) 2010).

ამ მიმართულების ერთ-ერთი წარმომადგენელი ფრიდრიხ ნიცშე საუბრობს „მიკუთვნების მეხსიერების“ არსებობის შესახებ. ეს ისეთი მეხსიერებაა, რომელიც საჭიროა, რათა ადამიანმა საკუთარი თავისადმი მიკუთვნება შესძლოს.

ის გამოყოფს „ნების მეხსიერებას“, რომლის დროსაც „გარკვეულ შემთხვევებში დავიწყება წინა პლანზე გამოდის“ განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება პირობას ან გარკვეულ ვალდებულებას. ნიცვე აყალიბებს „კულტურული ადამიანის“ ანუ „საიმედო ადამიანის“, ფენომენს რომელსაც ახსოვს გაცემული დაპირების შესახებ. მეხსიერებას, როგორც ფიზიკურ მოვლენას განიხილავს ასევე ზიგმუნდ ფროიდი (გურჩიანი, ქ. (რედ.) 2010).

როგორც მეხსიერების ისტორიის მკვლევარები (Olick, Nora) მიუთითებენ, მეხსიერება ეს არის არა სტატიკური არამედ დინამიური პროცესი. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ ხსოვნა სხვადასხვა დროის მონაკვეთში იცვლება და სხვადასხვა სახეს დებულობს.

გამომდინარე იქიდან, რომ მეხსიერების პოლიტიკა ინტერდისციპლინარული კვლევის საგანია, ის მოიცავს მრავალფეროვან კონცეპტუალურ ჩარჩოს და ასევე დეფინიციათა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მათ შორის ყველაზე ხშირად გამოყენებადი ტერმინია „კოლექტიური მეხსიერება“, რომლის პირველი გამოჩენა მეხსიერების პოლიტიკის სისტემატური კვლევის დაწყებასთან ერთად 1920-იან წლებში უკაშირდება მაურის ჰალბგაქსის სახელს¹.

მისი ნაშრომი „Memorie Collective“ წარმოადგენს ფუნდამენტურ ტექსტს მეხსიერების პოლიტიკის კვლევაში. მან არა მხოლოდ გამოიყენა ტერმინი „კოლექტიური მეხსიერება“², არამედ შემოიტანა მეხსიერების სოციალური ჩარჩო,

¹ ჰალბგაქსისგან დამოუკიდებლად იმავე პერიოდში ტერმინი „სოციალური მეხსიერება“ გამოიყენა ები ვარბურგმა, მაგრამ, აღნიშნული ტერმინი ვარბურგის შრომებში პირველად გაჩნდა 1923 წელს კრეუზლინგერის ლექციაზე, როდესაც მან დურკემისის ციტირება გააკეთა (ჰალბგაქსი დურკემის მოწაფეა) და ასევე როგორც მისი გამოუქვეყნებელი ნაშრომებიდან ჩანს, მას პქონდა ინფორმაცია მორის ჰალბგაქსის ნაშრომის შესახებ. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ჰალბგაქსმა დააკავშირა მეხსიერება და ჯგუფები, როლო ვარბურგმა კი ჯგუფები კულტურის ენით ჩაანაცვლა. ვარბურგის წვლილის შესახებ მსჯელობები იხილეთ Confino A. 1997.

² კულტ კანსტეინერი კოლექტიურ მეხსიერების კონცეპტუალიზაციისას აღნიშნავს, რომ ეს არის სამი სახის ისტორიულ ფაქტორს შორის ურთიერთობა. ესენია:

რომლის თანახმადაც ინდივიდუალურ მეხსიერებაზე და მის ფორმირებაზე დიდ ზეგავლენას ახდენს სოციალური და კულტურული გარემო¹. მეხსიერება ცნობიერების, ენის და პერსონალურობის მსგავსად სოციალური ფენომენია და როდესაც ჩვენ რაღაც გვახსოვს. ამით არა მხოლოდ ჩვენი პირველყოფილი შინაგანი ცხოვრების სიდრმებში ვეშვებით, არამედ ამ შინაგან ცხოვრებაში წესრიგსა და სტრუქტურას ვქმნით, რომლებსაც თავის მხრივ საზოგადოებრივი ცხოვრება განაპირობებს და რომლებიც სოციალურ გარემოსთან გვაკავშირებს².

ამ თეორიის კიდევ ერთი სიახლე მეხსიერების არა როგორც დაარქივებული, სტატიკური სიმყაროს, არამედ, როგორც აქტიური პროცესის გაგებას უკავშირდება. სადაც ხდება წარსულის რეკონსტრუირება და მეხსიერებად ქცევა. აქ ინდივიდი, მხოლოდ მონაწილე კი არ არის, არამედ უმნიშვნელოვანესი და ყველაზე კომპლექსური ელემენტია (Halbwachs, M. 1992. p.127). თუმცა პალბვაქსის

- 1) ინტელექტუალური და კულტურული ტრადიცია, რომელიც ქმნის წარსულის ყველანაირ რეპრეზენტაციას;
- 2) მეხსიერების შემქმნელები, ვინც ავრცელებს და მანიპულირებს ამ ტრადიციებით;
- 3) მეხსიერების მიმღებები, ვინც საკუთარი ინტერესების შესაბამისად იყენებს, უარყოფს ან მანიპულირებს ამ ტრადიციებით.

¹ პალბვაქსი იყო დურკემის მოსწავლე და შესაბამისად დიდწილად განიცდიდა მისი იდეების და შეხედულებების ზეგავლენას. მკვლევართა ნაწილი საუბრობს, რომ კოლექტიური მეხსიერების ფენომენი, სწორედ დურკემის შეხედულებებში იკვეთება. აღნიშნულ თემას ის ეხება კომემორაციულ რიტუალებზე დისკუსიისას და ნაშრომში “რელიგიური ცხოვრების ელემენტარული ფორმები”. ავსტრალიელი აბორიგენების რელიგიური პრაქტიკის განხილვისას ავტორი ხაზს უსგამს, თუ რა დიდი როლი მიუძღვის წარსულს, ჯგუფის წევრებს შორის იდენტობისა და სოლიდარობის გრძნობის გადავვებაში. ხოლო ისტორიული განგრძნობადობის შენარჩუნებისათვის აუცილებელია პერიოდული სიმბოლური პროცედურების დანერგვა-განხორციელება, რათა საზოგადოებამ „განაახლოს ის სენტიმენტები რომელიც აქვს მისი ერთობის შესახებ“ (Misztal, B. 2003. p.123)

² კოლექტიური მეხსიერების მუშაობის პრინციპზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ „სწორედ კოლექტიური მეხსიერება უჩვენებს ადამიანთა ჯგუფს თუ ვინ არის, საიდან მოდიან და როგორ უნდა იქცეოდნენ აწმუოსა თუ მომავალ ში“ (Gillis, J. 1994. p. 7.)

ამ შეხედულების სუსტი მხარე, მის ანტიონდივიდუალიზმში დგენს. ინდივიდის კოლექტიური მეხსიერების შექმნის პროცესში კოლექტივს მაინც ძირითადი ადგილი უკავია, (ყოველთვის არსებობს ინდივიდუალური მეხსიერება, რომელიც არ ეთანხმება კოლექტიურ ნარატივს და ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია, თუ ინდივიდი კონკრეტული მოვლენის თვითმხილვები ან მონაწილეა).

ჯეიმს იუნგს (Young, J. 1993.) ნაცვლად ჰალბგაქსის ტერნმინ კოლექტიური მეხსიერებისა (Collective Memory) შემოაქვს ცნება “დაგროვებული მეხსიერება” (Collected Memory), რომელიც შედგება საზოგადოებაში არსებული მეხსიერებისგან. პრინციპული სხვაობა ამ თეორიებს შორის ისაა, რომ თუ ჰალბგაქსის მოსაზრებით კოლექტიური მეხსიერების შედეგად ფორმირდება ინდივიდების მეხსიერება, იუნგის თეორიის თანახმად თავად ინდივიდთა მეხსიერებები ქმნიან კოლექტიურ მეხსიერებას.

კოლექტივის მეხსიერებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ფანკეშტეინი რამდენადაც „ცნობიერება და მეხსიერება შესაძლოა ჰქონდეს ინდივიდს, რომელიც მოქმედებს, იმასსოვრებს... დამასსოვრება მენტალური აქტია და ამასთან სრულიად პერსონალური“ (Funkenstein, A. 1989. p.6). ის არ არის ჯგუფური პროცესი, რადგანაც იმასსოვრებს ინდივიდი, ჯგუფი ვერა. მაგრამ მეხსიერებას ნამდვილად აქვს სოციალური მნიშვნელობა, რადგანაც წარსულის ვერსია კრავს აღნიშნულ ერთობას.

შესაძლოა, აღნიშნული განმარტება უკეთ ასახავს საზოგადოებაში არსებულ განსხვავებულ ვერსიებს, თუმცა ამავე დროს რჩება ბევრი კითხვა, რომელზედაც პასუხის გაცემას ვერ ახერხებს. მაგალითად, ვერ ხსნის იმ კომპლექსურ ურთიერთობას, რომელიც წარმოიშობა სხვადასხვა ჯგუფებს (მათ მეხსიერებებს) და ინდივიდებს შორის, რომელსაც სხვადასხვა ჯგუფებთან უწევს ურთიერთობა. ასევე რთულია აიხსნას, მეხსიერების ტრანსფორმაციის პროცესი დროში და მისი თაობებისთვის გადაცემის თავისებურებები.

იუნგის კონცეფციის საპირისპიროდ ზერუბაველი თვლის, რომ არ შეიძლება კოლექტიური მეხსიერების გაგება „როგორც ინდივიდთა პერსონალური მეხსიერების აგრეგაციის, რადგან ასეთი ერთობა ვერ მოიცავს მთელი ურის სურათს“ (Zerubavel, E. 2003. p.28). წარსულის შექმნის სოციალური ასპექტები დაკვირვებადია. ამ დაკვირვებისას შესაძლებელია შემჩნევა, თუ როგორ ხდება სოციალური “თაიმლაინის” შექმნა მნემონიკური საზოგადოებების მიერ. ხოლო კანსტერინიერისათვის კოლექტიური მეხსიერება იქმნება ჯგუფის წევრების წარსულის შესახებ კომუნიკაციის შედეგად. ისინი თავად ახდენენ წარსულის კონსტრუირებას (Kansteiner, W. 2002. p.188).

ინდივიდუალური და კოლექტიური მეხსიერების ურთიერთშერწყმის ახსნა სცადა ივან ჰაველმა (Havel, I. 2009.) კოგნიტური პერსპექტივით მეხსიერების ახსნისას. მისი მოსაზრებით: „პიტოიდული მეხსიერება“ ეს არის ადგილი, სადაც ერთმანეთს ხვდება კოლექტიური და ინდივიდუალური მეხსიერება, როდესაც ლიგეისტური და სემანტიკური მეხსიერება ერთვება ეპიზოდური მეხსიერების სახით შემონახულ წარსულში.

ჰალბვაქსის თეორია განვითარების მცდელობისას ფედერიკ ბარტლეტმა (Bartlett F. 1932) დაასკვნა, რომ წარსულის აღქმისას და მისით ოპერირებისას ადამიანები ეყრდნობიან წარსულის ე.წ. სქემებს. მაგალითად, როდესაც პიროვნება „ქმნის მეხსიერებას“ წარსულის რომელიმე მოვლენის შესახებ, ის ეყრდნობა ამ „სქემებს“ და ამავე დროს ხშირად უმატებს ან ანაცვლებს მის შემადგენელ დატალებს. რაც დროთა განმავლობაში, იწვევს ინდივიდების მიერ ამ მოვლენის აღქმის გადაფასებას და შესაძლოა მას არარსებული ნიშან – თვისებებიც კი მიეწეროს. ეს პროცესი ხშირად წარსულის მითოლოგიზაციისას გვხვდება. როდესაც ისტორიული პერსონაჟებისთვის ემატება იმ ნიშან თვისებები რომელიც გმირის ან მოღალატის „კრიტერიუმებისათვის“ არის საჭირო. „კრიტერიუმები“ კოლექტიური მეხსიერების ფორმირების პროცესში უმნიშვნელოვანესი კომპონენტია (იქვე გვ.12).

ისტორიკოსებმა და სოციალური მეცნიერებების წარმომადგენლებმა, რომლებიც სწავლობდნენ მეოცე საუკუნის ისტორიული მეხსიერების პრაქტიკას, პალევაქსზე დაყრდნობით დასკვნეს, რომ ინდივიდის მიერ წარსულის დამახსოვრება დიდად არის დამოკიდებული სოციალური დისკურსის, პრაქტიკის და მოლოდინების ცვლილებაზე. პალევაქსი იყენებს ტერმინს „კოლექტიური მეხსიერება“, მაგრამ სხვადასხვა დისკიპლინის წარმომადგენლები ამავე მნიშვნელობით იყენებენ ცნებებს „კულტურული მეხსიერება“ და „სოციალური მეხსიერება“.

განსხვავება ზემოთადნიშნულ ცნებებში რეალურად მიუთითებს უფრო მეტად დეფინიციურ მრავალგვარობას, ვიდრე სხვაობას მისი სწავლის მიღებობაში. პალევაქსის მიღებობა დაფუძნებულია სოციოლოგიურ კატეგორიებზე: ოჯახი, კლასი და რელიგია, „კულტურული მეხსიერების“ მიმღევრები (Assman A.) ორიენტირს მოგონებებზე, რეპრესიებსა თუ ქვეცნობიერზე აკეთებენ, შესაძლოა ფსიქოანალისტის გავლენით, ხოლო „სოციალური მეხსიერების“ გამოყენებისას ფოკუსი კეთდება მეხსიერების სოციალურ გარემოზე და სწავლობს ინდივიდუალური მეხსიერებას კონკრეტული მოვლენის შესახებ. თუ როგორ ურთიერთობს ის უკვე არსებულ ნარატივებთან და კომემორაციის სხვადასხვა ფორმებთან (Dietler, M. 1998. pp.72-89). ხოლო ტერმინ „მეხსიერების პოლიტიკის“ გამოყენებისას (Lebow, R.) ძირითადი აქცენტი კეთდება პოლიტიკურ ელიტაზე, პარტიებსა და სახელმწიფო ინსტიტუტებზე, ანუ ყველა იმ ინსტიტუტზე რომელიც ფლობს გარკვეულ ძალაუფლებას და მისთ მანიპულირება შეუძლია (Verovšek, P. 2007.)

პალევაქსის კოლექტიური მეხსიერების სოციალურ ასპექტს იან და ელეიდა ასმანებმა (Assman, A. & Assman, I.), „კომუნიკაციური მეხსიერება“ (ან ყოველდღიური მეხსიერება) უწოდეს¹. ეს არის კოლექტიური მეხსიერების

¹ რადგანაც, ინდივიდუალური მეხსიერების განსხვავება სოციალურისაგან ძნელია და შეუძლებელიც ია. ინდივიდუალური მეხსიერება ენისა და ცნობიერების გარდა მთლიანად სოციალურია.

კონკრეტული სახეობა, რომელიც ეყრდნობა ყოველდღიურ ურთიერთობებს. იან ასმანის აზრით ის, რასაც პალბგაქსი „კოლექტიურ მეხსიერებას“ უწოდებს, იქმნება ყოველდღიურ ცხოვრებაში ე.წ. ზეპირი ისტორიების საშუალებით. სწორედ კომუნიკაციის საშუალებით ურთიერთობებს ჯგუფები და ინდივიდები. ყოველდღიური ურთიერთობები აღსავსეა აფექტებით, თემატური არასტაბილურობით, კონკრეტული როლებით, რომლებიც სხვადასხვა შემთხვევაში იცვლებიან, მთხოვთ სდება მსმენები და პირიქით (ასმანი ი. 2001. გვ.126-127).

ი. ასმანი ადარებს კულტურულ და კომუნიკაციურ მეხსიერებას. კომუნიკაციური მეხსიერების პორიზონტი მაქსიმუმ 80-100 წელია, რაც დაახლოებით ოთხ თაობას უდრის. ხოლო კულტურულ მეხსიერებას ლიმიტირებული პერიოდი არ აქვს. ის მოიცავს ტექსტებს, წეს-ჩვეულებებს, შენობებს და მონუმენტებს, რომლებიც იქმნება იმისათვის, რათა შეახსენოს საზოგადოებას წარსულის კონკრეტული მოვლენები. ამის საუკეთესო მაგალითია ე.წ. „ზეპირი ისტორიები“ კონკრეტული მოვლენის შესახებ (მაგ. რეპრესირებული ქალების მონათხოვი) რომელიც წარმოადგენს, მოწმეს და ამ ჩანაწერებს შეუძლიათ მცირებიანი კომუნიკაციური მეხსიერება გარდაქმნას და თაობებს შემოუნახოს კულტურული მეხსიერების სახით.

ი. ასმანი ერთმანეთისგან ანსხვავებს პოტენციურ და აქტუალურ კულტურულ მეხსიერებას¹. მეხსიერება პოტენციურია, როდესაც წარსული რეპრეზენტირებულია არქივებში, მუზეუმებში, ბიბლოთეკებში. მათი აქტუალიზება ხდება ახალ სოციალურ და ისტორიულ კონტექსტში ახალი მნიშვნელობის მინიჭებით. ამით ასმანი ხაზს უსვამს, თუ რა დიდ პოტენციალს

ინდივიდუალური მეხსიერება იქნებოდა ენა, რომელიც მხოლოდ ერთ ადამიანს ესმის, ანუ გამონალისი შემთხვევა. (ასმანი ი. 2001. გვ.126)

¹ პოტენციური და აქტუალური მეხსიერების განხილვა შესაძლებელია დამასხსოვრება დაწიწყების კონტექსტში, რაც მოგვიანებით ამავე ნაშრომში დაწვრილებით არის განხილული.

ატარებს მომავალი თაობისთვის კულტურული მეხსიერება (Kansteiner, W. Fogu, C. 2006) და რა ფორმით შეიძლება მისი გამოყენება, რათა პოტენციური მეხსიერება აქტუალიზებული (ლებოუს კლასიფიკატორით, ინსტიტუციონალიზებული) გახდეს. კულტურული მეხსიერება, ერთის მხრივ თაობათა მიერ დაგროვებული ცოდნაა, რომელიც იცვლება, ითვისებს რა ღირებულებებს, ნორმებს და ა.შ. თაობიდან თაობაზე გადაცემისას. პააბოს (Paabo, H. 2010. p.14) თანახმად ეს ერთგვარი კუმულაციური მეხსიერებაა, რომელიც თაობათა საჭიროებისამებრ იცვლის ფორმას.

რადგანაც წარსულის შესახებ მეხსიერება ჯგუფის და მისი წევრებისათვის თვითიდენტიფიკაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია, იდენტობისა და მეხსიერების ურთიერთმიმართება ერთ-ერთი ხშირად კვლევად საკითხია. შესაბამისად, ინტერესი ამ თემისადმი დროთა განმავლობაში უფრო იზრდება. იდენტობის არაერთი განმარტება არსებობს, მაგრამ მათ შორის გავრცელებულია თეორიები დოიჩის კონცეფცია იდენტობის, როგორც „ერთობის გრძნობის“ და ბ. ანდერსონის (ანდერსონი ბ. 2003) შეხედულება „ერთობის წარმოსახვითობის“ შესახებ. შესაბამისად, ერთის განსაზღვრება შეიძლება, როგორც „წარმოსახვითი პოლიტიკური ერთობის“ და ადვილი წარმოსადგენია ზიარ წარსულს და გამოცდილებას თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ერთობის შესაკვრელად და კუთვნილების გრძნობის გასამყარებლად.

ზერუბაველი (Zerubavel, E. 2003.) იდენტობას ინდივიდუალურ და სოციალურ (კოლექტურ) ფენომენად ყოფს. ის რასაც ინდივიდი იმახსოვრებს დიდწილად განიცდის არა როგორც ინდივიდი, არამედ, როგორც კოლექტივის წევრი და აღიქვამს მას, როგორც მისი წარსულის ნაწილს. ამ ერთობის შესაკვრელად არაერთი მარკერი გამოიყენება. ეს შეიძლება იყოს მემორიალების სხვადასხვა მიმართულებით გამოყენება, სამოსი, მედალი, ენა, ნაციონალური ჰიმნი, გერბი, ტრადიცია და წესჩვეულებები და ა.შ.

ფაქტების დამახსოვრების პროცესში დაგეგმვა უმნიშვნელოვანესია. მას განგრძობადი ხასიათი უნდა ქონდეს და მხოლოდ ერთჯერადი აქტივობით არ უნდა შემოიფარგლოს. საჭიროა ისეთი ადგილების შექმნა, რომელიც ამ მოვლენას საზოგადოებას მუდმივად შეახსენებს. მეხსიერების ადგილების (Lieux de mémmoire) და მეხსიერების გარემოს (Milieux de mémmoire) შესახებ პიერ ნორას კონცეფცია ხსნის ამ ფენომენს. მეხსიერების ადგილი ეს არის კონკრეტული ადგილი, რომელიც ინახავს/უნახავს ხალხს ხსოვნას. ეს მოვლენა იმით არის განპირობებული, რომ თავად მეხსიერების რეალური გარემო არ არსებობს¹. მეხსიერების ისტორიის პრემოდერნული პერიოდი ხასიათდება ბუნებრივი გაუაზრებელი/გაუცნობიერებელი ურთიერთობებით წარსულსა და ადამიანებს შორის, როდესაც მეხსიერების გარემო შედგება ტრადიციებისა და რიტუალებისგან და ადამიანები ამ გარემოს რეალურ დროში იმყოფებიან².

¹ ლე გოფი (Le Goff 1992) ლეროი-გორანთან (Leroi-Gourhan 1993) ერთად მეხსიერების ისტორიაში გამოყოფს ხუთ ეტაპს. ესენია:

1. ხალხი დამწერლობის გაერშე, რომელსაც „ეთნიკურ მეხსიერებას“ უწოდებს;
2. პრეისტორიულიდან ანტიკურზე გადასვლა, როდესაც ჩნდება დამწერლობა და შესაბამისად მეხსიერების ნიშნები: კომემორაცია და დოკუმენტური ჩანაწერები;
3. შეასაუცნების ხანა და მეხსიერების და მნემოტექნიკულობის ქრისტიანიზაცია, როდესაც მეხსიერებაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ლიტურგიული მსახურება და გარდაცვლილთა, განსაკუთრებით წმინდანთა მეხსიერება;
4. რენესანსიდან დღემდე, წერა-კითხვის მასებში გავრცელებამ, მოგვიანებით რომანტიზმი თავისი სიმბოლური გამოვლინებებით მეხსიერება ახალ ეტაპზე აიყვანა, რაც საბოლოო ჯამში საფუძვლად დაედო არქივების, მუზეუმების, ბიბლოთეკების შექმნას და მმართველთა მცდელობებს შეექმნათ ერთიანი იდენტობა, რომელიც სახელმწიფოსადმი კუთვნილების გრძნობას გააძლიერებდა.
5. XX საუკუნე და ახალი ნამდვილი რევოლუცია მეხსიერებაში, ინფორმაციის ჩაწერისა და გავრცელების ტექნოლოგიურმა ინოვაციებმა არამხოლოდ შეცვალა დამახსოვრების გზები, არამედ შექმნა მეხსიერების ახალი კონცეპტუალიზაცია.

მეხსიერების ისტორიის შესახებ მსჯელობა Olick J. Robbins J. 1998. pp. 114-115

² მას დიქტატორულ მეხსიერებასაც კი უწოდებს, რადგანაც ის ინტეგრირებული და მორჩილებითია

მას შემდეგ, რაც ძველმა ტრადიციებმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა, წარსულის რეკონსტრუირების მცდელობები ნორას აზრით მე-19 საუკუნეში ინდუსტრიალიზაციას და სოციალურ მოდერნიზაციას. ელიტის წარმომადგენლებმა დაიწყეს მეხსიერების ადგილების შექმნა მონუმენტებისა თუ არქივების სახით, რომლის ძირითადი მიზანი იყო შენარჩუნებულიყო ერი-სახელმწიფოს შესახებ ხსოვნა ტრადიციების აღმოჩენის გზით¹.

პოსტმოდერნიზმის ეპოქაში, როდესაც ერი-სახელმწიფოს იდეა შესუსტდა წარსულის რეპრეზენტაციის პროცესში ჩაერთო მედია. Lieux de mémmoire-ს ნებისმიერი მაგალითი, ყოველთვის არის მატარებელი სამი ძირითადი ასპექტის: პირველი, ის ყოველთვის არის მატერიალური; მეორე არის სიმბოლური და მესამე, ყოველთვის აქვს ფუნქცინალური დატვირთვა. მაგალითად, არქივი, რომელიც არის მარტივი მატერიალური ადგილი, რომელისაც აქვს თავისი პირდაპირი ფუნქციონალური დატვირთვა, ხდება Lieux de mémoire, თუ მასში ჩართულია სიმბოლური აურა (Nora, P. 1989. p. 13).

ნორას კონცეფციის პათოსს იზიარებს დევიდ ლოუენსალი (Lowenthal, D. 1985.). მისი აზრით თანამედროვე საზოგადოებები გამალებით ცდილობენ წარსულის აღდგენას, რადგანაც ის ცოცხალი სახით სახოგადოებაში აღარ არსებობს. ჯერჯერობით, ეს სტრატეგია ამართლებს, თუმცა, თანამედროვეობა ასეებე ემუქრება კოლექტიურობის ძველ აღქმას, რომლის დანერგვასაც ის ცდილობს.

¹ ერიტოსები ნორას პრეისტორიულ ეპოქაში მეხსიერების ნატურალიზაციაში, ხოლო თანამედროვე სამყაროში მეხსიერების დესაკრალიზაციაში სდებენ ბრალს. მათი აზრით მოცემული განსხვავება ძალზედ მკაცრია და დამყარებულია წარსულის, როგორც ავთენთიკური მთლიანის გაგებაზე, რომელიც თავის მხრივ გარდაიქმნება არაავთენთიკურ განსხვავებულ მნიშვნელობებად, როგორც თანამედროვე აქტორები აღიქვამენ მას და უარყოფენ მისი სიწმინდის ვერსიას. (Fritzsche P. 2001).

მიუხედავად მეხსიერების მრავალმხრივი ანალიზისა ავტორთა ნაწილი სკეპტიკურად არის განწყობილი თავად ამ ტერმინის გაგების და მეტიც არსებობის მიმართ.

ანდერსონის წარმოსახვითი საზოგადოების კონცეფციის (ანდერსონი ბ. 2003), თანახმად, სწორედ წარსულისადმი გაზრდილმა ინტერესმა შექმნა იდეა სახელმწიფოს შესახებ. წარსულისადმი ინტერესის ზრდის მაჩვენებელი პოპულარული ისტორიებისა და ნოველების გამოყენება იყო, რომელსაც საერთო იდენტობა უნდა ჩამოეყალიბებინა და ჩამოაყალიბა კიდეც.

ზემოთაღნიშნული თეორიებით შესაძლებელი გახდა ჰალბვაქსის კომპლექსური მიღომის ქმედებაში დანახვა და მისი ყოველდღიურ პროცესამდე დაყვანა. ამასთანავე მმართველებსა და მართულებს შორის კომუნიკაცია, არის ის მედიუმი, რომლის საშუალებითაც კულტურული მეხსიერების პოლიტიკაში ჩართვა და მისი პოლიტიკის დღის წესრიგისადმი მორგება ხდება.

§1.3 მეხსიერების განზომილების ცვლილება სოციეტალურიდან პოლიტიკურ კონტექსტში

კოლექტიური მეხსიერების პოლიტიკურ განზომილებამდე დაყვანისას, შესაძლებელია ასმანის მეხსიერების ხელისუფლებიდან საზოგადოებისკენ მართულობის კონცეფციის გამოყენება, რომელიც მის ძალაუფლების მქონეთა მიერ განპიროვნებულობის შესაძლებლობას უშვებს. პალომა აგილარი და კარსტენ ჰამბერგე (Aguilar, P. & Humbelbek, C. 2002. p123.) განასხვავებენ სოციალურ მეხსიერებას პოლიტიკურისგან, რამდენადაც ეს უკანასკნელი კონკრეტულ პოლიტიკურ მიზნებს ემსახურება. შესაბამისად, მეხსიერების პოლიტიკის ანალიზისას ძირითადი კითხვა შესაძლოა შემდეგნაირად

ჩამოყალიბდეს: ვინ ქმნის მეხსიერებას, ვისთვის, როგორ და რატომ (Paabo, H. 2010).

მეხსიერების პოლიტიკის დაგეგმვისას საზოგადოების მოთხოვნის გათვალისწინებაზე ამახვილებს უურადღებას გედი და ელამი (Gedi, N. Elam, Y. 1996. p39) რამდენადაც, მნიშვნელოვანია გაანალიზდეს, თუ როგორ და რა რესურსების გამოყენებით ხდება აღნიშნული საჭიროების განსაზღვრა და გამოხატვა. ისინი არ ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ შესაძლებელია საზოგადოების წევრებს თანაბარი წვდომა პქონდეთ მეხსიერების ყველა ვერსიაზე, რათა მათ საფუძველზე ჩამოყალიბდეს/რეკონსტრუირდეს საუკეთესო. დომინანტურ ჯგუფებს, საკუთარი გავლენის წყალობით შეუძლიათ, გამოვიდნენ საზოგადოების სახელით და მიიღონ მონაწილეობა მეხსიერების მათი შეხედულებისამებრ კონსტრუირების პროცესში.

შესაბამისად, პოლიტიკური და სოციალური ელიტები ხდებიან მეხსიერების აგენტები, მისი საკუთარი ინტერესების შესაბამისად შემქმნელები. (Paabo, H. 2010. p.14). ეს არის ვერტიკალური ე.წ. ზემოდან ქვემოთ მიმართული მეხსიერების პოლიტიკის ფორმირების პროცესი. თუმცა მკვლევართა აზრით არსებობს ე.წ. „მოუქნელი წარსული“, რომლის გაკონტროლებაც არ ძალუკო დომინანტურ ჯგუფებს (Olick, J. Robbins, J. 1998. p.128). სწორედ აწ ჩნდება ქვემოდან ზემოთ მიმართული მეხსიერების პოლიტიკა. მეხსიერების თაობიდან თაობაზე გადაცემის ფუნქციაც ამ მოსაზრების ერთ-ერთი გამამყარებელი არგუმენტია. თუმცა აღნიშნული კონცეფციაც ვერ უკლის გვერდს პოლიტიკური ელიტის როლს მეხსიერების კონსტრუირების პროცესში. მართალია, მათ არ ძალუკო არსებული მეხსიერების წაშლა და ახლის შექმნა, მაგრამ აქვთ რესურსი მნიშვნელოვნად შეცვალონ არსებული.

მეხსიერების პოლიტიკის ერთ ერთი ცენტრალური საკითხია მეხსიერების და ისტორიის ურთიერთმიმართება. რადგანაც მეხსიერების ძირითად რესურსს სწორედ წარსულის ფაქტები წარმოადგენს, მათი განსხვავებული თხრობის

საფუძველზე იქმნება განსხვავებული ინტერპრეტაციები. პირ ნორას მიერ წარმოდგენილ საზოგადოებაში, სადაც მეხსიერება რეალურად არსებობდა, ისტორიის საჭიროება არ ჩანს, მაგრამ დამწერლობის შექმნამ დასაბამი მისცა წარსულის გადმოცემის წერილობით ფორმას. შესაბამისად, შესაძლებელი გახდა მათი განსხვავებული კერსიების შექმნა. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, მეხსიერება და ისტორია კონტინუუმის სხვადასხვა ბოლოებზე უნდა განვათავსოთ¹.

მეხსიერება კონსტრუირებული მოვლენაა, რომელიც დაფუძნებულია ისტორიაზე. მისგან ახდენს ფაქტების სელექციას და წარსულის შესახებ ქმნის ხატებს საზოგადოებაში. ნორას კონცეფციის თანახმად (Nora, P. 1989. p.9) მეხსიერება არის ცოცხალი მოვლენა, რომელიც სოციუმში არსებობს. ის მუდმივად განიცდის ეპოლუციას სხვადასხვა სტრატეგიების და მანიპულაციების გამოყენებით. მაშინ როდესაც ისტორია მხოლოდ ერთია. ის ინტელექტუალების პროდუქტია და მას ობიექტურობაზე აქვს პრეტენზია².

მეცნიერთა ნაწილისათვის ისტორია ფაქტების ერთგვარი საცავია, უნივერსალური და პიროვნული ზეგავლენისგან თავისუფალი. თუმცა მკვლევართა მეორე ნაწილის აზრით ნარატივის შექმნის პროცესში

¹ ერლი არ ეთანხმება მეხსიერების და ისტორიის დაპირისპირების თეზას და მას ხელოვნურად წარმოშობილად მიიჩნევს. ავტორი ამ დიქოტომიის ჩანაცვლებას წარსულის დამახსოვრების ჩარჩოდან ცდილობს, კერძოდ, რას იმახსოვრებენ და როგორ იმახსოვრებენ (Earl I. 2011 p. 7).

² XX საუკუნის ისტორიოგრაფიაში დომინანტური ადგილი ეპავა პოზიტივისტურ მოძღვრებას, რომელიც უშვებდა წარსულის ობიექტური აღწერის შესაძლებლობას. ჰეშმარიტების საფუძველი ისტორიკოსებს უშუალოდ პირველ წყაროებში უნდა ეპოვათ და ისტორია მათზე დაყრდნობით უნდა შექმნილიყო. XX ს-ში აღმოცენებული კონსტრუქტივისტული ხედვის თანახმად მოთხოვთ ისტორიის შინაარსი და ხასიათი ძირითადად გამომდინარეობდა ისტორიკოსის კვლევის მიზნიდან. ამ პერიოდში აქცენტი მეფეთა და დიდებულთა ცხოვრებიდან სოციალურ ფენომენებზე იქნა გადატანილი. ხოლო XXI საუკუნეში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დეკონსტრუქტივისტულ ხედვას, რომელიც ისტორიის შექმნისას აქცენტი მმართველი წრების და მათი ინტერესების დიდ გავლენაზე ამახვილებს ყურადღებას.

ისტორიკოსები ხშირად განიცდინიან იდეოლოგიურ ზეგავლენას. ეს ქმნის ორი ტიპის ისტორიას: ისტორია როგორც კითხვა (ეს ერთგვარი აკადემიური ისტორია) და ისტორია, როგორც პასუხი (Black, J. 2005. p. 3), რომელიც მანიპულაციის და შესაბამისად საზოგადოებისთვის მზა პასუხის გაცემის შეთავაზებას ისახავს მიზნად.

პოლიტიკაში ისტორიის, როგორც შუამავლის, იარაღის ან არგუმენტის გამოყენების ოთხი ძირითადი სახე შეიძლება გამოიყოს, რომლიც ხელმოსაწვდომია, როგორც პოლიტიკური ინსტიტუტებისათვის ასევე ცალკეული აქტორებისათვის (Reichel P. 2004. Maier, C. 2007). ესენია:

1. ქმედებები პოლიტიკური-საკანონმდებლო და პოლიტიკურ-კუტურულ სივრცეში, აქ იგულისხმება რეჟიმის დემონტაჟის და ახალი სისტემის ფორმირებისას მიმდინარე პროცესები; სამართლიანობის აღდგენის საკითხიდან დაწყებული დამნაშავეთა რეინტეგრაციით დასრულებული; ეს ეტაპი შეესაბამება პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში და მათ შორის საქართველოში მიმდინარე პროცესებს, რომელიც 90-იან წლებში საბჭოთა კაგშირის ნგრევის შემდეგ დაიწყო;
2. პოლიტიკური კომემორაციის არე; ამ შემთხვევაში ქმედებები მიმართულია რეჟიმის განმტკიცებისათვის სხვადასხვა სიმბოლოების გამოყენებით. ეს შესაძლებელია მიმართული იყოს, ასევე ერის კონსოლიდაციისაკენ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მას შემდეგ, რაც სახელმწიფოს რთული პერიოდის დაძლევა უწევს;
3. თანამედროვე ისტორიოგრაფიის არე, ეს ისტორიკოსების სამოქმედო არეალია, მაგრამ მასში პოლიტიკა მას შემდეგ ერთვება, რაც მოვლენების განსხვავებული ინტერპრეტაციები ჩნდება. ეს არე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო პოლიტიკის რაკუსით, რადგანაც განსხვავებული ნარატივები დიდ ზეგავლენას ახდენს სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკური კურსის ფორმირებაზე.

4. ესტეთიური პროდუქციის შექმნის არე მოიცავს ე.წ პოპულარული ისტორიის სფეროს, რომელიც ისტორიის მხატვრული ვერსიების, ფილმების, ანიმაციების თუ სხვა მსგავსი პროდუქციის სახით იქმნება. და მას განსაკუთრებული როლის შესრულება შეუძლია კოლექტიური მექანიზმის ფორმირებაში, როდესაც ისტორია შეიძლება გარდაიქმნას ინდივიდის და შემდეგ ჯგუფის მექანიზმად¹.

ისტორიული თარიღების, რიტუალების, გმირების, მოღალატეების და ა.შ, სიმბოლიზება და მათი ფართო საზოგადოებრივი აღნიშვნა თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთი მახასიათებელი ნიშანი გახდა. კომემორაციული ღონისძიებების, როგორც პოლიტიკური ძალაუფლების მექანიზმის შესწავლა დაიწყეს არიესმა (Ariès 1974) და აგულონმა (Agulhon 1981)², მაგრამ ამ კონცეფციის სრულყოფა დაკავშირებულია ერიკ ჰობსბაუმის (Hobsbawm E. 1983.), „ტრადიციების აღმოჩენის“ კონცეფციასთან. რომლის თანახმადაც ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად მიმართავენ აღნიშნულ მეთოდს.

აღნიშნული მოვლენა თვალში საცემი განსაკუთრებით 1870-იანი წლებიდან გახდა. პოლიტიკურმა ლიდერებმა ხელახლა აღმოაჩინეს, რომ სოციალურ წესრიგის განსაზღვრავს, არამხოლოდ „რაციონალური“ არამედ „ირაციონალური“ ელემენტებიც. „აღმოჩენილი ტრადიცია“ შესაძლებელია იყოს

¹ კარლსონმა კულტურული და სოციალური გარემოებების გათვალისწინებით შეიმუშავა ისტორიის გამოყენების ტიპოლოგიზაცია; მან შემდეგი ეტაპები გამოყო:

1. ისტორიის მეცნიერული გამოყენება;
 2. ეგზისტენციალური გამოყენება (ისტორია გამოიყენება, როგორც მაორიენტირებელი საშუალება აწმეოსა და მომავალს შორის);
 3. ისტორიის, როგორც მასწავლებლის (მორალური) განმოყენება;
 4. იდეოლოგიური გამოყენება;
5. კრიტიკული კატეგორია- შეიძლება მას ისტორიის გამოუყენებლობა ვუწოდოთ.
(Karlsson K.G. Zander U. (eds). 2006. pp.19-20)

² ი. ი. Olick J. Robbins J. 1998. p108.

დავიწყებული ძველი, მაგრამ არარსებულის აღმოჩენაც, ანუ გამოგონებაც არის შესაძლებელი¹.

ეს პროცესი, როგორც წესი, თან სდევს საზოგადოების მკვეთრ ტრანსფორმაციას, რევოლუციას, რყევებს, როდესაც ერთის ნგრევა მისი ხამნაცვლებლის აღმოჩენას ან გამოგონებას მოითხოვს (Hobsbawm, E. 1983).

აღნიშნული მოვლენა შესაძლებელია დაიყოს რამდენიმე ტიპად ესენია;

1. ტრადიცია, რომელიც ადგენს და სიმბოლურ ხასიათსს სძენს ტრადიციულ ერთობას, ან ამ ერთობის (ეს იქნება რეალური თუ ხელოვნურად კონსტრუირებული) წევრობას;
2. ქმნის ან ლეგიტიმურობას მატებს ინსტიტუტს, სტატუსს ან ავტორიტეტთა ურთიერთობას;
3. აქვს სოციალიზაციის ფუნქცია. ადგენს რწმენის, ღირებულებათა სისტემის და ქცევის ნორმებს;

საბოლოო ჯამში „აღმოჩენილი ტრადიციის“ დეფინიცირება შესაძლებელია, როგორც „ადიარებული ქცევის წესი, რიტუალი, სიმბოლოები, ან მთლიანად ქმედებები, რომელიც ცდილობს განმეორების საშუალებით ქცევის ნორმებისა და ღირებულების დამკვიდრებას“ (ibd. 4).

საზოგადოების მხრიდან ტრადიციის ფორმირებას განაპირობებს ის ფაქტი, რომ კონკრეტული ტრადიცია, ადრე არსებული ფორმით, იყო სპეციფიური და ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი, რომელიც საზოგადოებამ ამოიღო ხმარებიდან, დაივიწყა, მაგრამ, მისი ახალი ვერსია, არის არასპეციფიური და

¹ აღნიშნული კონცეფცია გახდა ერთ ერთი ყველაზე პოპულარული, რომლის საშუალებითაც მკვლევრები შეეცადნენ აქსენათ ბოლო პერიოდში გავრცელებული ტრადიციები. მაგ. Francis D. 1992. Krech Sh. 1999.

ადგენს ერთობის წევრთათვის დირებულებებს, უფლებებს და ვალდებულებებს. ის შესაძლოა მოცავდეს პატრიოტიზმს, ლოიალურობას, მოვალეობას, თამაშის შეთანხმებულ წესებს და ა.შ.

საბოლოო ჯამში, მსგავსი კოლექტიური მეხსიერება ემსგავსება ერთგვარ „სამოქალაქო რელიგიას“, თავისი სიმბოლოებით, წესებით და ტრადიციათა ერთობით, სადაც „მორწმუნე მოღვაწეთა“ გაერთიანებს სძალუცს გაერთიანება და დაბრკოლებათა გადალახვა¹. აქედან გამომდინარე, ნორას მიერ აღწერილი პროცესს „realms of memory“ შექმნისა პატონი ტრადიციების დამაგვირგვინებელ მომენტს უწოდებს (Hutton P.H. 1996).

მეხსიერების პოლიტიკის უმნიშვნელოვანების ელემენტებია ისტორიული ფაქტების სელექციის და მათი განსაჯაროების პროცესი². სელექციაში იგულისხმება შერჩევა, თუ რომელი მოვლენა როგორი ინტერპრეტაციით იქნას დამახსოვრებული ან საერთოდ დავიწყებული. აღნიშნულის მაგალითია სოციალისტური რევოლუციამდელი წარსულის ბედი რევოლუციის შემდეგ. პირველ ათწლეულში საბჭოთა ისტორიოგრაფია აშკარად ნეგატიურად იყო განწყობილი საბჭოთამდელი წარსულისადმი. სტალინის ხელისუფლებაში მოსვლის და განსაკუთრებით, მეორე მსოფლიო ომის წარმართვამ, საჭირო გახადა რევოლუციამდელი ისტორიის პარტიაზე მორგება და წარსულიდან ისეთი გმირების გამოხმობა, რომლებიც თავიანთი “პროგრესული” აზროვნებით ხელს შეუწყობდა სახელმწიფო კურსის ლეგიტიმაციას და მასებში აღტყინებას გამოიწვევდა.

სწორედ სელექციის პროცესის უმთავრესი მახასიათებლებია დავიწყება და გახსენება, როდესაც „მეხსიერების რედაქტორები“არჩევენ, თუ რომელი მოვლენა გაიხსენოს /დაიმახსოვროს საზოგადოებამ და პირიქით.

¹ იხ. სმიტი, ე. 2010. Carras C. 1983.

² პაროლდ მარკუზემ სწორედ ამიტომ გამოყო საჯარო მეხსიერება, რომელიც ეხება წარსულის იმდაგარ აღქმას, რომელიც დომინირებს საჯარო სფეროში, რომელსაც იუნიტეს მასმედია და მოცემული სახით არის წარმოდგენილი ოფიციალურ ცერემონიებზე. Marcuse H. 1993.

ისტორიის გახსენების პროცესში ხდება, არა მხოლოდ პოზიტიური ფაქტების წინა პლანზე წამოწევა, არამედ ნეგატიურისაც. პირველის მიზანი - ნებისმიერი საშუალებებით დიდებული წარსულის აღდგენა, აღორძინება, წარსული ღირებულებების დღევანდელობაში დანერგვაა, ოღონდ არსებულ ვითარებაზე მორგებით, თანამედროვე ინტერპრეტაციებით. ხოლო მეორე შემთხვევაში ხდება იმის აფიშირება, თუ ვისი ბრალია ის, რომ ამ მდგომარეობაში ვართ, რამ ან ვინ განაპირობა მდგომარეობის ასე გართულება.

მეხსიერების პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია ასევე „დავიწყების“ პოლიტიკა, რომელიც, არ არის აუცილებელი განხილულ იქნას, როგორ მეხსიერების „ მარცხი“, ფრიდრიხ ნიცშე „მორალის გენეალოგია“-ში განიხილავს „აქტიური დავიწყების“ პროცესს, რომელის დროსაც, გონება ახორციელებს გარკვეულ აქტივობას, რათა გამოათავისუფლოს ადგილი ახალი მოვლენის დამახსოვრებისთვის (Nietzsche F. 1989.p.18). სწორედ დავიწყება ქმნის საფუძველს განახლებისთვის.

მიღერის თანახმად შესაძლებელია „დავიწყება“ ორ ნაწილად დავყოთ: პირველი, როდესაც საზოგადოება ცდილობს დაივიწყოს უახლოესი მტკიცნეული წარსული, როგორიც იყო მაგალითად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ნაცისტურ წარსულთან დამოკიდებულება პირველ 15-20 წლების მანძილზე, ასევე ესპანელების დამოკიდებულება ფრანკოს მმართველობის პერიოდთან რეჟიმის ჩამოგდების შემდეგ. ნიცშეს თანახმად ეს პროცესი აუცილებელია საზოგადოების განახლებისთვის, რათა მან წარსული დაივიწყოს და ორიენტირი მომავალზე გააკეთოს (Миллер. A, 2009).

მეორე ტიპის „დავიწყებას“ ხშირ შემთხვევაში უწოდებენ „უარყოფითს“ (ამნეზია). ეს არის სიტუაცია, როდესაც საზოგადოების ძირითადი ნაწილი უარს ამბობს აღიაროს დანაშაული, რომელიც მისმა ერმა წარსულში, სხვა ქვეყნის/ქვეყნების წინააღმდეგ ჩაიდინა. მაგალითად იაპონიის დამოკიდებულება მათი წარსულისა და ისტორიული დანაშაულისადმი, ან საბჭოთა რუსეთის

უშაუალო სამართალ-მემკვიდრე რუსეთის ფედერაციის მიერ წარსულის აღქმა და უარყოფითი დამოკიდებულება ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების მიერ წარსულის გადაფასებისადმი.

გარდა ზემოთაღნიშნულისა, კონერტონმა შეიმუშავა დავიწყების უფრო დიფერენცირებული ტიპოლოგიზაცია და გამოყო შვიდი ტიპი, რომელთაც მეხსიერების ფორმირების პროცესში დიდი წვლილი მიუძღვით (Connerton, P. 2008. pp 59-71). მათი ნაწილი შესაძლებელია მოვარგოთ პოსტსაბჭოთა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკას. მაგალითად დავიწყება, რომელიც ახალი იდენტობის შემადგენელი ნაწილია. ამ შემთხვევაში დავიწყება დანაკარგთან არ ასოცირდება (როგორც ეს ძირითადად მიღებულია), არამედ, დავიწყება უფრო გაგებული უნდა იქნას, როგორც მონაპოვარი, რომელიც თანადროული იდენტობის „შექმნის მართვაში „გამოუსადეგარი მეხსიერებისგან“ გათავისუფლების საშუალებას იძლევა. ან დავიწყება, როგორც რეპრესიული წაშლა - გულისხმობს ღონისძიებების გატარებაც, წარსული ცვლილებების უარსაყოფად, თუმცა ის აუცილებლად არ მოითხოვს რეპრესიულ ღონისძიებებს; ამ შემთხვევაში მთავარი აქტორი მმართველი ძალაა; და ასევე მიზანმიმართული დავიწყება, როდესაც მიმდინარეობს წარსულის დავიწყების დაგეგმილი პოლიტიკა, ამ შემთხვევაშიც მის დაგეგმვა-იმპლემენტაციის პროცესში განმსაზღვრელი როლი ხელისუფლების წარმომადგენელთ მიუძღვით; გარდა ზემოთ აღნიშნულებისა ავტორი ასევე გამოყოფს:

- სტრუქტურული ამნეზია - პროცესი, რომლის დროსაც ხდება მხოლოდ სოციალურად მნიშვნელოვანი ინფორმაციის დამახსოვრება, უმნიშვნელო კი უნდა დაიგიწყონ;
- დავიწყება, როგორც გაუქმება, რომელსაც ინფორმაციათა დიდი ნაკადი იწვევს;
- დავიწყება, როგორც დაგეგმილი მოძველება, რომელიც შედეგია ხშირი ცვლილებების, რომელიც თანამედროვე სამყაროს ახასიათებს,

და რომელიც ასევე წარმოშობს აუცილებლობას მოხდეს მისი წარსულის რეკონსტრუირების პროცესში ჩართვა. შესაბამისად, ეს მიწვევს ე.წ. „მოძველებული“ მეხსიერების ახლით ჩანაცვლებას.

- დავიწყება, როგორც დამცირებული სიჩუმე, ამ მოვლენის განაპირობებს სირცხვილის გრძნობა, რომელიც უსიამოვნო მეხსიერებით არის გამოწვეული. რაც რასაკვირველია მიქქმალურია და ამიტომაც არის განწირული დასავიწყებლად.

თუმცა დავიწყება შესაძლოა დროებითი მოვლენა იყოს, რაც საზოგადოებაში დაძაბულობის განსამუხტავად არის, საჭირო, მაგრამ შესაძლებელია გარკვეული პერიოდის შემდეგ, შესაძლებელი წარსულს კვლავ მიუბრუნდნენ, როგორც მაგალითად ფრანკოს შემდგომ ესპანეთში მოხდა.

როდესაც ხელისუფლების მიერ მეხსიერების კონსტრუირებაზე და ამ მიზნისთვის ისტორიის გამოყენებაზე ვსაუბრობთ, წარსული გვევლინება ერთგვარ „რესურსების საცავად“ საიდანაც მუდმივად არის შესაძლებელი სასურველი ფაქტის მოძიება და შესაბამისი ინტერპრეტაციის გაკეთება. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ისტორიის გამოყენება, ყოველთვის არ ნიშნავს მის ფალსიფიკაციას ან არაჭეშმარიტებას, არამედ მათ მიზანმიმართულ, პოლიტიკურ მიზნებზე მორგებას და ამით მათი პოლიტიკური კურსის ლეგიტიმურობის ამაღლებას.

§1.4 მეხსიერება და გარდამავალი საზოგადოებები

ტრანზაციის პროცესში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს რეპრესიული და ტრავმული წარსულისაგან განთავისუფლება წარმოადგენს. როგორ გადაიჭრას ერის „ტანჯულობის პრობლემა“ ისე, რომ ხელი შეუწყოს დემოკრატიული რეჟიმის დამკვიდრებას (Huntington, S. 1991.), ეს არის გამოწვევა, რომელიც გარდამავალი სახელმწიფოს ხელისუფლების წინაშე დგას. როგორც წესი, გარდამავალ ეტაპზე საზოგადოებები ასევე დგებიან

„მაკორექტირებელი“ (Ackerman & Bruce. 1992.) თუ „ტრანზაციული“ (Elster J. 1999) სამართლის ძიებისა და გატარების საკითხის წინაშე.

სტენლი კოენი (Cohen, S. 1995.) გამოყოფს რამდენიმე ფაზას, რომელსაც გადიან გარდამავალი საზოგადოებები რეპრესიული წარსულის გააზრებისას. ესენია:

1. ყოფილი რეჟიმის შესახებ სიმართლის ძიება და დადგენა;
2. წარსულის დანაშაულებისთვის სამართლის დადგენა;
3. განსაზღვრა თუ ვინ არ დაისჯება წარსულში ჩადენილი დანაშაულისთვის;
4. მონანიების შესაძლებლობის მინიჭება;
5. საზოგადოების შერიგება და ერთიანობის კონსტრუირება;

თუმცა სხვადასხვა სახელმწიფოს წარმომადგენლები განსხვავებულად არჩევენ ფაზებს და მათი განხორციელების თანმიმდევრობას. ამასთანავე, პორნისა და ლეგის თანახმად არსებობს კორელაცია ტრანზაციის სახესა და სამართლის ძიების ფორმებს შორის. მაგალითად, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სამოქალაქო ომის შემდეგ პატიების პოლიტიკა აირჩია, ხოლო საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ გამარჯვებულებმა წინამორბედების დევნა დაიწყეს. თუმცა, ამ მიმართულებით ფრანკოს შემდგომი ესპანეთი და სამხრეთ აფრიკა გამონაკლისს წარმოადგენენ, ამ შემთხვევაში სხვა ფაქტორების ზემოქმედება გაცილებით საგრძნობია. თუმცა ფაქტია, რომ რადიკალური გადასვლის მცდელობა, ხშირ შემთხვევაში, ტრანზაციული სამართლის მიმართულებით რადიკალური პოლიტიკური კურსის გატარებას იწვევს (Horne, C. Levi, M. 2003. p.5).

პოსტკოლონიური და პოსტტოტალიტარული წარსულის გააზრების და მეხსიერების კონსტრუირების პროცესში ლუსტრაცია ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს. პაისის თანახმად (Huyse, L. 1995.) ლუსტრაციაზე არჩევანის შეჩერებისას მისი განხორციელების სამი შესაძლებლობა არსებობს:

სამართლებრივი დევნა, ამნისტია და ჰეშმარიტების დადგენა/შერიგება; პირველის მაგალითი საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ წინა მმართველი რეუიმისადმი დამოკიდებულებაა, მეორე შემთხვევას გარკვეულწილად პირველ ეტაპზე ფრანკოს შემდგომი ესპანეთი ასახავს, ხოლო აფრიკაში „ჰეშმარიტების დამდაქნი კომისიები“ მესამე არჩევანის მაგალითს წარმოადგენს. პორნის და ლევის თანახმად (Horne, C. Levi, M. 2003. p.3) ზემოთჩამოთვლილი არჩევანი ერთგვარი კონტინუუმია, სადაც დანაშაულისთვის სასჯელი მერყეობს სამართლებრივი დევნიდან საკუთრების დაკარგვამდე.

პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების უმრავლესობაში ლუსტრაციის გზა აირჩია, თუმცა არა ერთდროულად. სახელმწიფოების ნაწილმა წარსულის გააზრება 90-იან წლებშივე ამ მექანიზმის გამოყენებით დაიწყეს, ნაწილში მოგვიანებით სრულად ან ნაწილობრივ განხორციელდა. აღნიშნულ პროცესში უმთავრესი აქტორი პოლიტიკოსები იყვნენ, რომლებიც წარმართავდნენ გარდამავალი სამართლის ძიების პროცესს. ზოგ შემთხვევაში ლუსტრაცია იყო საფრთხე ან მუქარა, თუმცა ეს დიდწილად დამოკიდებული იყო რეჟიმის ხასიათზე. რაც უფრო მკაცრი იყო რეჟიმი, მით უფრო მკაცრი იყო ლუსტრაციის პოლიტიკა. თუმცა ფაქტი ერთია, როდესაც ლუსტრაციის კანონის კონსტიტუციურობას იხილავდა ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ დემოკრატიულ საზოგადოებას აქვს უფლება დაიცვას თავი და მოახდინოს წარსულის დანაშაულებათა პრევენცია (ინტერნეტ წყარო №34).

როგორც, არაერთხელ ვახსენეთ მეხსიერების პოლიტიკა უფრო მეტად პრაქტიკულად ნაკვლევ საკითხს წარმოადგენს და ორიენტირებულია კონკრეტულ შემთხვევათა ანალიზზე, თუმცა ამასს ხელი არ შეუშლია ე.წ „მეხსიერების ინდუსტრიის“ წარმოშობისთვის. ამ საკითხის კვლევა განსაკუთრებით საინტერესოა ისეთ გარდამავალ საზოგადოებებში, როგორიც საქართველოა, სადაც ტოტალიტარული წარსულის გააზრების პროცესი ახლა იწყება და ამავე დროს ქვეყნის წარსულისადმი არსებული სენსიტიური განწყობები მანიპულაციების დიდ შესაძლებლობას ქმნის.

თავი II. მეხსიერების პოლიტიკის ძირითადი ტენდენციები პოსტსაბჭოთა საქართველოში

ისტორიის, როგორც პოლიტიკის დამხმარე რესურსის შესაძლებლობები საბჭოთა კავშირის მესვეურებს კარგად ესმოდათ. შესაბამისად, საბჭოთა ხალხმა კოლექტიური მეხსიერების კონსტრუირების არაერთი ეტაპი გამოიარა. ოქტომბრის რევოლუციის შემდგომი ნარატივი მეფის რუსეთის მიღწევებს და მის გმირებს დირებულად არ თვლიდა და ბოლშევიზმის იდეალიზაციით ხდებოდა მისი ჩანაცვლება. ეს იყო ერთგვარი „მეხსიერების პროექტი“, რომლის ფორმირებაშიც არაერთი ჯგუფი იყო ჩართული, მათ შორის ისტორიკოსები და ინტელიგენციის წარმომამადგენლები (Corney, F.C. 1998.).

იმპერიის ხელმძღვანელობისათვის დაწყებულმა ბრძოლამ და შედეგად სტალინის ხელისუფლებაში მოსვლამ თავად ბოლშევიკი ლიდერების იერარქიის გადახედვაც გამოიწვია. შესაბამისად, საზოგადოებასაც უნდა მივიწყებოდა მათი სახელები. პირველ სასკოლო წიგნში „Краткий курс истории СССР. Учебник для 4-го класса. Под ред. Проф. А.В. Шестакова. М., 1937“

(<http://urokiistorii.ru/learning/manual/2010/16/kak-pisali-s-uchebniki-istorii-pri-staline>), რომელიც 1938 წელს გამოიცა, „ტროცკისტები“ და „ბუხარინელები“ გამოყენებულია, როგორც უარყოფითი ეპითეტი. თუმცა მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას საჭირო გახდა საზოგადოებაში მებროლი სულისკვეთების ამაღლება და მოარული გამოთქმის თანახმად „სტალინის კაბინეტში მარქსის და ენგელსის სურათები მეფის რუსეთის გენერლებმა ჩაანაცვლეს“.

შემდგომი საბჭოთა ნარატივი მოიცავს ნიკიტა ხრუშხის მიერ ინიცირებულ პიროვნების კულტის საკითხს, როდესაც გადაიხედა სტალინის პერიოდის ინტერპრეტაციები და მოგვიანებით, მიხეილ გორბაჩოვისეულ პრესტროიკის პერიოდს, როდესაც პოლიტიკური კურსის ლეგიტიმაციის ამაღლების მიზნით

ანალოგების ძიებისას კვლავაც მეფის რუსეთის რეფორმატორების ხსოვნის გაცოცხლებას შეეცადნენ. ჩამოთვლილი პერიოდებში ისტორიის განსხვავებული ინტერპრეტაციის პოპულარიზაციას ეწეოდნენ, მაგრამ მათი საერთო ნიშანი აღნიშნული ინტერპრეტაციის პოლიტიკურად განპირობებულობა და საზოგადოებაში მოცემული პოლიტიკური არჩევანის მხარდაჭერის ამაღლება იყო.

საბჭოთა ისტორიის პოლიტიზირებულობა იყო ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც საბჭოთა კავშირის დანგრევისთანავე ყოფილმა მოკავშირე რესპუბლიკებმა საკუთარი წარსულის გადაფასება და ხშირ შემთხვევაში “გა-დაწერა” დაიწყეს. რათა, ისტორიის თხრობა მორგებოდა დამოუკიდებელი სახელმწიფოების მოთხოვნებს. ეს მოთხოვნაც ხშირ შემთხვევაში პოლიტიკური იყო, ოღონდ, აწ უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოების ინტერესებს მორგებული.

საქართველოში საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში, საბჭოთა რეჟიმის ლიბერალიზაციის კვალდაკვალ იზრდებოდა საპროტესტო მოძრაობა, რომელსაც ეროვნული ხასიათი ჰქონდა და ძირთადად, რეჟიმის წინააღმდეგ იყო მიმართული. ის, არამხოლოდ მმართველი ძალის ბნელი საქმეების გამომზეურებას ცდილობდა, არამედ, ყოფილი მმართველებისთვის მიუღებელი ისტორიული ფაქტების გამუღავნებითაც იყო დაინტერესებული. აღნიშნული პერიოდისთვის ძირითადად დამახასიათებელია წარსულის „აღმოჩენის“ ტენდენცია (Hobsbawm E. 1983), რომელიც საზოგადოების კონსოლიდაციას ცდილობს ისეთი მოვლენების და ფაქტების გამომზეურების საშუალებით, რომელიც შეესაბამება დასახულ მიზნებს.

ამავე დროს, ამ სტრატეგიის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი არის საზოგადოების თითოეული წევრის მიერ „მოვლენათა ახლებურად გააზრება“, დირებულებათა გადაფასება და სახელმწიფოს განვითარების ახალი გზის ძიების აუცილებლობის გაცნობიერება.

საქართველოში მოვლენათა გადაფასების პროცესი შეუქცევადი 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ გახდა, როდესაც საბჭოთა სისტემას თბილისში ათეულობით უდანაშაულო ადამიანი ემსხვერპლა და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში დარჩენის სურვილი უკვე საზოგადოებაში მიუღებლად, არაპატრიოტობად აღიქმებოდა. მიუხედავად საბჭოთა იდეოლოგიის მიერ „საბჭოთა იდენტობის“ თუ „საბჭოთა მოქალაქის“ ჩამოყალიბების მცდელობისა, საქართველოში იდეოლოგიური კომუნისტების რაოდენობა ძალიან მცირე იყო. საზოგადოების ძირითადი ნაწილი პარტიაში გაწევრიანებას, როგორც კარიერული წინსვლის საშუალებას აღიქვამდა და ის პატრიოტიზმის ხელშემშლელ ფაქტორად სულაც არ აღიქმებოდა. კომუნისტებიც ისეთივე პატრიოტად თვლიდნენ თავს, როგორც არაკომუნისტებიც. „სამშობლოსადმი“ დამოკიდებულებისა და მისი „სიყვარულის“ საკითხი უცვლელი იყო და გადახედვას არ ექვემდებარებოდა. შესაძლოა ეს პროცესი სტალინის მმართველობისას დაწყებული კულტურული ნაციონალიზმის წახალისების პოლიტიკაც იყო განპირობებული (ლ. ბერძენიშვილი, სიღრმისეული ინტერვიუ. 12.11.2014).

პატრიოტიზმის ქართულ გაგებას თავისებური ხასიათი ქონდა და მთელი ძალით, როგორც, კრიტიკულ სიტუაციაში იჩენდა თავს, როდესაც “ნაციონალურ სიამაყესთან” დაკავშირებული საკითხები კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა. ამის მაგალითებია: 1956 წლის 9 მარტის ტრაგედია, რომელიც დიდი ბელადის ღირსების დაცვის მოთხოვნით დაიწყო და თავისუფლების მოთხოვნის ლოზუნებში გადაიზარდა, ასევე 1978 წლის გამოსვლები დედა ენის დასაცავად, რომელიც ასევე პატრიოტული სულისკვეთებით იყო გამსჭვალული. 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიით კი საქართველოს დამოუკიდებლობას ჩაეყარა საფუძველი და ეს დამოუკიდებლობა წინადმდებობის იმ მივიწყებულ ტრადიციებზე უნდა დაფუძნებულიყო, რომელსაც საზოგადოება ნელ-ნელა იხსენებდა და, რომელიც მიტინგებზე გამოტანილ ტრანსპარანტებზე ქაქუცასა და სხვა შეფიცულების,

როგორც ქართული სახელმწიფო ბრიობისათვის მებრძოლი გმირების სახით ისევ ჩნდებოდა¹.

§2.1 წარსულის გადაფასება და აღმოჩენა

XX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს ინფორმაციის გავრცელების ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებას პრესა წარმოადგენდა. ის ფაქტი, რომ შესაძლებელი იყო პრესის ცენზურას გაპარვოდა ოფიციალური ინფორმაციის აღტერნატიული ვერსია, რაც ტელევიზიასა და რადიოში შეუძლებელი იყო, პრესის პოპულარობას უფრო მეტად ზრდიდა. შესაბამისად, საქართველოს ურნალ გაზეთებში 1988 წლიდან უკვე იჩინა თავი ისტორიის საბჭოთა ვერსიის გადაფასების და ახალი კონცეფციების საზოგადოებისთვის გაცნობის მცდელობამ.

თუკი შევადარებო 80-იანი წლების საქართველოში ორ ყველაზე გავლენიან გაზეთს „სახალხო განათლებას“ და „კომუნისტს“, აშკარად შეიმჩნევა საქართველოს ისტორიისადმი დაინტერესება და მისი ოფიციალურისგან განსხვავებული ინტერპრეტაციით გაანალიზების მცდელობა. ასევე საინტერესოა ის ფაქტი, რომ პირველი ნაბიჯის გადადგმა ისტორიკოსების მიერ ხდება.

მაგალითად, გაზეთ „კომუნისტში“ 1988 წელს იბეჭდება ორი საინტერესო სტატია: პირველის ავტორია ისტორიკოსი აკაკი სურგულაძე (სურგულაძე, ა. 24 აპრილი, 1988.) და მეორეს კი გურამ ყორანაშვილი (ყორანაშვილი, გ. 12 ივნისი, 1988). აღნიშნულ სტატიებში ავტორები ცდილობენ გადააფასონ ისტორიულ მოვლენათა არსებული - საბჭოთა ინტერპრეტაცია და ამასთანავე, განსხვავებული თვალთახედვით გააცნონ მკითხველს მათი აზრით სადაო ფაქტები. ეს პუბლიკაციები გაჯერებულია პათოსით, რომ ისტორიის არსებული

¹ ქაქუცა ჩოლოფაშვილი, 1924 წლის აჯანყების ერთ ერთი ლიდერის ფოტოსურათი ბევრისათვის უცნობი იყო და მიტინგებზე ბევრი მას ახალგაზრდა იღიად თვლიდა.

გააზრება თანამედროვეობის (საბჭოთა) სტერეოტიპების და შეხედულებების ზეგავლენას დიდი დოზით განიცდის და ხშირ შემთხვევაში პოლიტიზირებულია, რაც მისი „ახლებურად გააზრების“ და ჭეშმარიტების დადგენის საჭიროებას წარმოშობს.

1989 წელს გაზეთ „სახალხო განათლებაში“ ა. სურგულაძე აგრძელებს აღნიშნულ თემატიკას და აფასებს 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა არმიის საქართველოში შემოსვლას. მისი თქმით:

„ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია უნდა ვაღიაროთ ხცოდავდა ამ მოვლენის შეფასებაში. იგი ტენდენციურად აშუქებდა ფაქტებს. აქცენტს აკეთებდა კ.წ. აჯანყებაზე, რომელიც სინამდვილეში არ ყოფილა და მე-11 არმიის ლაშქრობას განიხილავდა, როგორც მხოლოდ დახმარებას საქართველოს მუშებისა და გლეხებისადმი. ასეთი იყო სავალდებულო ხტერეოტიპი.“

ამით ისტორიკოსი ხაზს უსვამს, რომ მათ ქონდათ გარკვეული მითითებები ისტორიის ოფიციალური ვერსიის შემუშავებისას, და რომლის გათვალისწინება სავალდებულო იყო.

თუ ამავე გაზეთის 1988 წლის მაისის ნომერში საერთოდ არ იყო ნახსენები 1918-1921 წლებში საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობა, ერთი წლის შემდეგ 1989 წლის 24 მაისის „სახალხო განათლების“ პირველ გვერდზე დამოუკიდებელი საქართველოს დროშა და გერბია განთავსებული, და საერთოდ მთელი ნომერი 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ფაქტს ეძღვნება. აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ წარსულის აღმოჩენის პროცესი ძალიან აქტუალური ხდება და ამასთანავე ხელისუფლების დირექტივები უპავ ვეღარ ახდენს ზეგავლენას გავრცელებული ინფორმაციის შინაარსზე.

ეს მაგალითი უჩვენებს, თუ როგორ იცვლება მეხსიერების პოლიტიკის პრიორიტეტები საქართველოში. როგორ ჩნდება თემატიკა, რომელიც საზოგადოებამ უნდა იცოდეს და რომლის გახსენებაც საჭიროა რათა შეძლოს იმ მიზნის მიღწევა, რომელიც 1988 წლის ბოლოდან საზოგადოებაში აქტიურად ტრიალებს და საფუძველს ამზადებს ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოსაცხადებლად.

ეს არ იყო ოფიციალური ხელისუფლების მხრიდან მომდინარე მეხსიერების პოლიტიკა, ეს უფრო მეტად ქვემოდან ზემოთ საზოგადოებიდან მომდინარე ტენდენცია, რომელიც 1989 წლიდან დიდი გავლენით სარგებლობდა და რომელსაც წინააღმდეგობას ოფიციალური პროპაგანდა ვერ უწევდა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მეხსიერების ტენდენცია შეიცვალა და ის უფრო მეტად ხელისუფლების მიერ მართული გახდა.

როგორც წესი, წარსულის აღმოჩენისას წინა პლანზე გამოდის, არა მხოლოდ ეპოქა, არამედ ამ ეპოქაში მოღვაწე გმირებიც, რომლებიც ახალი ეპოქის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე დავიწყებულნი იყვნენ, გამონაკლის არც ამ პერიოდის საქართველო წარმოადგენდა. მაგალითად, 1989 წელს, გაზეთ „სახალხო განათლებაში“ დაიწყო გამოქვეყნება ემიგრანტული მასალების და იმ ქართველების შესახებ, რომელთა არსებობა საბჭოთა კავშირში ფარდაგადაფარებული იყო და მხოლოდ ხალხის მტრის ეპითეტებით მოიხსენიებოდა. ამ მასალებში ხაზგასმით შეინიშნება არსებული შეხედულებების გადაფასების და მათი ახალი კუთხით, როგორც ქვეყნისათვის დავდადებული გმირების დანახვის მცდელობა.

აღნიშნული მასალებს განსაკუთრებული მნიშვნელობა იმ თვალსაზრისითაც ქონდა, რომ 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ ხსოვნას აცოცხლებდა და ამავე დროს, ხელს უწყობდა 1921 წელს საბჭოთა ჯარების საქართველოში შემოსვლის, როგორც ოკუპაციის შეფასების დამკვიდრებას.

ამასთანავე, მუდმივად ხდებოდა საზგანება იმ ფაქტისა, რომ 1921 წელს საქართველო ძალით გაასაბჭოეს, მაგრამ მთავრობას ხელი არ მოუწერია კაპიტულაციაზე. რესპუბლიკა ფაქტობრივად ანექსირებული იყო, მაგრამ იურიდიულად შეინარჩუნა თავისი დამოუკიდებლობა, რაც სუვერენული სახელმწიფოს აღდგენის კონსტიტუციური საფუძველს წარმოადგენდა. ეს სახელმწიფოებრიობის განგრძობადობის შესაძლებლობას იძლეოდა (საქართველოს რესპუბლიკა, ინტერვიუ ზ. გამსახურდიასთან, 27 თებერვალი. 1991. გვ1-2.).

გმირების სამშობლოსათვის თავდადება იყო მაგალითი, რაც თანამედროვეებს პასიურობის უფლებას არ უტოვებდა. მაგალითად, საქართველოს კათალიკოს - პატრიარქ ამბროსი ხელაიაზე საუბრისას ავტორი სტატიას შემდეგნაირად იწყებს:

“ნებისმიერი ქართველი მკითხველი, რომლისთვისაც ძვირფასი და ახლობელია მშობლიური ერის ისტორიული წარხული, შეუძლებელია ხულიერად და ზნეობრივად არ გაამდიდროს ჩვენი ერის ერთ-ერთი ღირსეული და საუკეთესო შვილის სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ამბროსი ხელაიას პიროვნებამ. მან გამოიარა იმ თანამემამულეთა ტრაგიკული ხვედრი, რომელთათვისაც უმთავრესი ”ენა, მამული, სარწმუნოება” ჰქმარიტებისა და სიმართლის დამკვიდრება და დაცვა გახლავთ.”

ხოლო სტატიაში, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალ გიორგი მაზნიაშვილს ეხებოდა ავტორი საუბრობს, რომ მისი სახელი მართალია ისტორიით დაინტერესებული ადამიანებისათვის ცნობილია, მაგრამ საზოგადოების ფართო ფენებმა ამ დიდი მოღვაწის შესახებ თითქმის არაფერი იციან, არადა ამ ადამიანებმა საქართველოს შესწირეს თავი.

რაც შეეხება ისტორიის ნეგატიური ასპექტების გამოვლენას, ის როგორც წესი წინა წყობილებასთან, ან რეჟიმთან და მის მიერ განხორციელებულ პოლიტიკურ

კურსთან არის დაკავშირებული. მაგალითად, იგივე “სახალხო განათლების“ ფურცლებზე 1989 წელს მასიურად იძეჭდება სტატიები, რომლებშიაც საუბარია საბჭოთა სისტემის სისასტიკეზე, რომელმაც:

“ქართველი ინტელიგენციის პროგრესულად მოაზროვნე, გაბედული ჯგუფის პროტესტი და ოპოზიციური მოღვაწეობა პარტიულმა და საბჭოთა ბიუროკრატიამ საგენებით სწორად თავისი ინტერესის საწინაღმდეგო აზროვნებად და ქმედებად აღიქვა. ამიტომაც მათ წინააღმდეგ 30-იან წლებში თრგანიზებულ იქნა სისტემური და სახელმწიფოებრივ დონეზე გააზრებული ძალმომრეობა და პოლიტიკური ტერორი.”

დაფარული ფაქტების გამოვლენისადმი საზოგადოების ინტერესის და დადებითი განწყობის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ აღნიშნული გაზეთების მთელი ტირაჟი გამოქვეყნებისთანავე იყიდებოდა.

§ 2.1.1 საბჭოთა წარსულის გადაფასება ინსტიტუციონალურ დონეზე

ამ პერიოდის საქართველოში ძირითადი ტენდენცია წარსულის გახსენებაა. ყველა მცდელობა მიმართულია იქითკენ, რომ გაირკვეს თუ როგორია “ჭეშმარიტი” ისტორია, რომელიც საბჭოთა პერიოდის დროს გააყალბეს.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ინსტიტუციონალურ დონეზე დადგა საბჭოთა მმართველობის შეფასების და მისგან დისტანცირების საკითხი. 1990 წლის 14 ნოემბერს მიღებულ იქნა კანონი გარდამავალი პერიოდის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა ღონისძიებათა კომპლექსს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის და საბჭოთა იმპერიისაგან ეტაპობრივი გამოყოფის სფეროში. გარდა ამისა საქართველოს უმაღლესი საბჭოს კომისიამ შეისწავლა წითელი არმიის შემოჭრის საკითხი და ის უკანონოდ გამოაცხადა,

რითაც გაუქმდა საბჭოთა კავშირის ყოველგვარი პრეტენზია საქართველოზე. ქვეყანას დამოუკიდებლად ცხოვრების გაგრძელების შესაძლებლობა ეძღვდა.

1991 წლის არჩევნების შემდგომ პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ კიდევ უფრო განამტკიცა კურსი, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იძულებით ყოფნის პერიოდში დანერგილი სახელმწიფო სისტემის დემონტაჟისაკენ. უპირველეს ყოვლისა, უკანონოდ გამოცხადდა „1921 წლის 21 მაისის მუშურ-გლეხურ სამოკავშირეო ხელშეკრულება“ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკას შორის. ასევე გაუქმდა 1922 წლის 12 მარტის სამოკავშირეო ხელშეკრულება ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა ფედერალური კავშირის შექმნის შესახებ“ (გამსახურდია, ზ. 10 აპრილი, 1991. გვ. 1-2). საქართველომ უარი თქვა, როგორც ე.წ. რუსეთის ფედერაციის მიერ შემოთავაზებულ ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელმოწერაზე, ასევე „დემოკრატიულ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში“ ე.წ. დსთ-ში შესვლაზე (ჯონსი, ს. 2013 გვ. 50-51).

საბჭოთა კავშირისგან დისტანცირების კიდევ ერთი ნაბიჯი 1991 წლის 15 სექტემბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილება იყო, რომელმაც საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის ჯარები ოკუპანტთა შეიარაღებულ ძალებად გამოაცხადა და მთავრობას დაავალა იმპერიულ ცენტრთან მოლაპარაკებების დაწყება მათი ეტაპობრივი გაყვანის შესახებ (იქვე გვ. 67).

ოკუპანტის სტატუსის მინიჭება იყო იმ სამართლებრივი პოლიტიკის შედეგი, რომელიც წარმოებულ იქნა საქართველოში 1991 წელს და ეს არა მხოლოდ ხელისუფლების ნების გამოხატულება იყო, არამედ მას საზოგადოებისაგანაც ქონდა ლეგიტიმაცია. კერძოდ, 1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარდა რეფერენდუმი კითხვით: "გსურთ თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე".

აღნიშნულ კითხვას მოსახლეობის 98 პროცენტმა დადგებითად უპასუხა და გამოხატა თავისი ნება, რომ არ სურდა საქართველო ყოფილიყო საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში. სწორედ ამ რეფერენდუმის შედეგებით და 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის არა ხელახლა გამოცხადებით, არამედ აღდგენით, საქართველომ იურიდიული კავშირი დაამყარა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტან. და ამით კიდევ ერთხელ მიანიშნა წარსულისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულების ფაქტზე.

1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია იურიდიულად იქნა აღიარებული. გამომდინარე აქედან, 1991 წლის ოქტომბერში საბჭოთა ჯარებისათვის ოკუპანტის სტატუსის მინიჭება იყო აბსოლუტურად ლოგიკური, სამართლიანი და პოლიტიკურად გამართული აქტი. მითუმეტეს, იმ ეტაპზე, როდესაც დასაშლელად გამზადებული საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე გახდა რუსეთის ფედერაცია, ხოლო საქართველოში დისლოცირებული საბჭოთა ჯარები რუსეთის ფედერაციის ჯარები.

მაგრამ, აღნიშნული პოლიტიკა საქართველოში თანმიმდევრულად ვერ გაგრძელდა, რადგანაც 1992 წლის 6 იანვარს, როდესაც სამხედრო საბჭომ (ჯ. იოსელიანი, თ. კიტოვანი, თ. სიგუა) დაამხო ზეიად გამსახურდიას ხელისუფლება, რუსეთის ფედერაციის ჯარებს ოკუპანტის სტატუსი მოეხსნა, რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოში მოგვიანებით დატრიალებულ მოვლენებში. კერძოდ სამოქალაქო ომსა და აფხაზეთში კონფლიქტური მოვლენების განვითარებაში.

მორიგი მნიშვნელოვანი საკითხი რეპრესირებულ პირთა რეაბილიტაციას ეხებოდა. აღნიშნული საკითხის დარეგულირება საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე ვერ მოხერხდა, მხოლოდ 1997 წლის ნოემბერში ამოქმედდა კანონი "საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესიებულთა სოციალური დაცვის შესახებ", აღნიშნული კანონი

ვრცელდება იმ ადამიანებზე და მათ ოჯახის წევრებზე, რომელთაც რეპრესია განიცადეს საქართველოს ტერიტორიაზე 1921 წლის 25 თებერვლიდან 1990 წლის 28 ოქტომბრამდე (საქართველოს კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ, 11 დეკემბერი 1997). აღნიშნული კანონის მიღებას წინ უძღვდა საბჭოთა კავშირში რეპრესირებულთა და მათი ოჯახის წევრების სარჩელი სტრასბურგის სასამართლოში, რომლითაც ისინი სახელმწიფოსგან მორალური ზიანის ანაზღაურებას ითხოვდნენ. თუმცა, ვიდრე ევროსასამართლო გადაწყვეტილებას მიიღებდა, ქართულ კანონმდებლობაში ცვლილება შევიდა, სადაც დაფიქსირებულია, რომ საბჭოთა იმპერიის დროს რეპრესირებულ პირებს და მათი პირველი რიგის მემკვიდრეებს მორალური ზიანისთვის ერთჯერადი დახმარება მიეცემოდათ (ინტერნეტ წყარო №11).

ინსტუტუციონალურ დონეზე დამოუკიდებლობის პირველივე ეტაპზე საქართველოს ხელისუფლებამ შეძლო გამიჯვნოდა საბჭოთა სისტემას და ხაზი გაესვა საბჭოთა კავშირში კოფნის იძულებით ხასიათზე. ეს ერთგვარი სიგნალი იყო იმისა, რომ საბჭოთა კავშირის გააზრების და მისი კოლექტიურ მეხსიერებაში ასახვის პროცესი დაიწყებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, სამხედრო გადატრიალებამ და სამოქალაქო ომმა მოვლენების სხვანაირად განვითარება გამოიწვია.

§2.2 დეკომუნიზაციის და ლუსტრაციის საკითხი პოსტსაბჭოთა საქართველოში

ტოტალიტარული სახელმწიფოს დაშლისთანავე მწვავედ დადგა საბჭოთა უშიშროების სამსახურებთან დაკავშირებული პირების ლუსტრაციის და პოლიტიკური სისტემის დეკომუნიზაციის საკითხი¹. ამ საკითხის სიმწვევე

¹ ლუსტრაცია და დეკომუნიზაცია ხშირ შემთხვევაში სინონიმებად გამოიყენება, მაგრამ მარია ლოსი მათ შორის მნიშვნელოვან განსხვავებას ხედავს. ავტორის აზრით, დეკომუნიზაცია უკავშირდება

საბჭოთა მმართველობის უმკაცრები ხასიათი და რეპრესიათა ტალღები განაპირობებდა, რომელიც საზოგადოებამ საქართველოს გასაბჭოების დღიდან გამოიარა. მაგრამ ლუსტრაციის პროცესი თავის მხრივ დიდ სირთულესთან იყო დაკავშირებული და ამ მოთხოვნილებას თან საზოგადოების მხრიდან დიდი შიში და პოლიტიკოსების სიფრთხილე ახლდა.

ლუსტრაცია, როგორც პოლიტიკური მექანიზმს გამოყენების ხანგრძლივი ისტორია აქვს. ლუსტრაციის კანონი არ არის სისხლის სამართლის ნაწილი, ის გარკვეულწილად შრომის კოდექსის გაგრძელებას წარმოადგენს. ის არ ითვალისწინებს საიდუმლო სამსახურებთან თანამშრომლობასა და დანაშაულში მხილებულ ადამიანების სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემას, არამედ გარკვეული ვადით ან უვადოდ ეკრძალებათ მხილებულ პირებს პოლიტიკური, აკადემიური და სხვა კანონმდებლობით დადგენილი თანამდებობის დაკავება.

როგორც წესი, ლუსტრაციის მომხრეებს გაცილებით მეტი არგუმენტი აქვთ, ვიდრე მოწინააღმდეგებს.

პირველ შემთხვევაში ძირითადი არგუმენტია, რომ:

- ✓ წინა რეჟიმი იყო ცუდი (ბოროტი) და საჭიროა მისი შეფასება. მისი მომხრეების გამოვლენა და მმართველობითი პროცესებისთვის ჩამოშორება;
- ✓ ახალ სახელმწიფოს სჭირდება მოფრთხილება, რათა ძველმა რეჟიმმა ვერ მოახერხოს ძალების მოკრება და დაბრუნება;

საჯარო სივრცის, და განსაკუთრებით პოლიტიკის, ყოფილი საბჭოთა ნომენკლატურის წარმომადგენლებისგან განწმენდას. მას არ აქვს შეხება ჩვეულებრივ მოქალაქეებთან, მაშინ როდესაც ლუსტრაცია გაცილებით დიდი მასშტაბისაა და შესაძლოა მასში მთელი საზოგადოება ჩაერთოს. შესაბამისად ჰყავს განსხვავებული სამიზნე ჯგუფები, მოითხოვს განონში განსხვავებული ნორმის გათვალისწინებას, დასაბუთებას და მათ განხორციელებას. ორიგვე მათგანის განხორციელების შედეგად გაწეული საზღაური და მიღებული შედეგებიც განსხვავებულია. (Los, M. 1995. p121)

✓ ისტორიული გამოცდილება, როგორიცაა მაგალითად ორად გაყოფილი გერმანია, რომელმაც შეერთების შემდეგ ამ პროცესის გავლა მოახერხა და ლუსტრაციის და დენაციფიკაციისა და დეკომუნიზაციის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს.

რაც შეეხება ნეგატიურ მხარეს, ლუსტრაციის კანონს ყველა შემთხვევაში აქვს უკუძალა. ის იწვევს ადამიანების დადანაშაულებას წარსულში არარსებული კანონმდებლობის შესაბამისად და საზოგადოებაში მტკიცნეულად ხდება მისი გადალახვა, მიუხედავად იმისა, რომ უმეტეს შემთხვევაში იდეა დიდი საზოგადოებრივი მხარდაჭერით სარგებლობს.

ლუსტრაციის პროცესი, როგორც წესი, თან სდევს ხოლმე ტოტალიტარული და ავტორიტარული რეჟიმების ნგრევას. აღნიშნულის თანამედროვე მაგალითია ერაყში 2003 წელს დაწყებული ე.წ. „დებათიფიკაციის“ პროცესი, როდესაც ყოფილი მმართველი პარტია „ბაათის“ წევრებს სახელმწიფო სამსახურში დასაქმება აეკრძალა. ამ კანონმა საკმაოდ მწვავე რეაქცია გამოიწვია და შეიარაღებულ წინააღმდეგობებშიც კი გადაიზარდა. შედეგად, ერაყის ახალი ხელისუფლება იძულებული გახდა შეერბილებინა გადაწყვეტილება და პარტიის ზოგიერთ წევრს საჯარო სამსახურში დაბრუნების ნება დართო (ინტერნეტ წყარო №36).

საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, აღნიშნული პროცედურა სახელმწიფოთან ნაწილმა მეტ-ნაკლები წარმატებით გაიარა. ნაწილი მოგვიანებით მიუბრუნდა, თუმცა, დისკუსიები ლუსტრაციის აუცილებლობაზე მუდმივად მიმდინარეობდა საზოგადოებაში. ამ პროცესს უმეტეს შემთხვევაში თანსდევდა მწვავე განხილვა და დისკუსია, საკონსტიტუციო სასამართლოში ადამიანის უფლებათა დარღვევის და ანტიკონსტიტუციურობის მოტივით სარჩელის განხილვა.

ლუსტრაციის პროცესის განხილვისას შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ძირითადი მახასიათებელი, კერძოდ:

- ✓ ლუსტრაცია გულისხმობს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საჯარო მოხელეების გადამოწმებას და მათი საიდუმლო სამსახურთან თუ რეჟიმთან თანამშრომლობის საკითხის გარკვევას. ამ კონტექსტში ხშირად გამოიყენება ტერმინი დეკომუნიზაცია, რომელიც თავის მხრივ საბჭოთა მმართველობის შეფასებას და ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკას მოიაზრებს.
- ✓ მიუხედავად სხვაობისა, ლუსტრაციის და დეკომუნიზაციის პროცესების მოქცევა ერთ კანონპროექტში შესაძლებელია და ამის მაგალითია ჩეხოსლოვაკია 1993 წლამდე და ჩეხეთის რესპუბლიკა 1993 წლის შემდეგ. როდესაც დეკომუნიზაციია და ლუსტრაცია დაუკავშირებს ერთმანეთს და კანონპროექტმა შეძლო გადალახა შველა შესაძლო ინსტიტუციური ბარიერი, რომელსაც ვეტოს დადება შეეძლო¹. ბულგარეთსა და ალბანეთშიც დეკომუნიზაცია და ლუსტრაციის პროცესი ერთად დაიწყო, მაგრამ ამ ქვეყნებში ჩეხეთის პრეცენდენტი ვერ განხორციელდა, რადგანაც ვერ მოხერხდა პირველ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს, ხოლო მეორეში პრზიდენტის ვეტოს დაძლევა (ბიოლის ფონდი. 29 ივნისი, 2011)

თეორეტიკოსების თანახმად არჩევანი ლიბერალურ და რადიკალურ პოლიტიკას შორის არჩევანზე რეჟიმთან ურთიერთობის და წინააღმდეგობის გამოცდილება ახდენს. მაგალითად, ჩეხეთის მაგალითი შეიძლება აიხსნას წინააღმდეგობის მოძრაობის შედარებით სუსტი ხასიათით ვიდრე პოლონეთთან, სადაც რეჟიმთან დაპირისპირებამ ლამის ნაციონალური ხასიათი მიიღო. ხოლო კითხვაზე, რატომ აირჩიეს პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებმა ლუსტრაცია, როგორც წარსულის

¹ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად ჩეხეთის ლუსტრაციის კანონის მკაცრი ხასიათი იმითაც იყო განპირობებული, რომ "სავერდოვანი რევოლუციის" შემდეგ, 10 დღეში პრაღაში გავრცელდა პროკლამაციები, რომ კომუნისტებს უნდა დაეგრძელონათ ძალაუფლება.

გააზრების ერთ-ერთი უმთავრესი გზა, ჰაისის თანახმად (Huyse, L. 1995) შესაძლებელია საბჭოთა რეჟიმის ფუნქციონირებაში საზოგადოების ჩართულობის ხარისხში ვეძებოთ. კერძოდ, ლათინურ ამერიკასა და სამხრეთ აფრიკაში ზღვარი რეპრესიის მომწყობებსა და რეპრესირებულითა შორის აშკარა იყო და ამას ლათინური ამერიკის სამხედრო მმართველობა თუ აფრიკაში რასობრივი განსხვავება მიუთითებდა. მაგრამ პოსტ საბჭოთა სახელმწიფოებში რთული იყო საზოგადოების წარმომადგენლების რეპრესიებში შეტანილი წვლილის გარკვევა. ოოგორც ადამ მიხნიკი და ვაცლავ პაველი 1993 წელს ამბობდნენ: „ჩვენ აქ ყველანი ერთად ვართ, რადენადაც ყველამ პირდაპირ მეტნაკლებად შევქმენით რეჟიმი, ყველამ ვინც ჩუმად ვიყავით, ასევე ყველამ ვინც შევეჩვიეთ მას“ (პაველი, ვ. 2003). და თუკი საზოგადოების დიდი ნაწილი ჩართული იყო აღნიშნულ პროცესში, მაშინ ძალიან რთული იყო განსაზღვრა თუ ვინ იყო დამნაშავე და ვინ მსხვერპლი, ვინ დასჯილიყო და ვინ არა, ვინ იყო ჩართული ე.წ. „აქტიურ“ ან „პასიურ“ კოლაბორაციაში. ეს იყო ის კითხვები, რომლის წინაშეც დადგნენ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოები ლუსტრაციის პროცესის განხორციელებისას.

პოსტსაბჭოთა სივრცეში ლუსტრაციის პროცესის აღწერად შეიძლება ჩაითვალოს დიდიდენტ ადამ მიხნიკის მიერ გაკეთებული განცხადება „დიახ ამნისტიას, არა ამნეზიას“ (Auer, F. 2004. p.90) რომელიც მან 1989 წელს ლუსტრაციის შესახებ დებატებისას წარმოთქვა. შესაბამისად ლუსტრაციის საკითხი ასევე უკავშირდება ამნისტიის ან ამნეზიის საკითხის. თუ რომელს ირჩევს სახელმწიფო წარსულთან ურთიერთობის მოსაგვარებლად.

საქართველოში ლუსტრაციის შესახებ კანონის მიღება 1990-იან წლებში ვერ მოხერხდა, ამის მიზეზად ექსპერტები ასახელებენ არქივების მოუწესრიგებლობის საკითხს.¹

გადარჩენილებს შორისაა სისხლის სამართლის საქმეების ფონდი 1921-დან 1990 წლამდე. ასევე შემორჩენილია ცენტრალური კომიტეტის არქივი, რომელიც შეიცვას დაახლოებით 2.5 მილიონ ერთეულს. ეს არქივი 2007 წელს პრეზიდენტის ბრძანებულებით გადმოეცა შსს-ს და ის ნებისმიერი მსურველისთვის ხელმისაწვდომია), ხელმძღვანელთა შიშს მათი ან მათი ახლობლების პირადი საქმეების განსაჯაროებისადმი და ასევ შიში იმისა, რომ მასალების გამომზეურება შერისძიების მიზეზი შეიძლებოდა გამხდარიყო.

საქართველოს ყველა მთავრობა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე პირობას სდებდა რომ აუცილებლად მოხდებოდა ლუსტრაცია, თუმცა აღნიშნული საკითხის მოწესრიგება ზოიად გამსახურდიასა და ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს საკანონმდებლო დონეზე ვერ მოხერხდა. ქართული პრესის ფურცლებზე არაერთხელ გამოჩნდა საიდუმლო მასალები და სტატიები, სადაც კონკრეტულ პირებს საბჭოთა კავშირის საიდუმლო სპეცსამსახურებთან

¹ 90-იან წლებში არქივის დიდი ნაწილი გატანილ იქნა რუსეთში (უშიშროების არქივის მონაცემებით 1990 წელს საბჭოთა უშიშროების არქივი გაიტანეს ქალაქ სმოლენსკში), ხოლო დარჩენილი ნაწილის თითქმის 80 % 1991-1992 წლებში სამოქალაქო ომის დროს დაიწვა დაახლოებით 48000 პირადი საქმე. გადარჩა მხოლოდ 20%.

შსს არქივის ხელმძღვანელის ომარ თუშურაშვილის განცხადებით ხანძრის შედეგად დაახლოებით 22 ათასი საქმე განადგურდა, რომელთა შორის იყო: საიდუმლო საქმისწარმოების მასალები - 7 ათასამდე საქმე. ასევე იაპონური დაზვერვის, თურქეთის, ირანის, იტალიის, გერმანიის საკონსულოების საიდუმლო საქმისწარმოებები, სამამულო ომის პერიოდის ტყვეთა ფილტრაციის და სახელმწიფო შემოწმების 45 ათასი საქმე, სისხლის სამართლის წარმოებით შეწყვეტილი საქმე რეაბილიტირებულ პირებზე - 48 ათასი საქმე. ესენი იყვნენ პირები, რომლებმაც რეაბილიტაცია მიიღეს 1989 წლის [სსრკ უმაღლესი საბჭოს] პრეზიდიუმის მიერ გამოცემული კანონის [დადგენილების] მიხედვით. ასევე აგნტურის სამუშაოსა და პირადი საქმეების დიდი ნაწილი. (ბიოლის ფონდი, 12 ივლისი, 2012).

თანამშრომლობაში სდებდნენ ბრალს (ამის მაგალითია 1993წ. გაზეთ „იბერიაში“ გამოქვეყნებული მასალები ქართულ ეკლესიაში მოღვაწე სასულიერო პირების კავშირის შესახებ KGB-სთან ან 2010 წ. გაზეთ „ვერსიაში“ გამოქვეყნებული სტატია ინტელიგენციის აგენტურულ საქმიანობის შესახებ. მასალები ერთ-ერთი რუსული ფორუმიდან იყო აღებული (ინტერნეტ წყარო № 15).

ზოიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს დეკომუნიზაციის და ლუსტრაციის პროცესის დაუსრულებლობის მიზეზთა შორის დომინირებს მმართველობის მცირე პერიოდი და ასევე საზოგადოებაში პოპულარობის დაკარგვის შიში, რომელსაც აუცილებლად გამოიწვევდა ლუსტრაციის კანონის მიღება (ხოშტარია გ. სიღრმისეული ინტერვიუ. 10 ოქტომბერი, 2013).

1998 წელს საქართველოს პარლამენტის დადგენილებით შეიქმნა ლუსტრაციის მექანიზმის შემუშავების დროებითი სახელმწიფო კომისია, რომლის მიზანიც იყო „საქართველოში სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში სახელმწიფო უშიშროების ინტერესების დაცვის, ხელისუფლების უმაღლეს სტრუქტურებში უცხო ქვეყნის აგენტურის შეღწევისა და სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირების მიმართ ტერორისტული აქტების ადგვეთის, საჯაროობისა და ლუსტრაციის პრინციპების განხორციელების მიზნით ... შესწავლილ იქნეს და პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება მიეცეს საქართველოში არსებული ყოფილი სსრკ-ის, საქართველოს სსრ-ის და საქართველოს უშიშროების ორგანოთა არქივებში დაცულ, საბჭოთა სუკ-ის აგენტურასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს“ (საქართველოს პარლამენტის დადგენილება ლუსტრაციის მექანიზმის შემუშავების დროებითი სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ. 20 ოქტომბერი, 1998).

ლუსტრაციის კანონის მიღების შესახებ მსჯელობის გააქტიურება დროში დაემთხვა საბჭოთა უშიშროების გენერლების გააქტიურებას და ამავე დროს 9 თებერვლის ტერაქტს, რომელიც მოუწყვეს პრეზიდენტ შევარდნაძეს და რომლის

ორგანიზებაშიც სწორედ მათ სდებდნენ ბრალს. 2001 წელს, როდესაც ვალერი ხაბურძანია დაინიშნა უშიშროების მინისტრად, მისი ერთ-ერთი უპირველესი განცხადება იყო, რომ ის აუცილებლად მოამზადებდა ლუსტრაციის შესახებ კანონს (ინტერნეტწყარო № 10). თუმცა 2 წლის შემდეგ 2003 წელს, პრესასთან ინტერვიუში ხაბურძანიამ განაცხადა, რომ:

„აღნიშნული კანონის მიღება მხოლოდ გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყნებისათვის არის აუცილებელი, ამ ხტადის უახლოესი ათი წლის განმავლობაში... ლუსტრაციის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ისაა, რომ ყოფილ აგენტებს თანამდებობებზე აღარ ემუშავათ, ამჯერად კი, ლუსტრაციის შესახებ კანონის მიღება სასურველ შედეგს ვეღარ გამოიღებს, რადგან უშიშროების სამინისტროდან უკვე გატანილია საბჭოთა დროინდებლი არქივები და კანონის მიღების შემთხვევაში კონკრეტული პირების აგენტურული საქმიანობის დასადახტურებლად მტკიცებულებები აღარ არსებობს“.

აღნიშნული განცხადება მიუთითებდა, რომ მოცემულ ეტაპზე საფრთხე ჩავლილად ფასდებოდა, რადგანაც ბრალდებულებმა ქვეყანა დატოვეს და შესაბამისად კანონით მანიპულირება საჭირო აღარ იყო.

თუმცა ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ამ პერიოდი ლუსტრაციის კანონისადმი ფრთხილი დამოკიდებულება იმ ფაქტით იყო გამოწვეული, რომ ხელისუფლების ეშელონებში დიდი რაოდენობით იმყოფებოდნენ პოლიტიკოსები, რომელთაც დიდი ალბათობით კავშირი ჰქონდათ საიდუმლო სამსახურებთან. შესაბამისად, აღნიშნული კანონპროექტის მიღებითაც არ იყვნენ დაინტერესებულნი (ლ. ბერძნიშვილი, სიღრმისეული ინტერვიუ. 12.11.2014).

სტალინისადმი დამოკიდებულება იყო კიდევ ერთი მახასიათებელი, რითაც პირველი ორი პრეზიდენტის პოზიცია განსხვავდებოდა. ზეიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდში საბჭოთა ბელადის და საერთოდ პარტიის აღქმა ცალსახად ნეგატიური იყო. ერთ- ერთ ინტერვიუში პრეზიდენტი გამსახურდია

ხაზს უსვამს გავრცელებული მოსაზრების მცდარობას იმის შესახებ, რომ საქართველოში ძალიან ბევრ ადამიანს უყვარს სტალინი, „ისინი გაცილებით ცოტანი არიან ვიდრე გვგონია“ (გამსახურდია ზ. 27 თებერვალი 1991). პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის სტალინისადმი დამოკიდებულება გაცილებით პოზიტიური იყო. მაგალითად, მან 2010 წელს ყვავილებით შეამკო ქ. გორის ცენტრალურ მოედანზე სტალინის ძეგლი და ხაზი გაუსვა, რომ ის დიდი ადამიანი იყო¹.

ბუნებრივია, ხელისუფლების წარმომადგენლების განწყობა აისახებოდა მათ მიერ გატარებულ პოლიტიკურ კურსზე. თუმცა კოლექტიური მეხსიერების ფორმირების დაგეგმილ პოლიტიკაზე ამ პერიოდში ვერ ვისაუბრებთ, რაც პრეზიდენტ გამსახურდიას მმართველობის მცირე ხნით, ხოლო ედუარდ შევარდნაძის საბჭოთა კავშირთან ასოცირებით შეიძლება აიხსნას.

შესაბამისად, საქართველოს პირველი ორი პრეზიდენტის მმართველობის პირობებში, საბჭოთა წარსულის გადაფასება და მისგან დისტანცირება უფრო მეტად აქტუალური ზვიად გამსახურდიას პერიოდში იყო, ეს განსაკუთრებით ინსტიტუციონალურ დონეზე შეიმჩნეოდა. რაც შეეხება ასალი იდენტობის ფორმირების პროცესს, ამ მიმართულებით კოლექტიური მეხსიერების კონსტრუირების სამუშაო არ გატარებულა (შესაძლოა, მხოლოდ მმართველობის მცირე პერიოდის გამო ვერ მოესწრო), რაც შეეხება პრეზიდენტ შევარდნაძის პერიოდს აქ შეიმჩნევა ლუსტრაციის საკითხის უსაფრთხოების ჭრილში განხილვის მცდელობა.

¹ 1995 წლის 9 მაისის დღესასწაულთან დაპავშირებით ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ თავის ვალად თვლის, მოინახულოს გორში სტალინის სახლ-მუზეუმი და პატივი მიაგოს უმაღლესი მთავარსარდლის ხსოვნას, რომლის დამსახურება (მიუხედავად მრავალი ნაკლოვანი მხარისა) - უდავოა ფაშიზმის დამარცხებაში.

თავი III . მეხსიერების პოლიტიკის მარკერები „გარდების რევოლუციის“ საწყის ეტაპზე

ჩვენი რევოლუციის ისტორია წარსულის ისტორიაა, მაგრამ ამავდროულად ეს ვამბეჭდაობის,
სიმამაცის, იმედისა და მომავლის ისტორიაა.

(მიხეილ სააკაშვილი. 23 ნოემბერი 2005წ.)

ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების წინაშე ორი უმთავრესი პრობლემა იდგა. პირველი, ლეგიტიმაციის, რაც კანონიერი ხელისუფლების დამხობას უკავშირდებოდა. ხელისუფლების გადაცემის პროცესში წყვეტა და სამხედრო ძალის ჩარევა მმართველობის მემკვიდრეობითობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა. მეორე პრობლემა იყო საზოგადოების არაკონსოლიდირებულობა, რომელიც სათავეს ასევე 90-იანი წლების მოვლენებიდან იღებდა, როდესაც მოსახლეობა დაიყო პრეზიდენტ გამსახურდის მომხრე-მოწინააღმდეგებად, რაც თავის მხრივ სამოქალაქო ომში გადაიზარდა და საზოგადოების გახლეჩვის ნიშნები ჯერაც შემორჩენილი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანამ თრი შეიარაღებული კონფლიქტი გამოიარა, რომელიც თილის (Tilly, Ch. 2008)¹ თეორიის თანახმად ერის კონსოლიდაციისთვის უნდა შეეწყო ხელი, მაინც ომის შემდგომი საზოგადოების გათიშულობა ჯერაც საგრძნობი იყო. ყოველივე ზემოთოქმულს ემატებოდა არცთუ ისე სახარბიელო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რომლითაც საქართველო ავტორთა ნაწილის მიერ არშემდგარ სახელმწიფოდ იყო დახასიათებული.

¹ იხ. ჯონსი ს. 1993

ყოველივე ამის ფონზე „ვარდების რევოლუციით“ მოსულ ხელისუფლებას პქონდა საუკეთესო სასტარტო პირობები, კერძოდ:

- ის თავის შემადგენლობაში მოიცავდა როგორც ე.წ. „ზეიადისტებს“ ასევე „ანტიზეიადისტებს“, როგორც პოლიტიკოსების ასევე მოქალაქეების სახით;
- საზოგადოებაში სარგებლობდა ნდობის ძალიან დიდი ვოტუმით და მხარდაჭერით. ლეგიტიმაციის პრობლემა მიუხედავად რევოლუციით მოსვლისა ახალ ხელისუფლებას არ ქონია.

ხელისუფლებას რთული მემკვიდრეობა ხვდა წილად. ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას მის წინაშე წარსულის ნებატიური მემკვიდრეობის დაძლევა წარმოადგენდა. ის ასევე იდგა არჩევანის წინაშე - იქნებოდა სახელმწიფოს მშენებლობის ახალი ეტაპი, რაც ძველის მემკვიდრეობას გულისხმობდა თუ სახელმწიფოს მშენებლობა თავიდან დაიწყებოდა.

აღნიშნული საკითხი მარტივად, „წარსულზე საზღვრის გავლების“ სტრატეგიის არჩევით მოგვარდა, კერძოდ ოფიციალური დისკურსის თანახმად დაიწყო სახელმწიფოს მშენებლობის ახალი ეტაპი, რაც თვისობრივად ნიშნავდა ურთიერთობების ხელახლა დამყარებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქავენის გარეთ, ინსტიტუციების რეფორმირებასა და შექმნას, დირექტულებების გადაფასებას, საზოგადოების წევრებში ახალი მენტალიტეტის ფორმირების ხელშეწყობას და ა.შ. სახელმწიფო არ გვქონდა. ეს იყო ხელისუფლებიდან მომდინარე ოფიციალური დისკურსი, „(საბჭოთა) ...სისტემის ნგრევის შემდეგ ერთადერთ რეალურ სახელმწიფოს რუსეთი წარმოადგენდა... პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნები მხოლოდ ტერიტორიებს წარმოადგენერებ, სადაც ძალაუფლება ხელში ყოფილმა საბჭოთა ლიდერებმა ჩაიგდეს...“ (სააკაშვილი გ. 4 აგვისტო, 2005).

2003-2012 წლებში მეხსიერების პოლიტიკის ანალიზისას შესაძლოა გამოიყოს რამდენიმე თემა, რომელიც დომინანტურია მიხეილ სააკაშვილის დისკურსში.

აღნიშნული თემები შესაძლებელია განხილულ იქნას, როგორც ერთგვარი ინდიკატორი, რომელთა შესწავლა საშუალებას მოგვცემს გავაანალიზოთ მეხსიერების პოლიტიკა „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ საქართველოში. ეს თემებია: სიმბოლოების გამოყენებით ახალი იდენტობის კონსტრიურების მცდელობა, წარსულის კონკრეტული ფაქტების გახსენება და მათი ინტერპრეტაცია, რუსეთის დამოკიდებულების და აღქმის ტრანსფორმაცია პარტნიორიდან ისტორიულ მოწინააღმდეგებების.

§ 3. 1 ახალი სახელმწიფოს მშენებლობა იდენტობის ტრანსფორმაციის გზით

„ახალი ეპოქის“ სასტარტო პირობების ხელშემწყობი ერთ-ერთი ფაქტორი ხელისუფლების ერთგვარი მესიანისტური აღქმა იყო, რომლის თანახმადაც ქვეყანაში ყველაზე რთულ სიტუაციაში გამოჩნდა ახალი ძალა, რომელსაც უნდა ეხსნა სახელმწიფო იმ მძიმე მდგომარეობიდან, რომელშიც ის თითქმის ათწლეულის განმავლობაში იმყოფებოდა¹. საზოგადოების განწყობას თან ერთვოდა პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილის ქარიზმატული თვისებები და თვითაღქმაც. თავად პრეზიდენტის განცხადების თანახმად, ამ ეტაპზე ერს პქონდა უნიკალური შანსი შესულიყო ისტორიაში, როგორც „თაობა, რომლის ძალისხმეულობა და უშუალო მონაწილეობით, პირველად, დავით აღმაშენებლის გაოქის შემდეგ, საქართველო ხელახლა გაერთიანდა“ (სააკაშვილი გ. 20 ნოემბერი, 2005). ამასთან ახალი ათვლის წერტილის დაწყება სახელმწიფოს მშენებლობაში სრულიად ლოგიკური იყო, რადგანაც “ახალგაზრდა დემოკრატიის პირობებში საჭიროა ახალი აზროვნებისა და გამოცდილების,

¹ ეს არ იყო მხოლოდ საზოგადოების განწყობა თავად ხელისუფლების წარმომადგენლებიც თავიანთ გამოსვლებში ხელს უწყობდნენ ამ გრძნობის განვითარებას. მაგ. მოგვიანებით თავის ერთ ერთ გამოსვლაში პრეზიდენტმა სააკაშვილმა „...დარწმუნებული ვიყავი, რომ დღევანდელი მსოფლიოს ისტორიაში საქართველო, მისი სიმცირის მიუხედავად, სულიერ მისიას აიღებდა და ახლა ამ ისტორიული მისიის შესრულების დრო დადგა“. (სააკაშვილი გ. 25 მაისი, 2005)

ახევე, ძველი კომპლექსებისაგან თავისუფალი ადამიანების ხელისუფლებაში მოსვლა, რაც წინა მთავრობისათვის „უცხო იყო” (სააკაშვილი მ. 23 თებერვალი, 2004), ახალს კი ჰქონდა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ მ. სააკაშვილი ასოციაციურ დაკავშირებას უფრო მეტად ცდილობდა დავით აღმაშენებელთან, ვიდრე საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის პირველ ხელისუფლებასთან, რაც შესაძლოა ამ უკანასკნელის სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიისადმი კუთვნილებით და უფრო მეტად დავითის წარმატებული, ხშირ შემთხვევაში რადიკალური, რეფორმატორული, მმართველობის სტილით იყო განპირობებული. ამასთან, საზოგადოება უფრო მეტად იცნობდა დავით აღმაშენებელს, ვიდრე საქართვლოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელებს, რაც საზოგადოებასთან სწორედ ამ ეპოქის ანალოგების გამოყენებას გაცილებით ეფექტურს ხდიდა.

საზოგადოების ხელისუფლებისადმი პოზიტიური განწყობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენდა, ასევე ხელისუფლების პოლიტიკა, რომელიც სიმბოლისტური და კომემორაციული ღონისძიებებისადმი დიდ მისწრაფებას განიცდიდა. თუკი გამოვიყენებთ ასმანის კონცეფციას მეხსიერების პოტენციურიდან აქტუალურში ტრანსფორმირების შესახებ (Assman A. 2006), პოსტრევოლუციური მთავრობა, სწორედ მსგავსი პოლიტიკის გატარებაზე იყო ორიეტირებული.

წარსულისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულების ხაზგასმა ხდებოდა თითქმის ყველა სფეროში, ყველ საკითხთან მიმართებაში. საქართველოს „გმირული“, „მებრძოლი“, „შეუპოვარი“, „დაუმორჩილებელი“, „მტერგამოულეველი“ წარსული იძლეოდა ნებისმიერი გადაწყვეტილების ახსნის საშუალებას. ამ მაგალითების იყენებენ აღლუმზე გამოსვლილსას, სტუდენტებთან თუ უცხოელ სტუმრებთან შეხვედრისას. ამ ქმედების დანიშნულება, როგორც ზემოთ აკლიშენეთ, საზოგადოების კონსოლიდაცია და

მმართველთა დეგიტიმურობის არსებული ნიშნულის შენარჩუნება იყო. ამასთანავე, შესამჩნევია „ახალი ქართული“ იდენტობის ჩამოყალიბების მცდელობა, რომლის შესაკრავადაც გამოიყენებოდა ორი ძირითადი სტრატეგია: სიმბოლოებზე აქცენტირება და წარსულის გახსენება.

სწორედ როგორი ხანის დაძლევის და ძველი დიდების დაბრუნებისათვის ბრძოლის დაწყების ალეგორია შესაძლოა ვეძებოთ მიხეილ სააკაშვილის მიერ ინაურაციისას ფიცის დავით აღამაშენებლის საფლავზე დადგებით.

„...დღეს საქართველო დანაწევრებულია, დღეს ქართველი ხალხი დამცირებულია! ... საქართველო არსებობდა, საქართველო არსებობს და ერგელოვის იარსებებს. საქართველო არ მომკვდარა. ჩვენ უველავ ერთად უნდა ვთქვათ, ერმაც და ბერმაც, მთავრობამაც და უველა აღამიანმა, ჩვენმა მოქალაქემ უველამ... უველაფერი უნდა გადავდოთ გვერდზე, უნდა მოვემზადოთ, უნდა გავერთიანდეთ, გავძლიერდეთ და აღვადგინოთ საქართველოს ერთიანობა და მოლიანობა. ეს არის ჩემი ცხოვრების მიზანი.“ (სააკაშვილი მ. 25 იანვარი, 2004) ამ სიტყვებით მიხეილ სააკაშვილი მიუთითებდა იმ გამოწვევებზე, რომელიც ახალი ხელისუფლების წინაშე იდგა და ამავე დროს მიზანზე, რომლის განსახორციელებლად ის ხელისუფლებაში მოდიოდა და აპირებდა თავისი მოღვაწეობის მიღმვნას.

ამასთანავე, ფიცის დავითის საფლავზე დადგება იყო მაჩვნებელი იმისა, რომ, როგორც დავით აღმაშენებელი იყო უველას მეფე, მიუხედავად სარწმუნოებისა, ქონებისა, ეროვნებისა, ასევე საქართველოს პრეზიდენტი იქნებოდა უველას პრეზიდენტი. ის თავისმხრივ მოუწოდებდა უველას, ვისაც ქვეყანაზე გული შესტკიოდა გაერთიანებულიყვნენ სამშობლოს სიყვარულით და გაეგრძელებინათ ის ესტაფეტა, რომელიც გმირმა წინაპრებმა დატივეს. „... დავითის საფლავზე ჩვენ უველავ ერთად უნდა ვთქვათ, საქართველო მოემზადება, საქართველო გაერთიანდება, საქართველო გაძლიერდება და საქართველო გამოლიანდება. საქართველო შეიკვრება ერთ ძლიერ სახელმწიფოდ. მე მინდა, თქვენი

დახმარება ვითხოვთ ამ საქმის განხორციელებაში. მე მინდა, ყველანი ერთად დავდგეთ და ყველანი ერთმანეთს დავუდგეთ გვერდით...“ (სააკაშვილი მ. 25 იანვარი, 2004).

დავითის საფლავზე ფიცის დადების ცერემონია საზოგადოებაშიც შესაბამისი, დადებითი რეაქცია გამოიწვია. ასევე გამოკვეთა მოლოდინები, რომელიც ახალგაზრდა პრეზიდენტის მიმართ ჰქონდათ. პარალელები დავით აღმაშენებლის ადრეულ ასაკში გამეფებასთან და საქართველოსთვის უჩვეულო ახალგაზრდა პირის პრეზიდენტად არჩევასთანაც კი გაივლო, ქუთაისის (სადაც პრეზიდენტმა ფიცი დადო) ოვატრის ფასადზე გამოფენილი ბანერი ხალხს შეახსენებდა, რომ გელათში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ინაუგურაცია იყო „დავით აღმაშენებლის გზა - რწმენისა და მამულის ხსნისათვის“.

პრეზიდენტის დალოცვისას პატრიარქმა ხაზი გაუსვა, თუ რაოდენ „...იავარქმნილი საქართველო ჩაიბარა 16 წლის დავით აღმაშენებელმა, მაგრამ დავთით შეძლო ერის ხულიერი ამაღლება და მიხი განმტკიცება; ამასთან, ქვეყნის განვრცობა ნიკოლაი დარუბანდამდე. თქვენც შეჭირვებული ქვეყნის მმართველობა გბარდებათ. მძიმეა ეს ტვირთი, მაგრამ უფლის წყალობით დიდი გამარჯვების მოპოვება რეალურია. ლმერთმა შეგაძლებინოთ ჩვენი ქვეყნის გამოლიანება და ხულით ძლიერი, დიდი საქართველოს აღდგენა, "რაითა იყოს ერთ სამწყებო და ერთ მწყემს". თქვენი წარმატების დიდი გარანტი არის ხალხის ნდობა“ (ქურნ. გეორგია, 2004. გვ. 298-290) შესაბამისად, ახალი ხელისუფლება აერთიანებდა დიდ იმედს და მოლოდინს, რომ შეძლებდა „არშემდგარი“ ქვეყნის ფეხზე დაყენებას და გამოლიანებას, როგორც ეს საუკუნეების წინ დავით აღმაშენებელმა შეძლო.

სახელმწიფის მშენებლობის პროცესში ეროვნული მგრძნობელობის გადვიძება და ამის საშუალებით იდენტობის კონსტრუირების მცდელობა სახელმწიფოთათვის თითქმის გარდაუგალი პროცესია. უ. ბლუმის იდენტიფიკაციის თეორიის თანახმად სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში

ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანები სახელმწიფოს მოქალაქეებად იქცევიან. ტრანსფორმაციის პროცესი დაკავშირებულია არსებულის გადაფასებასთან და ახალი მაიდუნტიფიცირებელი სიმბოლოების მიღებასთან (Bloom, W. 1990. p.55). საქართველოს შემთხვევაში, ძველისადმი ძირეულად გამიჯვნის კიდევ ერთ სიმბოლურ გამოხატულებას სახელმწიფოს ახალი სიმბოლიკების შექმნა წარმოადგენდა. ახალი გერბი, დროშა და პიმნი ხაზგასმით მიუთითებდა საქართველოს გმირულ წარსულზე, დიად ბრძოლაზე, მათდამი მემკვიდრეობითობაზე. ამავე დროს სახელმწიფო სიმბოლიკები ერთი ძირითადი ლოზუნგის გარშემო გაერთიანდა, რომლის თანახმადაც „ძალა ერთობაში“ იყო¹. ამ მიზნის გარშემო უნდა მომხდარიყო საზოგადოების კონსოლიდაციაც. სიმბოლიკის შეცვლასთან ერთად მიმდინარეობდა პიარ აქციები, რომელიც მათ პოპულარიზაციის, საზოგადოებაში დამკვიდრებისკენ იყო მიმართული (გერბის და დროშის სასკოლო სახელმძღვანელოებზე დატანა, პიმნის სპორტულ შეჯიბრებებზე ხალხის მიერ შესრულება, ასევე პიმნის მუსიკალური პოპ ვერსიის მომზადება და ა.შ.).

გარდა სახელმწიფო სიმბოლოების შეცვლისა, ხელისუფლება თავად ქმნიდა ახალ სიმბოლოს, რომელიც გამოხატავდა იმ იდეას, რომლითაც რევოლუციის შემდეგ მოვიდნენ ხელისუფლებაში და ის მესიანური სულისკვეთების მატარებელი უნდა ყოფილიყო. ასეთ სიმბოლოს ვარდების რევოლუციიდან სამი წლის თავზე თავისუფლების მოედანზე საზეიმოდ აღმართული თავისუფლების მონუმენტი (წმინდა გიორგის ქანდაკება) განასახიერებდა, რომელიც საზოგადოების ნაწილისათვის წმინდანად აღიქმებოდა, ნაწილისათვის ერთგვარი კიტჩი იყო. ალეგორიულად ის უჩვენებდა, რომ გიორგობას (23 მოემბერს,

¹ გარდა ახალი სიმბოლიკის მიღებისა, ასევე დიდი აქცენტი კეთდებოდა საზოგადოებაში მათ პოპულარიზაციაზე, რამაც შედეგს მიაღწია „ამ დროშას სხვადასხვა დღესასწაულის დროს ხალხი თავად ფენს, რაც კომუნისტების პერიოდისგან რადიკალურად განსხვავებული მოვლენაა... დღეს საქართველოში, ეროვნების მიუხედავად, არც ერთი ბაგშვი არ არის, რომელმაც საკუთარი ქვეყნის პიმნი არ იცის. (საკაშვილი გ. 22.11.2005)

ვარდების რევოლუციის დღეს, ასევე 6 მაისს ასლან აბაშიძის მიერ ბათუმის დატოვების დღეს როდესაც ასევე გიორგობა აღინიშნება) საქართველომ დაამარცხა ბოროტება, წარსულში დატოვა რთული პერიოდი და გამარჯვებების და წინსვლის დრო დადგა.

მეორე ტენდენცია, რომელიც შეიმჩნევა ხელისუფლების პოლიტიკაში ისტორიული გმირებისადმი, განსაკუთრებული დამოკიდებულებაა, ხდება ერთგვარი „წარსულის აღმოჩენა“, რომელსაც ერიკ ჰობსბაუმის თეორიის ფარგლებში თუკი განვიხილავთ მიზნად საზოგადოებაში რწმენის გადვივება, მისი კონსოლიდაცია ედო. თუკი გადავხედავთ მეხსიერების სტრატეგიებს ეს ერთგვარად დამფუძნებელი მამების შესახებ მითების შექმნას უახლოვდება, რამდენადაც ამ გმირების გახსენებით საზოგადოებას მოუთხრობდნენ თუ როგორ შეძლო საქართველომ გამოიარა ამდენი ძნელბედობის უამი და გადარჩენილიყო. ამასთანავე, ამავე გმირების გამოცდილებაზე დაყრდნობით უსახავენ აწმყოსა და მომავლის სამოქმედო გეგმას, თუ მაშინ გადავრჩით, ახლაც გადავრჩებით. ისევე როგორც ადრე, დღესაც საქართველოს აქვს უამრავი პრობლემა, მტერიც არასოდეს გამოლევია, „...ამ ქალაქს (თბილისს) არაერთი ზესახელმწიფოს ხელმძღვანელი უნახავს, მაგრამ ისინი საქართველოში მოდიოდნენ როგორც დამპურობლები საკუთარ კოლონიაში. მათი აქ მოხვდა ნგრევის, ხისხლისა და ცრემლის მოზეზი და შედეგი იყო“ (სააკაშვილი მ. 10 მაისი, 2005).

საქართველოს არაერთი გამოწვევა პქონდა: ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, სახელმწიფო აპარატის გაჯანსაღება და რაც მთავარია, საზოგადოებისათვის რწმენის დაბრუნება, რომ: „ჩვენ ისტორიული პროცესის მომსწრენი ვართ. უნდა გვეხმორდები, რომ პრაქტიკულად ახალი ქართული სახელმწიფო იქმნება. თავისი ინსტიტუტებით, მენტალიტებით, უნარ-ჩვევებით, განსაკუთრებული ტრადიციებით...“ (სააკაშვილი მ. 3 მაისი, 2005.) და ამ ფონზე უმნიშვნელოვანესი იყო ისტორიული გმირების გახსენება, რომელთაც უმთავრესი მახასიათებელი პქონდათ: ისინი ქვეყნის თავისუფლებისათვის

იბრძოდნენ (დავით აღმაშენებელი, ვახტანგ გორგასალი და სხვ). ამასთანავე, სამშობლო იხსენებსდა და პატივს სცემდა მათ. აღნიშნულის გამოხატულება იყო მაგალითად, 1924 წლის აჯანყების გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტის გადმოსვენება 2005 წელს, რომელიც სახალხო დღესასწაულად იქცა და რომლითაც ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ სამშობლო იბრუნებდა გმირებს რომელნიც ქვეყნის განთავისუფლების იდეას შეეწირნენ. ეს იყო ერთგვარი კომემორაციული აქცია, რომლითაც საზოგადოებისთვის ერთდროულად ხდებოდა დავიწყებული წარსულის მოთხოვნა და ამავე დროს ჩვენება, თუ როგორი უნდა ყოფილიყო სანიმუშო ქართველი.

ქაქუცა მნიშვნელოვანი იყო ვარდების რევოლუციის შემდგომ ქართულ ისტორიულ ნარატივში, რამდენადაც მისი სახე ქართული ვალუტის კუპიურაზეც აისახა და სახელისუფლებო დისკურსებიც არაერთხელ იქნა გამოყენებული, როგორც მაგალითი წინააღმეგობის მოძრაობისა, რომელიც წარუმატებლად დასრულდა, მაგრამ დატოვა ანდერძი, რაც ახალმა თაობამ უნდა შეასრულოს (მოგვიანებით მეხსიერების სტრატეგიის ცვლილებასთან ერთად ქაქუცას ახალი, განსაკუთრებული განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა, როგორც უშუალოდ, რუსეთის იმპერიასთან მებრძოლი გმირის).

მეხსიერების ზემოთაღნიშნული სტრატეგიები ხელისუფლების საუბარში ხშირად ჩნდებოდა და ეხებოდა თითქმის ყველა თემას. მათ შორის ტერიტორიული კონფლიქტების ანალიზის დროსაც კი ხაზი ესმეოდა ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური პოზიტიური ურთიერთობის მრავალსაუკუნიან ისტორიას, როდესაც მათი წინაპრები “ქართველებთან ერთად იბრძოდნენ სახელმწიფო აღსაღვენად და დასაცავად” (სააკაშვილი მ. 10 ივლისი, 2005). საქართველო ქართველებთან ერთად ოსების და აფხაზების სახელმწიფო იყო, რომელსაც ეს ფაქტი ახსოვდა და მათაც უნდა გახსენებოდათ. სწორედ აღნიშნული განწყობის გაღვივებისაკენ იყო მიმართული ახალი ხელისუფლების პოლიტიკური კურსი, რომელიც აფხაზებს და ოსებს მეგობრობის ხელს უწვდიდა.

გარდა ისტორიული გმირების, როგორც სიმბოლოების გამოყენებისა ასევე საინტერესოა სტრატეგია, რომელიც უკავშირდება თანამედროვეობის გმირების, როგორც სანიმუშო ქართველების წარმოჩენას.

მხოლოდ ისტორიულ წარსულზე აპელირება არ იყო საკმარისი საზოგადოების კონსოლიდაციისა და მენტალიტეტის ცვლილებისთვის, მათ სჭირდებოდათ მაგალითები თანამედროვეობიდან, რომელთაც მიბაძავდნენ და რომელთა ქცევაც მოწონებული და დაფასებული იქნებოდა. ამასთანავე, „ჩვენი დროის გმირების“ ჩვენება იქნებოდა ერთგვარი პროგრესის მაჩვენებელი, რომ საზოგადოებაში ცვლილებების ყინული დაიძრა და საჭიროა ყველანი ჩავერთოთ ამ პროცესებში. „ახალი საქართველოს ნამდვილი გმირები“ (სააკაშვილი მ. 24 თებერვალი, 2005), შესაძლოა ყოფილიყვნენ რიგითი ადამიანები, არაკორუმპირებული სახელმწიფო მოხელეები, მშობლები, რომელთაც შვილები ჯარში გაუშვეს (სააკაშვილი მ. 26 მაისი, 2005), ან ასევე ნამდვილი გმირები, რომელთაც საქართველოს ერთიანობას შესწირეს თავი (მაგ. 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული გიორგი ანწუხელიძე). საქართველოს ყველა მოქალაქე უნდა ჩაბმულიყო ქვეყნის მშენებლობის საქმეში, უნდა გამხდარიყო ჩვენი დროის გმირი ან მოხალისე, რადგანაც „პირველად, მას შემდეგ, რაც დავითის, თამარის, გიორგი ბრწყინვალის დროს საქართველოს პყავდა მოხალისეთა ჯარი“, (სააკაშვილი მ. 29 სექტემბერი, 2005) ახლა გაჩნდა შესძლებლობა საქართველომ აღადგინოს ისტორიული წარსული და ისევ პყავდეს მსგავსი ჯარი. აღნიშნულის რეალიზება რეზერვისტების პროგრამის შემუშავება იყო, როდესაც თითოეული მოქალაქეს უნდა გაევლო სამხედრო წვრთნები, შეეძინა გარკვეული სამხედრო უნარჩვევები რათა საჭიროების შემთხვევაში გამხდარიყო სამშობლოს რიგითი ჯარისკაცი. როგორც ცნობილია ერის მშენებლობის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოლიდარობის გრძნობის გადვივებას მოქალაქეებს შორის, რითაც „წარმოსახვითი ერთობის“ განცდა აქტიურდება და შესაბამისად მატულობს მასების მობილიზაციის პოლიტიკის ზეგავლენა (Spainer-Halev J. 2008 p. 606). სააკაშვილის მცდელობაც სწორედ ერთობის, სოლიდარობის გრძნობის

გადვივებას ემსახურებოდა, რაც ყველაზე მეტად აკლდა ქვეყნის მოსახლეობას. პოლიტიკურ დისკურსში ასევე გაჩნდა ტერმინი „პირველად საქართველოში“, რაც კიდევ უფრო აძლიერებდა განწყობას, რომ სახელმწიფო ახლა დგებოდა ფეხზე და იწყებდა სახელმწიფოებრიობის მშენებლობას.

თუმცა გმირული წარსულის პარალელურად დისკურსში ასევე ჩნდებიან პერსონაჟები, რომლებიც სახელმწიფოებრიობას საფრთხეს უქმნიდნენ, რომელთა „რაზმელები სოფელ-სოფელ დადიოდნენ“ და ხალხს ეუბნებოდნენ: ქართველებო, არ გამოხვიდეთ, მტერი ასჯერ ძლიერია და ის არაფერს დაგვიშავებს, - მაგრამ მოვიდა მტერი, რომელმაც მიწასთან გაახსორა, გადაწვა თბილისი, ნამუსი ახადა ქვეყანას და ქართველების დალატის გამო საქართველოს დამოუკიდებლობას წერტილი დაუხვა“, (სააკამპილი პ. 11 სექტემბერი, 2005). გარდამავალ ეტაპზე საჭიროა სიფრთხილე, რადგანაც მსგავსი პრეცედენტები არ გამორდეს, რისთვისაც საჭირო იყო დალატის ფაქტების ჩართვაც კოლექტიურ მეხსიერებაში.

საფრთხის შეგრძნება განსაკუთრებით გაძლიერდა 2005 წლისთვის, როდესაც პოლიტიკურ არენაზე გამოჩნდენ ადამიანები, რომელნიც საბჭოთა სამხედრო სამსახურებთან ასოცირდებოდნენ (მაგ. იგორ გიორგაძე) და რომელთაც ხელისუფლების საწინააღმდეგოდ დაიწყეს აქტიურობა. ამას ემატება ურთიერთობის დაძაბვა რუსეთის ფედერაციასთან. ამის ფონზე, მეხსიერების პოლიტიკის მნიშვნელობა გაიზარდა და ის სახელმწიფო უსაფრთხოების პოლიტიკის ნაწილი გახდა.

§ 3.2 საგარეო პოლიტიკა, როგორც მეხსიერების პოლიტიკის მარკერი

ხელისუფლების წინაშე არსებულ ძირითად გამოწვევათა დიდი ნაწილი სწორედ რუსეთის ფაქტორთან იყო დაკავშირებული, კერძოდ ქართულ-აფხაზურ და

ქართულ ოსურ კონფლიქტების გადვივებაში რუსეთი იყო ჩართული, საქართველოს კიდევ ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, მძიმე სოციალურ უკონომიკური მდგომარეობა იყო. საქართველოში წარმოებული პროდუქციის ძირითად ბაზარს რუსეთი წარმოაგენდა. ამას ემატებოდა საქართველოდან რუსეთის ფედერაციაში წასული ქმიგრანტების რაოდენობა, რომლებიც იქიდან არჩენდნენ ოჯახის წევრებს და შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკასაც აძლიერებდნენ. ენერგეტიკული რესურსების ერთ-ერთ უმთავრეს მომწოდებელსაც რუსეთი წარმოადგენდა. ჩამოთვლილ ფაქტებს რუსული ბაზების საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნა ემატებოდა¹. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება და საერთო ენის გამონახვა სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებას წარმოადგენდა.

შესაბამისად, სახელისუფლებო დისკურსში რუსეთთან ურთიერთობის გამოცდილების საკითხის გახმოვანება შეძლებისდაგვარად ნეიტრალური ფომებით ხდებოდა. მართალია, გვერდს ვერ უვლიდნენ იმ ფაქტს, რომ რუსეთის პოლიტიკურ ელიტაში იყვნენ პოლიტიკოსები, რომლებიც საქართველოსადმი არაპეტილგანწყობით გამოირჩეოდნენ, მაგრამ აქცენტი მაინც საზოგადოების პროგრესული ნაწილის არსებობაზე კეთდებოდა, რომელთაც ესმოდათ თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო მეზობელთან მშვიდობიანი ურთიერთობა.

პირველი საკითხი, რამაც რუსულ ქართული ურთიერთობის დარეგულირების პერსპექტივა გააჩინა რუსული ბაზების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანის შესაძლებლობა იყო.

¹ ეს ბაზები საბჭოთა კავშირის დროიდან იმყოფებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ისინი რუსეთის ფედერაციის ბაზებად გადაკეთდნენ. როგორც წინა თავებში ავღნიშნეთ პრეზიდენტმა გამსახურდიან ისინი ოკუპანტთა ჯარად გამოაცხადა, მაგრამ გამსახურდიას ხელისულებიდან ჩამოშორების შემდეგ მათ ოკუპანტის სტატუსი მოეხსნათ.

„საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში ერთ-ერთი მტკიცნეული საკითხის მოხსნით, ჩვენ შევძლებთ ბევრად უფრო კონსტრუქციული ურთიერთობის აწყობას, შევძლებთ დაგაახლოვოთ პოზიციები, დავივიწყოთ წარსული წევნა და მომავალზე ორიგენტირებული, ორივე ხალხის ინტერესებში შემავალი პოლიტიკა ვაწარმოოთ“ (სააკაშვილი მ, 31 მაისი 2005).

საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა ამ პოზიტიურ მოვლენაზე აქცენტირებით ხაზი გადაესვა წარსულის ცედ გამოცდილებაზე და მომავალი შეძლებისდაგვარად სუფთა ფურცლიდან დაეწყო. ეს დამოკიდებულება გარკვეულწილად უახლოვდება სტრატეგიას, რომელიც საშინაო პოლიტიკაში შევარდნაძის პერიოდის შეფასებისას გამოიყენებოდა, იმ განსხვავებით, რომ ხელისუფლება, მართალია, ორივე შემთხვევაში წარსულისგან დისტანცირებას ცდილობდა, შევარდნაძის მოღვაწეობა ხაზგასმით ნებატიურად იყო შეფასებული. მეფის რუსეთის და საბჭოთა კავშირის შეფასებას ან საერთოდ არიდებდნენ თავს, თუ არადა, შეძლებისდაგვარად ნეიტრალური ფორმით ხდებოდა.

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ არაერთხელ გაესვა ხაზი, რომ არის საკითხები, რომელზედაც ორივე ქვეყანას შეუძლია თანამშრომლობა და ეს უპირველეს ყოვლისა ტერორიზმის საკითხია, განსაკუთრებით საქართველოსა და რუსეთის სასაზღვრო რეგონებში. ამასთანავე, საქართველოს პრეზიდენტი მუდმივად ყურადღებას ამასვილებდა იმ ფაქტზე, რომ ის მეგობრობის ხელს უწვდის რუსეთს და თუ შეიქმნება პირობები, როდესაც რუსეთი „...ბოლომდე პატივს სცემს საქართველოს მთლიანობას, დარწმუნებული ვარ უველა მიხვდება, რომ იმპერიული ურთიერთობები აღარასოდეს აღორძინდება, თუმცა დამყარდება დამოუკიდებელი, თავისუფალი, მეგობრული კავშირის, რასაც ერთად მივაღწევთ“ (სააკაშვილი მ, 26 მაისი 2005).

საბჭოთა წარსულის ინტერპრეტაცია და რუსეთის როლი კონფლიქტის პროგოცირების საკითხში ამ დროს ნიველირებულია. საბჭოეთის გახსენებისას აქცენტები მხოლოდ მანკიერ მენტალიტებზე კეთდება საბჭოთა ნომეკლატურის

გადმონაშთად სახელდება ეთნიკური ქართველების დომინანტობა სახელისუფლებო თანამდებობებზე საქართველოში (სააკაშვილი მ. 10 ივლისი, 2005), თითქმის ყველა სფეროში გავრცელებული კორუფციული გარიგებები, მათ შორის დიპლომების ყიდვა ან არასახელმწიფოებრივი აზროვნება და ა.შ. (სააკაშვილი მ. 26 მაისი, 2005).

რუსეთთან ურთიერთიერთობის დაძაბვის და შესაბამისად, ზიარი წარსულის განსხვავებულად გადაფასების მცდელობები 2005 წლიდან ჩნდება. ერთ- ერთი საწყისი წერტილი ენერგოკრიზისი იყო, როდესაც საქართველოს თითქმის მთელ მოსახლეობას განხორციელებული დივერსიის შედეგად ზამთარში გაზის მოწოდება შეუწყდა.

მოცემულ მომენტში რუსეთის ხელისუფლების დემოკიდებულება აღნიშნული დივერსიისადმი, ამასთანავე ასევე რუსი პოლიტიკოსების მიერ არაერთხელ გაუდერებული მუქარა, რომ საქართველო რუსეთზე დამოკიდებული იყო და შესაძლოა რუსეთს გამოეყენებინა აღნიშნული ბერკეტი თავის სასარგებლოდ, საქართველოს ხელისუფლების მიერ შეფასდა, როგორც “არაკოლეგიალური ქცევა”. „რუსეთი, როგორც ენერგიის მომწოდებელი არასაიმურო და არასანდო პარტნიორად“ (სააკაშვილი მ. 22 იანვარი, 2006), იქნა შეფასებული, რადგანაც მისი რეაქცია აღნიშნულ დივერსიაზე საქართველოს პრეზიდენტის შეფასებით არადამაკმაყოფილებელი და ბუნდოვანია. გარდა ამისა, ხაზი გაესვა, რომ მეზობელი სახელმწიფო ისევ ცდილობს საქართველოსა და უკრაინაში ზეგავლენის შენარჩუნებას და ამისთვის ენერგობერკეტებს აქტიურად იყენებს (სააკაშვილი მ. 19 იანვარი 2006). თუმცა, საქართველოს ხელისუფლება ჯერაც არ კარგავდა იმედს, რომ შესაძლებელი იყო ურთიერთობის შენარჩუნება და ამის ბერკეტები ჯერაც არსებობდა. თუმცა, დისკურსში უკვე გაჩნდა ტერმინი, მტერი, რომლის ჯინაზეც უნდა მოხდეს საზოგადოების გაერთიანება და ქვეყნის აშენება.

ენერგოკრიზისის საფუძველზე დაწყებული იმპდგაცრუების განწყობა კიდევ უფრო გაამწვავა რუსეთიდან ქართველების დეპორტაციამ და ქართულ პროდუქციაზე დაწესებულმა. შედეგად, წარსულის შეფასება უფრო გამკაცრდა, მაგალითად თუკი აფხაზეთის კონფლიქტი გარე ძალების ჩართულობაზე საუბრისას საქართველოს პრეზიდენტი 2004 წელს აქცენტს ჩრდილოკავკასიელებზე აკეთებდა, 2005 წლის მიწურულს უკვე გაჩნდა ტერმინი ანექსია, რომელიც აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთის კონფლიქტების აღსანიშნავად გამოიყენება.

ამასთანავე პრეზიდენტის განცხადებით საქართველოს ამ ორ ანკლავში ხორციელდება „... 30-იანი წლების ხუთის მცხების სამყარო, ხადაც ყოველგვარი პრინციპების, კანონისა და კონტროლის გარეშე ძერუინსკის, ბერიასა და მათნაირების (მიხდა მათ რიცხვს ანდროპოვიც დავამატო, რომელიც დღეს გაიდეალიზებულია ერთ-ერთ დიდ სახელმწიფოში) ოცნება ...“ (სააკაშვილი მ, 18 თებერვალი, 2006), რუსეთის შეფასებისას დისკურსი ნეიტრალურიდან უარყოფითისკენ შეიცვალა და დაიწყეს თხრობა რუსეთის მიერ საქართველოში ჩადენილი ბოროტებების შესახებ.

შესაბამისად, მეხსიერების პოლიტიკა ვარდების რევოლუციის შემდგომ პირველ ეტაპზე მოიცავდა როგორც საშინაო ასევე საგარეო პოლიტიკის ძირითად აქცენტებს, არსებული ვითარების გათვალისწინებით. კერძოდ, საზოგადოების უნიფიცირების, კონსოლიდაციის მიზნით აქტიურად გამოიყენებოდა წარსულის მაგალითები, იქმნებოდა ისტორიის ანალოგიური რეალობა რაც „ჩვენი დროის გმირების“ და „პირველად საქართველოში“ კონცეფტის გამოყენებით მიიღწეოდა. რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, კოლექტიური მეხსიერების ახალი ნარატივი მტრის ცნებას არ ითვალისწინებდა. საბჭოთა კავშირში ყოფნის პერიოდი ფასდებოდა, როგორც ნეგატიური მენტალიტების ჩამოყალიბების პერიოდი. მეზობლებთან ურთიერთობაზე ამ წარსულს შედეგი არ უნდა მოქმდინა.

თავი IV. საბჭოთა ოკუპაცია, როგორც მეხსიერების „პროექტი“

როგორც წინა თავებში აღინიშნა, ვარდების რევოლუციის შემდგომი პერიოდი 2005 წლის დასასრულამდე შესაძლოა შეფასდეს, როგორც ისტორიული გმირების გამოვლენის და გმირული წარსულის გახსენების პერიოდი. აღნიშნულ პოლიტიკას საფუძვლად ჩრდილოელ მეზობლებთან ურთიერთობის დარეგულირების სურვილი ედო და საბჭოთა კავშირის შეფასება, მხოლოდ ცუდი საბჭოთა მენტალიტეტის გახსენებისას და მის შეცვლის საჭიროებაზე საუბრისას ხდებოდა. თუმცა რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის დაძაბვის შემდეგ, დადგა მეხსიერების სტრატეგიის გადახედვის და ახლის შემუშავების საკითხი. გამოიკვეთა კონტურები, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ახალი კოლექტიური მეხსიერება. როგორ უნდა გადანაწილებულიყო მასში როლები. სულ უფრო ხშირად ხდება ხაზგასმა, რომ რუსეთი არასანდო პარტნიორია და საქართველოს მიერ მისთვის გაწვდილი მეგობრების ხელი ჰაერში რჩება.

გარდა ამისა, ერთ-ერთი ყველაზე მტკიცნეული საკითხი, რაც ხელისუფლების წინაშე დადგა კოლაბორაციონიზმის საფრთხე იყო. რადგანაც სახელისუფლებო დისკურსის თანახმად, სახელმწიფოში იყვნენ ადამიანები, რომლებიც რუსეთთან კავშირში იყვნენ შემჩნეული. გარდა ამისა, საქართველოს მოქალაქეების რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან დეპორტაცია და ენერგოკრიზისი, ქართული პოლიტექნიკის ემბარგო რუსეთის ტერიტორიაზე, ეს არასრული ჩამონათვალია იმ ნუსხისა, რომელიც ქართულ, რუსული ურთიერთობა ნეგატიურ პრიზმაში გადაჰყავდა. ყოველივე ზემოთთქმულმა სახელისუფლებო დისკურზე ჰქოვდა ასახვა.

კოლაბორაციონიზმი და საქართველოში რუსეთის სავარაუდო დასაყრდენის პოვნის შესაძლებლობა იყო ის საფრთხე, რის გამოც ხელისუფლებამ ახალი კოლექტიური მეხსიერების მშენებლობა დაიწყო. შესაბამისად, ეს ეტაპი გარდამტებია 2003- 2012 წლების მეხსიერების პოლიტიკის თავაღსაზრისით.

დადგა პერიოდი, როდესაც თავისუფლებისათვის მებრძოლი ერის და დამფუძნებელი მამების ძიების სტრატეგია მსხვერპლის კონცეფციით იქნა ჩანაცვლებული. ამ იდეის მხლოდ გაუდურება არ იყო საკმარისი, საჭირო იყო შესაბამისი მეხსიერების აღგილების შექმნა, რომელიც მუდმივად შეახსენებდა საზოგადოებას, რომ ის მსხვერპლია და დამნაშავეს სახელი უნდა დაერქვას.

ოკუპაციის თემის აქტუალიზაცია და შესაბამისი ისტორიის მონათხობის საზოგადოებაში დამკვიდრების მცდელობა, იმდენად აქტიური იყო, რომ მას შესაძლებელია „ჰეგემონური“ ნარატივიც ვუწოდოთ. სონგაგის (Sontag S. 2003) თანახმად კოლექტიური მეხსიერება არ მოიცავს მხოლოდ დამახსოვრებას ის უფრო მეტად დამახსოვრებული ფაქტების ყოფიერ გათვალისწინებას უკავშირდება, კერძოდ „კოლექტიური მეხსიერება ეს არის თხრობა, თუ როგორ მოხდა ეს მოვლენა, ამასთანავე ამ თხრობასთან ახლავს სურათები, რომელიც აღნიშნულ თხრობას აფიქსირებს გონებაში“. სწორედ ოკუპაციის, როგორც სურათის შექმნის პროცესი წარიმართა საქართველოში აღნიშნულ პერიოდში. რადგანაც აღნიშნული თემატიკა, მართალია სხადასხვა ინტენსივობით ფიგურირებდა საზოგადოებაში, მაგრამ მისი ჩამოყალიბებული, ერთიანი აღქმა არ არსებობდა.

„ოკუპაციის“, როგორც პროექტის შექმნა ასევე უკავშირდებოდა 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხატის გაცოცხლებას. ვარდების რევოლუციის შემდეგ, როგორც არაერთხელ ავღნიშნეთ, შეიქმნა გმირების პლეადა, რომლებიც საზოგადოების კოლექტიური მეხსიერების კონსტრუირებაში დებულობდნენ მონაწილეობას, მაგრამ 1918-1921 წლები ამ შემთხვევაშიც არ იყო აქტუალური. ეს თემატიკა რევოლუციიდან დაახლოებით სამი წლის შემდეგ გაცოცხლდა, როდესაც ქვეყნის ოკუპაციის კოლექტიური მეხსიერების ნაწილად აღქმა გახდა აუცილებელი.

2006 წელს 25 თებერვალს, საქართველოს გასაბჭოების დღეს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ კოჯორ-ტაბახმელაში მე-11-ე არმიის წინააღმდეგ

ბრძოლაში დაღუპული იუნკრებისათვის პატივის მიგება ამ პოლიტიკის ერთ ერთი პირველი ნაბიჯი იყო. ამასთანავე პრეზიდენტის მიერ წარმოთქმული სიტყვა ამხელდა, რუსეთის პოლიტიკას როგორც, არასანდოს, რამდენადაც ის მუდმივად ცდილობდა მოქმებნა ქვეყანაში დასაყრდენი ძალა (დღეს შესაძლოა ეს გიორგაძე იყოს, ხვალ კი ის სხვა ადამიანით ჩაანაცვლონ) ამასთანავე, სააკაშვილი ოკუპაციას განიხილავს, როგორც საქართველოს ხვედრს და აფასებს იმ დანაკარგს, რაც ქვეყანამ თითქმის 70 წლიანი მორჩილების დროს გაიდო. ოკუპაციამ „საქართველო გააჩანაგა, გაანადგურა და უკროპული განვითარების გზას ჩამოაშორა“ (სააკაშვილი მ, 25 თებერვალი, 2006).

სააკაშვილის განცხადებით არსებობენ ადამიანები, რომლებიც აღნიშნავენ 23 თებერვალს წითელარმიელთა დღეს და არიან ადამიანები, რომლებიც აღნიშნავენ გმირი იუნკრების დღეს. სწორედ აქ გადის ზღვარი საქართველოს მომავალ განვითარებას და სტაგნაციას შორის. საქართველომაც უნდა გააკეთოს არჩევანი, თუ რომელ დღეს აღნიშნავს. ამ გამოსვლით აქცენტი გაკეთდა არა მხოლოდ სიმბოლურ, არამედ ორიენტაციულ არჩევანზე, რუსეთი თუ ევროპა.

ასევე გაივლო პარალელი წარსულსა და აწმყოს შორის, გაჩნდა საფრთხის ახალი წყაროს აღქმა. გაცხადდა, რომ როგორც საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკისთვის 1921 წელს უმთავრესი საფრთხე იყო საბჭოთა რუსეთი, ასევე დღესაც საქართველოსთვის ის სწორედ ჩრდილოეთიდან მოდის. მიუხედავად 85 წლიანი სხვაობისა მეთოდებიც მსგავსია. კერძოდ, ორჯონიკიძე საქართველოში მე-11 -ე არმიას იმ საბაბით შემოუძღვა, რომ „ბორჩალოს სოციალური პრობლემებით შეწუხებული პროლეტარიატი აჯანყდა (თუმცა, როგორც შემდეგ გაირკვა, იმ დროს ბორჩალოში მხოლოდ ერთი პროლეტარი იყო) და მათ დასახმარებლად - ქართველი ხალხის სოციალური ჩაგვრისგან გადასარჩენად, შემოვიდა მე-11 არმია, სამწუხაროდ, ქართველების მეთაურობით“ (სააკაშვილი მ. 25 თებერვალი 2006). ოფიციალური დისკურსის თანახმად საქართველო იგივე პრობლემის წინაშე იდგა, საჭიროა გამოცდილებიდან სწავლა, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია, ისტორია გამეორდეს, რადგანაც რუსეთის

ვედერაციის პოლიტიკურ წრებში საუბარი დაიწყო ქართველების მძიმე მდგომარეობაზე, და „ახალი ორჯონიქიძის“ გამოჩენის შესაძლებლობებზე. პრეზიდენტის განცხადებით ეს საფრთხე რეალურია, რამდენადაც მავანი დღესაც საუბრობენ საქართველოს „ხსნის“ აუცილებლობაზე და არც ახალი, ჩვენი დროის „ორჯონიქიძის“, პოვნა გაჭირდება (სააკაშვილი მ. 25 ოქტემბერვალი, 2006).

ამ დღის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განცხადი იყო რომ 26 მაისს გაიხსნებოდა საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი, როელიც საზოგადოებას გააცნობდა შეახსენებდა იმპერიის მმართველობის სისახტიკეს საქართველოში. იმ მიზნით, რომ საზოგადოებას გაეცნობიერებინა, თუ როგორი იყო საქართველოს უახლესი წარსული, სააკაშვილის ინიციატივის თანახმად უნდა გახსნილიყო ოკუპაციის მუზეუმი. აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა სწორედ ასე მოახერხეს ისეთი კოლექტიური მეხსიერების შექმნა რომელიც არ დაუშვებს „ახალი ორჯონიქიძის გაჩენას საქართველოში“. პრეზიდენტის ამ განცხადებით დაფიქსირდა, არა მხოლოდ საფრთხის ახალი წყარო, არამედ ბალტიისპირეთის სახელმწიფოების, როგორც წარმატებული მაგალითის გამოყენების აუცილებლობა. აქ იკვეთება არა მხოლოდ კოლექტიური მეხსიერების კონტურები, არამედ ის საგარეო ორიენტაციის ლეგიტიმაციის მცდელობასაც წარმოადგენს. მოგვიანებით სწორედ საგარეო კურსი და მეხსიერების პოლიტიკა ერთმანეთს მჭიდროდ დაუკავშირდება, და უშუალო აღმოსავლეთ ევროპელი პარტნიორების გამოცდილება გახდება საქართველოში მეხსიერების სტრატეგიის ძირითადი ორიენტირი.

რუსეთთან ურთიერთობაში წინა წლებში მიღწეული წარმატებები (მაგ. რუსეთის ბაზების საქართველოდან გაყვანა) უკვე განსხვავებულად ფასდება და ცხადდება, როგორც წინაპართა ანდერძის შესრულება, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ოცნება:

„მისი ანდერძი იყო, და დღეს შესაძლებელია, რომ მის სულ და გმირის შთამომავლებს მოვახსენო: ანდერძის არა მარტო ის ნაწილი

შეხრულდა, რომ ქაქუცას ნებით თავისუფალი საქართველოს მიწას
დაუბრუნებოდა, არამედ იხილ, რომ საქართველო უკონური
შეიარაღებული სტრუქტურებისგან გათავისუფლებული-
კო“ (სააკაშვილი მ, 20 ნოემბერი, 2005).

პარტნიორი, რომელსაც აქვს მეგობრობის პერსპექტივა და მტერი, ეს არის ის
ორი დეფინიცია, რომელიც რუსეთთან ურთიერთობის შესაფასებლად
გამოიყენებოდა მიხეილ სააკაშვილის დისკურსში. ორივე დეფინიციის არჩევანი
განპირობებული იყო პოლიტიკის მიმდინარე დღის წესრიგით. ასევე,
რუსეთისადმი დამოკიდებულება ზეგავლენას ახდენდა საგარეო პოლიტიკის
წარმართვისას პარტნიორების შერჩევასა და შეფასებაზე.

ჩრდილოკავკასიელები, რომლებიც ხელისუფლების პირველ ეტაპზე იყვნენ
მტრები, მოგვიანებით მეგობრებად გამოცხადდნენ, რადგანაც საერთო ფაქტორი,
რომელსაც შეძლო გააერთიანებინა ეს ორი მხარე, სწორედ რუსეთის მიერ
საუკუნეების განმავლობაში ჩადენილი დანაშაულები იყო. მოგვიანებით,
საქართველომ ცნო ჩერქეზების გენოციდე (2011წ.20 მაისი) და ჩრდილოკავკასიის
ხალხებთან ურთიერთობაში შორსმიმავალი გეგმები დასახა - აქცენტს აკეთებდა
რა საერთო მტერზე, რომლის წინააღმდეგ ერთიანი ძალებით გამოსვლა უფრო
მეტის მიღწევის საშუალებას იძლეოდა.

სააკაშვილის კოჯორში გაკვთებული განცხადებით საქართველოში დაიწყო
ოკუპაციის, როგორც პროექტის საზოგადოებაში პოპულარიზაცია. თუკი
სონტაგის თეორიას მივუბრუნდებით დაიწყო იმ „სურათების“ შექმნა, რომელიც
ოკუპაციის შესახებ მეხსიერებას რეალური ცხოვრების ნაწილად აქცევდა და
უოველდლიურობაში გამოხატავდა. ამის ერთ-ერთი მაგალითი ოკუპაციის
მუზეუმი იყო.

§ 4.1 ოკუპაციის მუზეუმი, როგორც მეხსიერების ადგილი

ჰამილტონის თანახმად, წარსულის თანამედროვე გაგებას კრავს მემორალიზაცია და კომემორაცია, რადგანაც წარსული უკვე არ არის მხოლოდ ისტორიის მკვლევრების სამუშაო თემა, წარსულით საზოგადოებაც დაინტერესებულია (Hamilton, 2003. p.83). სწორედ ამაზე საუბრობდა ნორა, როდესაც ხაზი გაუსვა მეხსიერების ადგილების შექმნის აუცილებლობას, იქ სადაც უკვე აღარ არის რეალური მეხსიერება (1989). მუზეუმები კი მემორალიზაციის სწორედ ასეთ ადგილებს წარმოადგენენ.

მუზეუმისა და საზოგადოების ურთიერთდაკავშირება მას შემდეგ დაიწყო, რაც ექსპონატები ე.წ. cabinets de curiosite'-დან, რომელიც ელიტას ეპუთვნოდა, იქცნენ ინსტიტუტიდ, რომელიც საზოგადოების ფართო მასებისთვის იყო განკუთვნილი (ინტერნეტ წყარო №37). ეს პროცესი დაახლოებით XVII-ე საუკუნესი დაიწყო, მაგრამ განსაკუთრებისთ გაფართოვდა საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ, რომლის დეკრეტის თანახმად „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ფლობა ადამიანის ერთ-ერთი უფლებაა“.

მუზეუმების ფუნქციური მნიშვნელობა, ამა თუ იმ მოვლენის შესახებ ატარებდეს მეხსიერებას, აღმოჩენილ იქნა მოგვიანებით. ამ თვისებამ ის პოლიტიკას დაუკავშირა, რადგანაც კოლექტიური მეხსიერება იდენტობის მაკონსტრუირებელ ერთ-ერთ უმთავრეს რესურსად გამოიყენება. შესაბამისად, მუზეუმი კონსტრუირების პროცესის ნაწილად იქცა. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა მუზეუმებს, რომლებიც ტრაქმული ისტორიის შესახებ ინახავენ ხსოვნას. მსგავსი მუზეუმების ფორმირებას ნაცისტურმა და კომუნისტურმა რევიმებმა დაუდეს საფუძველი. შესაბამისად, პოლოკოსტის და კომუნიზმის მუზეუმები, ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ მუზეუმს წაერმოადგენს მთელს მსოფლიოში.

პოლოკოსტის მუზეუმები ერთ-ერთი უპირველესია, რომელთაც ერის ტრავმული წარსულის შესახებ შეუნახეს ხსოვნა საზოგადოებას. მაგრამ ამ მუზეუმების ფუნქციური დატვირთვა თავისთავად მათ გახსნისთანავე არ მომხდარა.

მაგალითად, იერუსალიმში იად ვაშემის მუზეუმი გააქტიურდა მას შემდეგ, რაც ისრაელსა და პალესტინას შორის დაიძაბა ურთიერთობა. აღნიშნული მუზეუმი საზოგადოებისთვის გახდა ნიშნული იმისა, თუ რა გამოიარა მეორე მსოფლიო ომის დროს და ახსენებდა, თუ რის დაკარგვის საფრთხეს უქადდა აღნიშნული ომი. ერის კონსტრუირების ერთ-ერთი მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ მეორე მსოფლიო ომში დაღუპული პირებისთვის შეუძლიათ აღნიშნულ მუზეუმში სიმბოლური მოქალაქეობის მინიჭება, თუკი ამას ახლობელი მოითხოვს. პოლოკოსტის მუზეუმები გახდა ერთ-ერთი გავლენიანი ადგილი, რომელიც საზოგადოებას ახსენებს, თუ რა ეტაპი გამოიარა კაცობრიობამ და მისი გამეორებისგან პრევენციას ისახავს მიზნად.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, არაერთი მუზეუმი გაიხსნა და მოეწყო ექსპოზიციები, რომელთა ძირითადი მიზანი საბჭოთა „მემკვიდრეობის“ კიდევ ერთხელ, განსხვავებული სახით დანახვა და მომავალი თაობისთვის ამ ცოდნის გადაცემა იყო. ხშირ შემთხვევაში, ოკუპაციის მუზეუმის შექმნას არა მხოლოდ წარსულის დამახსოვრება, არამედ მოძალადის მისამართით ბოდიშის მოხდისა და ფინანური კომპენსაციის მიღება ედო საფუძვლად. აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების უმრავლესობა ოკუპაციის მუზეუმის საშუალებით შეეცადა შექმნა ხსოვნა საბჭოთა მმართველობის ბნელი მხარეების შესახებ. საქართველოს შემთხვევაში, მაგალითი სწორედ აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებისგან იყო აღებული და მათი გამოცდილების გათვალისწინებით ოკუპაციის კოლექტიური მეხსიერების ნაწილად ქცევის მხარდაჭერას ისახავდა მიზნად.

საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმის შექმნის იდეა ნიკა რურუას ეკუთვნის, ხოლო პროექტი უშუალოდ პრეზიდენტის ადმინისტრაციის კურატორობით განხორციელდა და ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში განთავსდა. ოკუპაციის მუზეუმი აღწერს რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციას 1921-1991 წლებში. მიუხედავად განაცხადისა, მუზეუმის კონცეფცია არ ითვალისწინებს საბჭოთა ოკუპაციის მთელი პერიოდის ჩვენებას, არამედ გამოყოფს ცალკეულ

მომენტებს, რომელიც ოფიციალური დისკურსის თანახმად საბჭოთა კავშირის „ბოროტი“ ბუნების მაჩვენებელია. მუზეუმის ერთ-ერთი ცენტრალური მოვლენად 1924 წლის აჯანყება შეირჩა, რომელსაც ქაქუცა ჩოლოყაშვილი ხელმძღვანელობდა. ეს ის გმირია, რომლის საქართველოში ჩამოსვენება 2005 წელს ეროვნულ დღესასწაულად იქცა და წინააღმდეგობის მოძრაობების ჩვენებისას, მუდმივად მასზე ხდებოდა აქცენტირება. ქაქუცა იმ გმირთაგანია, რომელიც სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში აქტიურად იყო ჩართული და ოკუპაციის მუზეუმის გახსნასთან ერთად მას ახლი დატვირთვა, კონკრეტულად რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლის დაემატა. ამიტომაც სრულიად შესაძლოა ის პროექტი „ოკუპაციის“ ნაწილადაც კი განვიხილოთ.

ოკუპაციის მუზეუმის გახსნისას მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ:

„...ეს მუზეუმი ეძღვნება საქართველოს დიდ პატრიოტებს ქაქუცა ჩოლოყაშვილს და მის შეფიცულებებს. ეს მუზეუმი ეძღვნება მრავალ იატაკქვეშა ორგანიზაციებს, რომლებიც იქმნებოდა მთელი ამ წლების მანძილზე. ეს მუზეუმი ეძღვნება ქართველ სამღვდელოებას, რომლის საუკეთესო ნაწილიც თითქმის მოლიანად განადგურდა. ეს მუზეუმი ეძღვნება ქართველ ოფიცრობას. ეს მუზეუმი ეძღვნება ჩემს დიდ ბაბუას ნიკუშა წერეთელს, რომლის ოჯახშიც მე გავიზარდე და რომელიც მრავალი წელი იყო ციმბირში, ერთ-ერთ ბანაკში“ (ხააკაშვილი გ. 26 მაისი, 2006).

ოკუპაციის მუზეუმში წარსული და აწყო კომპლექსურად ურთიერთდაკავშირებულია. აღნიშნულის მაჩვენებელი მუზეუმში „ვარდების რევოლუციის“, როგორც თემის ადგილი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ოკუპაციის მუზეუმის ნარატივში ძალიან მწირია მასალები, ან თითქმის არ იყო 1956 წლის მარტის მოვლენების, 1978 წლის აპრილის დედაქნის დაცვისთვის გამოსვლის ან 80-იანი წლების დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი პირების მონაცემების შესახებ, ფილმი „ვარდების რევოლუციის“ შესახებ ვიზიტორებს აცნობდა

აღნიშნული მოვლენის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შესახებ. ვარდების რევოლუციის ექსპოზიციაში ჩართვის გამართლებად ოკუპაციის მუზეუმის ერთ-ერთმა ავტორმა, ირაკლი ზაუტაშვილმა განაცხადა, რომ 1021 წლიდან 1991 წლამდე საქართველოს ოკუპაციის ისტორია იმდენად მძიმე და დამრთვუნველია, რომ საჭირო იყო ერთგვარი ოპტიმისტური განწყობის შემოტანა დამთვალიერებლებში. „ვარდების რევოლუციის“ ჩართვა ექსპოზიციაში სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა (ინტერნეტ წყარო №6).

ეს განცხადება ერთგვარი გამოძახილია პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ უფრო ადრე გაკეთებული განცხადების, რომ საქართველო საბჭოთა კავშირის დაშლიდან თოთხმეტი წლის შემდეგ განთავისუფლდა. “თოთხმეტი წლის შემდეგ, როდესაც თავისუფლება საბოლოოდ ჩვენი ქვეყნის ნაპირებსაც მოადგა, ქართველმა ხალხმა უდიდესი ერთსულოვნება და ლირსება გამოავლინა” (სააკაშვილი მ. 3 თებერვალი 2006). ამდენად, ოკუპაციის მუზეუმი იყო ერთგვარი ხიდი, რომელიც უჩვენებდა წარსულში არსებულ სირთულებებს, მაგრამ ამავე დროს ატარებდა იმედს, რომ წარსულში არსებული სირთულეები გადალახვადია და საჭიროა არსებულ მიღწევებს გავუფრთხილდეთ. ამ თვალსაზრისით საქართველოს ოკუპაციის მუზეუმის ხედვა იად ვაშემის (პოლოკოსტის მუზეუმი ისრაელში) კონცეფციას შეიძლება დაგუპავშიროთ.

ოკუპაციის მუზეუმის ექსპოზია შესაძლოა შეფასდეს, როგორც კონერტონის “განსაზღვრული დავიწყების” კონცეფცია, რომლის დროსაც ხდება საჯარო, აღიარება, რომ წარსულის ადრე არსებული ვერსია ნეგატიურია და საზოგადოებამ ის უნდა “დაივიწყოს” (Connerton, P. 1998. pp 69). მის ნაცვლად იქმნება სხვა, ალტერნატიული. ექსპოზია ხაზგასმით ყვება საბჭოთა ოკუპაციის ისტორიის ამ “ჭეშმარიტ” ვერსიას, რომელიც თავის მხრივ მიუთითებს სასურველი ინტერპრეტაციის დამკვიდრების მცდელობაზე.

გარდა ამისა, მოგვიანებით საქართველოს რუსეთის მიერ ოკუპაცია იურიდიულ დონეზე გაფორმდა, რამდენადაც 2010 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო

დადგენილება, რომლის თანახმადაც 25 თებერვალი ოფიციალურად საბჭოთა ოკუპაციის დღედ გამოცხადდა. პარლამენტის დადგენილებით მთავრობას დაევალა ყოველ 25 თებერვალს მოქმნადებინა სხვადასხვა დონისძიებები ამ დღის აღსანიშნავად. საქართველოს მთელს ტერიტორიაზე უნდა დაეშვათ სახელმწიფო დროშები გლოვის ნიშნად (საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის შესახებ თრშაბათი, 26 ივლისი 2010).

ამ დღეების განმავლობაში განსაკუთრებული აქცენტი საბჭოთა ოკუპაციის დღეების სკოლებში აღნიშვნაზე კეთდებოდა, რამდენადაც განთლების სამინისტროს ინიციატივით მოსწავლეები დაყავდათ საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმში, ატარებდნენ სხვადასხვა კონკურსებსა და ლექცია/სემინარებს. ამით იქმნებოდა „ოკუპაციის“ პროექტი ნელნელა სახალხო პროექტად იქცეოდა. მეტიც, აღნიშნულ კვირეულს თავისი სიმბოლო ჰქონდა „სისხლისფერი ყაყაჩი“, რომელიც ასოცირდება დაღვრილ სისხლთან, სამშობლოსათვის თავის შეწირვასთან. აღნიშნულ სიმბოლოს პოლიტიკოსები, მასმედიის წარმომადგენლები ატარებდნენ ოკუპაციის კვირეულის განმავლობაში. მოგვიანებით, მოგვიანებით ის დაუკავშირდა 2008 წლის აგვისტოს ომის აღნიშვნას და ამით გარკვეული ჯაჭვი შეიკრა წარსულსა და თანამედროვეობას შორის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ვისაუბროთ, რომ ოკუპაციის მუზეუმის საშუალებით ოფიციალურად საქართველოს ხელისუფლებამ მოახდინა დისტანცირება საბჭოთა ისტორიის რუსული ნარატივისგან. ამასთანავე აღნიშნული გზა არჩეული იქნა თრი მიზნით. პირველი, ოკუპაცია ხდებოდა საზოგადოების მეხსიერების ნაწილი და მეორე- ამ გზით საქართველოს უერთდებოდა ევროპის იმ ნაწილს, რომელიც არ იზიარებდა რუსეთის ფედერაციის დირექტულებებს.

§4.1.1 მედია, როგორც საბჭოთა ოკუპაციის „პროექტის“ რესურსი

ოკუპაციაზე აქცენტირება და სახელისუფლებო დისკურსში მისი დიდი დოზით გამოყენება საზოგადოების კოლექტიური მეხსიერების კონსტრიურებისთვის არ იყო საძმარისი. საჭირო იყო დამახსოვრებული ფაქტების აღქმა, ყოველდღიური ცხოვრების ნაწილად ქცევა. სწორედ ამის მაგალითად შეიძლება განვიხილოთ ტელეპროექტი „ოკუპაცია“, რომელიც საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისის მიერ განხორციელდა და კოლექტიური მეხსიერების კონსტრუირების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებების და განსაკუთრებით მედიის გამოყენების მაგალითს წარმოადგენს.

აღნიშნული პროექტი შეიძლება განვიხილოთ ორი მიმართულებით:

1. სონტაგსის თეორიის შესაბამისად აუცილებელია ჰეგემონური მეხსიერების „ვიზუალიზაცია“, რათა საზოგადოებამ უკეთ აღიქვას მოვლენის მასშტაბები. სატელევიზიო ფილმი ამის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს;
2. მტრის და მასთან ბრძოლაში პოტენციური პარტნიორების გამოვლენა. რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია, როგორც მეოცე საუკუნის დასაწყისში, ასევე 2008 წელს, არ იყო გამონაკლისი - მხოლოდ საქართველოში მომხდარი შემთხვევა. არც კოლაბორაციონისტული მოძრაობის მაგალითები ხდებოდა მხოლოდ საქართველოში. მსგავსი პრაქტიკა არსებობდა აღმოსავლეთ ევროპაში. სწორედ ამ ასპექტზე აპელირება საქართველოს მისცემდა საშუალებას:
 - ა) ქვეყნის შიგნით ეზრუნა კოლექტიური მეხსიერების კონსტრუირებაზე;

ბ) ჩაწერილიყო საერთო ევროპულ ოჯახში, რომლებიც აქტიურად ცდილობდნენ წარსულის გააზრებას და საქართველოს ოკუპაცია წარმოედგინა, როგორც სისტემური პოლიტიკის ნაწილი;

გ) ევროპის წინააღმდეგობის მოძრაობის და სახელმწიფოს მეხსიერების პოლიტიკის წარმატებული მაგალითები წარმოადგენდა მორიგ არგუმენტს, თუ რატომ უნდა ყოფილიყო სახელმწიფო პოლიტიკა ასეთი რადიკალური.

3. პროექტი მიზნად ისახავდა ეკვლია არა მხოლოდ ნაცისტური და კომუნისტური დანაშაულებები სახელმწიფოთა და ერების წინააღმდეგ, არამედ ოკუპანტთა სიას ემატებოდა საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთი. შესაბამისად, ტერმინი „სამაგი ოკუპაცია“ მიუთითებდა დაპყრობითი პოლიტიკის მემკვიდრეობით ბუნებაზე. ამ პროექტს არა მხოლოდ წარსულის კვლევა, არამედ აწმყოს და რეალობის შეფასების ფუნქცია ეკისრებოდა (საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის სხდომის ოქმი № 85. 8 აგვისტო, 2012).

პროექტი განხორციელდა ტელეკომპანია საზოგადოებრივი მაუწყებლის („პირველი საინფორმაციო კავკასიური არხის – „П И К“-ის) შემოქმედებითი ჯგუფის მიერ. მომზადდა 17 დოკუმენტური ფილმი რუსულ და ინგლისურ ენებზე.

ფილმები აგებული იყო საერთო ნიშან-თვისებებზე, რომელიც ახასიათებდა რუსულ (საბჭოთა თუ პოსტსაბჭოთა) ოკუპაციას. მაგალითად :

- ისევე როგორც დღევანდელი რუსეთის ხელისუფლება აცხადებს, რომ მას უყვარს ქართველი ხალხი, მაგრამ არ აღსდგება ურთიერთობა ამჟამინდელ ხელისუფლებასთან, 1939-1940-იან წლებში ფინეთის მისამართითაც სტალინი ამბობდა, რომ მას უყვარს

ფინელი ხალხი, მაგრამ არ უყვარს ფინეთის ბურჟუაზიული ხელისუფლება“;

- ისევე, როგორც ფინეთში მოხდა სამხედრო მოქმედებების პროცესირება და შემდეგში კი მეორე მხარის დადანაშაულება ომის დაწყებაში. საქართველოშიც იგივე განმეორდა 1921 და 2008 წლებში. მეთოდიც საერთოა - მოწინააღმდეგებები არაპროპორციული სამხედრო ძალის გამოყენება, ქვეყნის ტერიტორიის ნაწილის ოკუპაცია, საზღვრების გადაწევა.

დოკუმენტურ ფილმებში ასევე პარალელები იყო გავლებული ფაშისტური გერმანიის მიერ 1938 წელს ჩეხოსლოვაკიის და, მეორე მხრივ, რუსეთის მიერ 2008 წლის აგვისტოში საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ოკუპაციას შორის. კერძოდ, 1938 წლის ჩეხოსლოვაკიისა და 2008 წლის საქართველოში დატრიალებულ მოვლენებში საერთოა არა მხოლოდ ოკუპაციისა და ანექსიის საბაბი (საკუთარი მოქალაქეების დაცვა), არამედ ამ ოკუპაციების გამართლების იდეოლოგიური მხარდაჭერაც, რასაც ნათლად ადასტურებს ბერლინში 1938 წლის 5 ოქტომბერს, ნახევრადოკუპირებული ჩეხოსლოვაკიიდან დაბრუნებული ფაშისტური გერმანიის კანცლერის ა. ჰიტლერისა და 2009 წლის 7 აგვისტოს რუსეთის მიერ ოკუპირებულ ცხინვალში მყოფი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის დ. მედვედევის საჯარო გამოსვლების შინაარსის მსგავსება (საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის სხდომის ოქმი № 85. 8 აგვისტო, 2012).

ფილმს ლაიტმოტივად გასდევდა, როგორც საბჭოთა რუსეთმა შეძლო ფინეთისთვის წაერთმია ქვეყნის ტერიტორიის 10%, მათ შორის, სტრატეგიული მნიშვნელობის ტერიტორია, მაგრამ ვერ შეძლო ფინელი ხალხის საბოლოო დამარცხება და მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ხელყოფა. ასევე ვერ მოხერხდა დასახული მიზნის მიღწევა 2008 წელს საქართველოში.

აღნიშნულ პრიზმაში კავკასიის და განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასიის განხილვის დანიშნულება ჰქონდა კომისიის მეორე პროექტს „ჩვენ კავკასიელები“, 12 დოკუმენტური ფილმისგან შემდგარი სერიას, რომელიც მიზნად ისახავდა ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის პოლიტიკის შედეგების გაცნობას საზოგადოებისათვის. ის მოიცავდა, როგორც ცარიზმის პერიოდს, ასევე საბჭოთა კავშირსა და პოსტსაბჭოთა რუსეთის ფედერაციის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ.

შესაბამისად, „ოქუპაციის“ შესახებ სახელმწიფო პროექტი მოიცავდა არა მხოლოდ ქვეყნის მსხვერპლად წარმოდგენის კონცეფციას, არამედ მასში მთელი რეგიონის ჩართვას ცდილობდა. ამის ერთ-ერთი მაგალითი საქართველოს მიერ ჩერქეზთა გენოციდის ცნობის ფაქტი იყო, რაც შეფასებული იყო, როგორც საქართველოს მიერ საბჭოთა კავშირის შეფასების, მისი ჭეშმარიტი ბუნების გამოვლენის და საზოგადოებისათვის წარდგენის საკითხი.

თავი V. ლუსტრაცია, როგორც მანიპულაციის იარაღი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი საბჭოთა კავშირის საიდუმლო სამსახურებთან დაკავშირებული პირების ლუსტრაციის თემა იყო. 90-იან წლებიდან მოყოლებული ყოფილი საბჭოთა სახელმწიფოების უმრევლესობამ ამ მიმართულებით განსხვავებული პოლიტიკური კურსი გაატარა, რაც როგორც ქვეყნის შიდა ვითარებით, ასევე საერთაშორისო მდგომარეობითაც იყო განპირობებული.

როგორც მეორე თავიდან ჩანს მართალია 90-იან წლების დასაწყისში ზეიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს საბჭოთა წარსულის შეფასების მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა, მაგრამ ხელისუფლების დამხობის შემდეგ, ედუარდ შევარდნაძის მიერ გატარებული პოლიტიკა ამ მიმართულებით განსხვავებული იყო. ის არ აგრძელებდა წინამორბედის კურსს. ლუსტრაციის და დეკომუნიზაციის განუხორციელებლობამ და აღნიშნული საკითხი დიად დატოვებამ მოგიანებით გააჩინა არე მოცემული საკითხით მანიპულირებისათვის.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ხელისუფლებაში მოსული მთავრობის ლუსტრაციის საკითხისადმი დამოკიდებულების გაანალიზებისას უნდა გამოიყოს ორი ძირითადი საკითხი. ესენია: ნაკლული საარქივო მასალები, როგორც მიზეზი, თუ რატომ ვერ მოხდება ლუსტრაციის პროცესის განხორციელება; აღნიშნული საკითხის ეროვნული უსაფრთხოების ფორმატში გადაყვანა, როდესაც კოლაბორაციონისტები აღქმული არიან, როგორც გავლენის აქტორები, რომელთაც შეუძლიათ საზოგადოებას ისეთივე ზიანი მიაყენონ, როგორც ეს შესძლო სერგო ორჯონიკიძემ მეოცე საუკუნის დასაწყისში.

§5.1 არასრული საარქივო მონაცემების საკითხი

ლუსტრაციის საკითხის ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორი უშიშროების არქივებში საბჭოთა კავშირის საიდუმლო სამსახურებთან დაკავშირებული პირების სრული მონაცემების არარსებობა იყო. ამაზე აპელირებით 90-იანი წლებიდან მოყოლებული პოლიტიკოსები ცდილობდნენ ლუსტრაციის კანონის მიღებიდან თავის არიდებას.

აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა არქივების გასაჯაროება ჯერ კიდევ 90-იან წლებში საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე დაიწყეს. ამ მიმართულებით სანიმუშო შემთხვევას გერმანიის მაგალითი წარმოადგენს, როდესაც ბერლინის პედლის დანგრევის შემდეგ ხალხმა მოახერხა დაეცვა შტაზის არქივები, რომელიც მოგვიანებით განსაჯაროვდა. ამით საზოგადოებას მიეცა საშუალება გაცნობოდა საარქივო მონაცემებს, მათ შორის პირად საქმეებს, რომელსაც ტოტალიტარული რეჟიმი მათ შესახებ ფლობდა.

საქართველოში, სამწუხაროდ, მსგავსი პრეცედენტი არ მომხდარა და არქივების საკითხი ერთ-ერთ მოუგვარებელ თემას წარმოადგენდა საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ ეტაპიდან მოყოლებული¹.

დღესდღეობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი აერთიანებს სამი უწყების საარქივო ფონდს, ესენია: შინაგან საქმეთა სამინისტროს, ყოფილი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის და კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მასალები². ოფიციალური მონაცემების თანახმად საქართველოში არსებული არქივი მოიცავს 1919 -1989 წლის მასალებს, დაახლოებით 20 000 ერთეულს. მათ

¹ არქივის თანამშრომლები საუბრობენ, რომ მოსახლეობამ ხანძრის შემდეგ დაიტაცა პირადი საქმეები, რომელთა ნაწილი ქვეყნიდან გაიტანეს, ნაწილს კი დღესაც კერძო მფლობელობაში ინახავენ;

² შინაგან საქმეთა სამინისტროს და უშიშროების არქივების გაერთიანება მოხდა 2005 წელს

უშიშროების სამინისტროს ლიკვიდაციის შემდეგ. ხოლო 2007 წელს მას დაემატა პარტიული არქივი

შორის არის უშიშროების არქივის ნაწილი (რაც ხანდარს გადაურჩა) და სისხლის სამართლის საქმეები, რომელთა ძირითადი ნაწილი პოლიტიკური ნიშნით არის აღძრული¹.

სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი გამოხატულება არის ე.წ. არქივების განსაჯაროების და საზოგადოებისათვის საარქივო მასალების გაცნობის საკითხი. ოფიციალური მონაცემებით საქართველოს უშიშროების არქივი დიად მოქალაქეთათვის გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, რომელიც კანონმდებლობით არის დარეგულირებული.

აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებას 2007 წელს წინ უძღვდა პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილის განცხადება, რომ მას არაერთი საქმე აქვს ნანახი იუსტიციის მინისტრობის დროს და ეს საქმეები საზოგადოებამ აუცილებლად უნდა იცოდეს. “ახალი ქართული სახელმწიფო არანაირად ვალდებული არ არის საბჭოთა კავშირის დროინდებული სააქმეები საიდუმლოდ შეინახოს” (სააკაშვილი გ. 18 თებერვალი, 2004). შესაბამისად, არქივების გახსნა ერთ-ერთი იმ გადაწყვეტილებათაგანია, რომელიც შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც მეხსიერების პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, რომელსაც საზოგადოების კოექტიურ მეხსიერებაში კიდევ ერთი შრტისი შექონდა.

არქივი როგორც წესი განკუთვნილია აკადემიური საზოგადოებისათვის და ფარტო მასებში იქ დაცული ინფორმაციის პოპულარიზაცია თავისთავად ვერ

¹ ამ კატეგორიის დამნაშავეებს უყენებდნენ სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგ მუხლებს: 58-10 (აგიტაცია ან პროპაგანდა, რომელიც შეიცავს საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მოწოდებას), 58-11 (ყოველგვარი ორგანიზებული ქმედობა, მიმართული დანაშაულის მომზადებისა და ჩატარებისათვის). ასამართლებდნენ ასევე სამშობლოს დალატის, ჯაშუშობის, ტერორისტული აქტის, საზღვრის უკანონო გადაკვეთის, კონტრაბანდის, უკანონო სავალუტო ოპერაციების, ყალბი დოკუმენტების დამზადების, მასობრივი არეულობების მოწოდების, სპეცდაციის, კრიმინალური დანაშაულისა და სხვა ბრალდებების საფუძველზე (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი http://archive.security.gov.ge/fondi_6.html).

მოხდება. სწორედ ამ „სარგების“ გამოსწორებად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს უშიშროების არქივის მიერ გამოცემული სპეციალური გამოშვებათა სერია „საარქივო მოამბე“, რომელიც საზოგადოებას მოუთხობდა საბჭოთა მმართველობის ბნელი მხარეების შესახებ. საბჭოთა მმართველობის კონკრეტული ეპიზოდების გაცოცხლება და ისტორიის აღდგენა არის ძირითადი დევიზი, რომლის განხორციელებასაც აღნიშნული პერიოდული ორგანო ცდილობდა. ამასთანავე, აღნიშნული პროექტი შესაძლოა ჩაითვალოს პოპულარული ისტორიის შექმნის მცდელობად, რომელიც საარქივო მასალების საზოგადოებაში პოპულარიზაციას ეწევა, რამდენადაც, უურნალში გამოყენებულია მასალები, რომელიც აღნიშნულ არქივებშია დაცული, ამასთანავე უურნალის თემატიკის სპექტრი იმდენად ფართოა რომ მკითხველს საშუალება ეძლეოდა გაეაზრებინა, თუ რა გარდახდათ თავს რეპრესირებულ ქალებს, პატრიარქებს, დისიდენტებს, როგორი იყო საბჭოთა ტერორი ავტონომიურ რესპუბლიკებში და როგორ აისახებოდა ეს ტერორის შემქმნელების ლავრენტი ბერიასა და იოსებ სტალინის მიმოწერაზე.

შესაბამისად, აღნიშნული პროექტი შესაძლებელია ჩაითვალოს კოლექტიური მეხსიერების მაფორმირებელი ერთ-ერთი იარაღად, რომელიც საზოგადოებაში საკმაო პოპულარობით სარგებლობდა და ამასთანავე საბჭოთა ოკუპაციის განსხვავებული რაკუსით დანახვის საშუალებას იძლეოდა.

§ 5.2 ლუსტრაციის კანონპროექტები

ხელისუფლების უმთავრესი სტრატეგია წარსულთან დისტანცირება იყო, მაგრამ ერთ-ერთი დაპირება რითაც ხელისუფლებაში მოვიდა, ლუსტრაციის კანონის მიღება და საბჭოთა საიდუმლო სამსახურებთან დაკავშირებული პირების ხელისუფლებიდან ჩამოშორების პირობა იყო. ამასთანავე, ამ კათარზისის პირობას იმ იმედით იძლეოდა, რომ ხელისუფლებაში მოდიოდნენ

ახალგაზრდები, რომელთაც წესით კავშირი საბჭოთა პერიოდთან არ უნდა ჰქონოდათ.

2003 წელს წინასაარჩევნო პერიოში 15 არასამთავრობო ორგანიზაციათა გაერთიანებამ (ერთ-ერთი ინიციატორი „თავისუფლების ინსტიტუტი“ იყო) წამოაყენა პროექტი „ათი ნაბიჯი თავისუფლებისაკენ“. აღნიშნულ დოკუმენტში გაიწერა, თუ რისი გაკეთება იყო საჭირო, რათა მომხდარიყო „პოსტკომუნისტური საქართველოს განახლება“. კონცეფციაში გაწერილი პუნქტები კომპლექსური იყო და ითვალისწინებდა საზოგადოების ღირებულებათა სისტემის ცვლილებას, ტრანსფორმაციას, განთავისუფლებას საბჭოთა მენტალიტეტისაგან.

დოკუმენტის მე-5 პუნქტი ეხებოდა ლუსტრაციის შესახებ კანონის მიღების აუცილებლობას და რაც მთავარია მის რეალურად განხორციელებას. „შერი კი არ გვინდა მათზე ვიძიოთ, ეს ხალხი იმიტომ გვაშინებს, რომ არ ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენი ქვეყნის ინტერესებია წარმოდგენილი. მაგალითად, პარლამენტარს რომ ვირჩევ, მაინტერესებს, ავირჩიო პარლამენტარი, რომელმაც მთელი ქვეყნის ბეჭი უნდა გადაწყვიტოს და უცებ რომ გაირკვეს, უშიშროებაში ვიღაც კაპიტანი ან ლეიტენანტი მას პაიპად ხმარობს, ეს კველამ უნდა იცოდეს“ (ინტერნეტ წყარო №7). აღნიშნული განახლება სახელმწიფოს მშენებლობის ახალ ეტაპს, ახალ გამოწვევებს და შესაძლებლობებს უკავშირდებოდა.

ვარდების რევოლუციის შემდეგ ხელისუფლებამ დაპირებისამებრ 2004 წელს ლუსტრაციის კანონის მიღების შესაძლებლობაზე საუბარი დაიწყო. დროთა განმავლობაში ამ საკითხის განხილვის ინტენსივობა და ინტერესი იცვლებოდა, იმისდა მიხედვით, თუ როგორი იყო შიდაპოლიტიკური ურთიერთობები პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებს შორის. მაგრამ ფაქტია, ერთსულოვანი ნება აღნიშნული კანონის მიღების ჯერაც არ არსებობდა.

2004 წ. 17 თებერვალს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ გაახმოვანა იდეა, რომლის თანახმადაც მინისტრთა ახალი კაბინეტი მხარს დაუჭერდა ლუსტრაციის ახალ კანონს, რომლის შემუშავებისთვისაც ზურაბ ადეიშვილს უნდა ეხელმდღვანელა (ინტერნეტ წყარო № 21), რომელიც იყო უშიშროების მინისტრის პოსტზე კანდიდატად წარდგენილი. უშუალოდ მინისტრის საზოგადოებისთვის წარდგენისას, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ „არსებობს დიდი, ისტორიული საქმეები, რომელთა გამომზეურება უნდა მოხდება“ (სააკაშვილი მ. 18 თებერვალი, 2004), რომლის შესახებაც საზოგადოებამ უნდა გაიგოს და ახალ მინისტრს საჯაროდ დაავალა, რომ მეორე დღესვე (!) გაეხსნა ყოფილი საბჭოთა სუპ-ის არქივები 1920-1930 წლებიდან მოყოლებული და გამოექვეყნებინა საბჭოთა სპეცსამსახურის ქართველი აგენტების სია (დილის გაზეთი. 19 თებერვალი, 2004)

მიხეილ სააკაშვილის აღნიშნული გამოსვლა საზოგადოებაში განხილულ იქნა, როგორც „ყვითელი ბარათის“ ჩვენება ინტელიგენციას და პოლიტიკოსებს, რომლებიც არ იყვნენ ლოიალურად განწყობილები ახალი ელიტის მიმართ. მითუმეტეს, სააკაშვილმა ასევე დასძინა, რომ იუსტიციის მინისტრობის დროს მას აქვს ნანახი აღნიშნული სიები და შესაბამისად იცის, რომ იქ საკმაოდ პატივსაცემი ადამიანები არიან მოხსენიებულნი. ამ განცხადებით ჩანდა, რომ ხელისუფლების ყველა დონეზე არსებობდა მზადყოფნა რათა მიღებულიყო აღნიშნული კანონპროექტი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მსგავსი დოკუმენტი არ მომზადებულა.

სააკაშვილის ეს განცხადება ერთის მხრივ წარმოადგენდა მისი, ლუსტრაციის კანონის მიღების შესახებ წინასაარჩევნო დაპირების, შესრულების მცდელობას, მაგრამ ამავე დროს მასში შესაძლებელია პოლიტიკური გადაწყვეტილების ნიშნების პოვნა, რამდენადაც ინტელიგენციის და პოლიტიკოსების ნაწილი არ თანაუგრძნობდა პრეზიდენტის მიერ განხორციელებულ რეფორმებს,

შესაბამისად არქივების გახსნის დაპირება იყო ერთგვარი სასჯელი ამ არალოიალურობისთვის¹. ამასთანავე, პრეზიდენტმა დააფიქსირა, რომ ის არ იყო წინააღმდეგი ლუსტრაციის კანონის მიღების და თუნდაც, კანონი არ მომზადებულიყო, არქივების განსაჯაროებით ის აღნიშნულ პროცესს შეუწყობდა ხელს.

უშუალოდ ლუსტრაციის კანონპროექტი მომზადდა ერთი წლის შემდეგ, მაგრამ არა მთავრობის, არამედ პარლამენტის ოპოზიციური ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ მიერ. აღნიშნული პროექტის განხილვას ორი წელი დასჭირდა, თუმცა ამ პროექტს განხილვისას ცხარე დებატები ახლდა თან. თემით მანიპულირება არ დასრულებულა, პირიქით უფრო გამწვავდა, მითუმეტეს პორიზონტზე გამოიკვეთა ახალი მტრის სახე, რომელსაც თავის „ორჯონიკიძეები“ ჰყავდა, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე ქვეყნის გარეთ (სიღრმისეული ინტერვიუ ლ. ბერძენიშვილთან. 12 ნოემბერი 2004).

ლუსტრაციის კანონის გამწვავება დროში ემთხვევა ასევე 2006 წლის დასაწყვისში გააქტიურებულ რუსეთის დედაქალაქს შეფარებული ყოფილი უშიშროების მინისტრის, პარტია "სამართლიანობის" ლიდერი იგორ გიორგაძის, გამოსვლას, რომელიც არ ფარავდა თავის ანტიპათიას, პრეზიდენტ სააკაშვილის მიმართ და რომელმაც 28 ნოემბერს "იზვესტიასთან" ინტერვიუში განაცხადა, რომ საქართველოს მოსახლეობის კონსოლიდაციის გზით აპირებს დღევანდელი "ვარდების რეჟიმის" შეცვლას და დასძენა, რომ ამისთვის სიტუაცია „უკვე

¹ მასმედიის საშუალებებში აღნიშნულ განცხადებას დიდი გამოხმაურება მოყვა, რამდენადაც ეს თემა კვირის ერთ-ერთ უმთავრეს სიახლეს წარმოადგენდა. მიხეილ სააკაშვილის მიერ კ რ ნ -ს არქივთა გამოქვეყნება არის უკანასკნელი ლურსმანი, რომელსაც იგი აჭედებს „საბჭოთა ქართული ელიტის“ ქუბოში, რითაც ადასტურებს, რომ ქვეყანას ახალი გენერაცია, ახალი სოციალური ტალღა ეპატრონება და მას სურს ყოველგვარი კავშირი გაწყვიტოს იმ ძველ „საბჭოთა ელიტასთან“, რომლის უნიათობამ ყველაფერთან ერთად, 1988-1993 წლების საზარელი ეროვნული ტრაგედია განაპირობა. („დილის გაზეთი“, 19 თებერვალი, 2004.)

მომწიფება... 2006 წელი - ეს ხააკაშვილის და მიხი გუნდის ხელისუფლებაში კოფის უკანასკნელი წელია“ (ინტერნეტ წყარო №17). ლუსტრაციის კანონის ამოქმედების შემთხვევაში აუცილებლად შეეხებოდა გიორგაძეს და მის თანამებრძოლებს და აღნიშნული თემის გააქტიურება მათი გაფრთხილების ერთ-ერთი საშუალება იყო.

კანონპროექტი საბჭოთა სკეცსამსახურის წევრებსა და პარტიულ თანამშრომლებზე თანამდებობრივი შეზღუდვას ითვალისწინებდა. ამასთანავე კანონპროექტის ძირითადი მხარდამჭერები ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები იყვნენ, რომელთაც ერთგვარი კვლევაც კი ჩაატარეს თუ როგორი იყო ყოფილის საბჭოთა ბლოკის ქვეყნების გამოცდილება ამ მიმართულებით (სიღრმისეული ინტერვიუ ლ. ბერძენიშვილთან. 12 ნოემბერი 2004). "ამ კანონის უპირველესი მოვალეობაა, გაწმინდოს ხელისუფლება უცხო ქვეყნის აგენტებისაგან... დღეს საქართველოს დსთ-ში ყოფნა-არ ყოფნის და ნატოში გაწევრიანების საკითხი წყდება. ანუ დღეს დადგა დრო, როცა აგენტები, რომლებიც საქართველოში ბევრი არიან, ქვეყნის წინააღმდეგ უნდა გააქტიურდნენ", - განაცხადა „რესპუბლიკულების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ბერძენიშვილმა, რომელიც ამ კანონპროექტს მხარს უჭერდა (ინტერნეტ წყარო №17).

ბერძენიშვილის განცხადებას გამოეხმაურა გიგა ბოკერია გამოეხმაურა, რომ ხელისუფლების დღის წესრიგში ლუსტრაციის შესახებ კანონის მიღება არ იდგა. საბოლოო ჯამში 2007 წელს პარლამენტმა 45 ხმით 37-ის წინააღმდეგ ლუსტრაციის შესახებ კანონი ჩააგდო. საინტერესოა, ის ფაქტი რომ კანონპროექტს მხარი არამხოლოდ უმრავლესობის წარმომადგენლებმა, არამედ თავად ინიციატორი ფრაქციის „დემოკრატიული ფრონტის“ წევრებთა ნაწილმაც არ დაუჭირა (სიღრმისეული ინტერვიუ გ. თორთლაძესთან. 19 ნოემბერი 2014).

მიზეზად ისევ სრულყოფილი საარქივო სიების არ არსებობა დასახელდა, რის გადაჭრის მქანიზმსაც აღნიშნული კანონპროექტი არ იძლეოდა. (ეს (კანონი)

მიგვიყვანს ისეთ ხიტუაციამდე, როდებაც იხინი [ყოფილი აგენტები], რომელთა შეხახებაც ინფორმაცია ხელმისაწვდომია [თბილისში] გამოვლინდებიან, ხოლო იხინი, რომელთა შეხახებაც ინფორმაცია მიუწვდომელია, ვერ გამოვლინდებიან) (ინტერნეტ წყარო №23).

საინტერესოა ის ფაქტი, რომ მიუხედავად კანონპროექტის ჩაგდებისა საზოგადოებრივ დისკურსში კვლავაც შენარჩუნდა მოთხოვნა მიიღონ ლუსტრაციის კანონი. რათა რუსეთთან გამწვავებული ურთიერთობის ფონზე ძალიან საფრთხილო იყო არ გამეორებულიყო უკრაინული სცენარი. შესაბამისად უნდა მომხდარიყო, ისეთი სკანონმდებლო ბაზის შემუშავება, რომ გამოვლინდეს რუსეთის სპეცსამსახურებთან დაკავშირებული პირები და არიკვეთოს მოსალოდნელი პროვოკაციები. გიგა ბოკერიას განცხადებით ოპოზიციის მიერ წამოყენებულ კანონპროექტმა იმიტომ ვერ მოიპოვა მხარდაჭერა, რომ ის მეტად ლიბერალური, ხასიათის იყო და თავად ხელისუფლება გეგმავდა ახალი კანონპროექტის შემუშავებას 2008 წლის არჩევნების შემდეგ რომელიც „უფრო რადიკალური“ ხასიათის იქნებოდა (ინტერნეტ წყარო №18).

ამავე პერიოდში გამოქვეყნდა „თავისუფლების ინსტიტუტის“ კონცეფცია, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ახალი კანონი ლუსტრაციის შესახებ. აღნიშნული კონცეფციის თანახმად, საბჭოთა პერიოდის ლიდერებისა და იდეოლოგების გარდა, ლუსტრაცია ასევე უნდა შეხებოდა მოქმედ სახელმწიფო მაღალადინოსნებს, დეპუტატებს, კანდიდატებს და პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელებსაც, რომლებსაც პირადი სატელეფონო, საფოსტო კომუნიკაცია ჰქონდათ იმ სახელმწიფოს მოქალაქეებთან, რომელთა „შეიარაღებული ძალები საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფოს ნების საწინააღმდეგოდ იმყოფებიან და რომელთა მიზანია კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა".

ამ ჩანართით ლუსტრაციის კანონი სცილდებოდა ლუსტრაციის გაგებას, რომლის თანახმადაც ის შრომის კოდექსს უკავშირდება. ამ შემთხვევაში კანონი შეეხებოდა არა მხოლოდ წარსულის დანაშაულებს, არამედ ახლანდელსაც, რაც არსებული კანონმდებლობით ისედაც ისჯება. ამ ჩანართით ლუსტრაციის კანონი ასევე უკავშირდებოდა უსაფრთხოების აღქმას რაზედაც ზემოთ ვისაუბრეთ.

"თუ რომელიმე პარტიის ლიდერი საქართველოს ნეიტრალიტეტის შესახებ დაელაპარაკება მოდებებ კოლეროვს, რომელიც არის რუსეთის პრეზიდენტის, პუტინის პოლიტიკურობის, ის ვალდებულია, ამის შესახებ განაცხადოს საჯაროდ, თუ როდის ელაპარაკა და რა თემაზე პქონდა ეს კომუნიკაცია", - განაცხადა "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელმა აკაკი მინაშვილმა (ინტერნეტ წყარო №19).

საბოლოო კანონპროექტი, რომელზედაც მოხერხდა შეთანხმების მიღწევა და რომელიც ორი წლის შემდეგ დამტკიცდა, პარლამენტს გია თორთლაძემ წარუდგინა. შემოთავაზებული მოდელი კანონის განმარტებითი ბარათის თანახმად ეფუძნება ჩეხეთის და ლიტვის გამოცდილებას. ლუსტრაციის კანონი, რომელიც მიღებულ იქნა „თავისუფლების ქარტიის“ სახელმიწოდებით სამ ძირითად პრინციპს ემყარება ესენია:

- ეროვნული უსაფრთხოების გაძლიერება,
- ✓ სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის, ტერორიზმისა და ქვეუნის უშიშროების საფუძვლების ხელყოფის აღკვეთა;
- ✓ თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით, საქართველოს კანონმდებლობის ნორმების ეფექტიანი ამოქმედება;
- ✓ ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცება;

- საბჭოთა და ფაშისტური იდეოლოგიის აკრძალვა;
- ✓ საბჭოთა და ფაშისტური იდეოლოგიების საფუძვლების გაღვივების წინააღმდეგ პრევენციული დონისძიებების განხორციელება;
- ✓ საბჭოთა და ფაშისტური სიმბოლიკების, საკულტო ნაგებობების, ძეგლების, მონუმენტების, ბარელიეფების, წარწერების, ქუჩების, მოედნების, სოფლებისა და დაბების სახელწოდებების აღმოფხვრა;
- ნებისმიერი აღნიშნულ იდეოლოგიებთან ასოცირებული სიმბოლიკის აკრძალვა და სპეციალური კომისიის შექმნა, რომელიც შეიმუშავებს უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან საიდუმლო თანამშრომლობაში ეჭვმიტანილთა ე.წ. „შავ სიახ“ („თავისუფლების ქარტია“. 2011. საქართველოს პარლამენტი. მუხლი 1).

კანონპროექტის ინიციატორის თანახმად სახელწოდება “თავისუფლების ქარტია“ იქიდან გამომდინარეობდა, რომ ის გაცილებით მეტი იყო ვიდრე ლუსტრაციის კანონი. თავისუფლების ქარტიას უნდა გაენთავისუფლებინა საზოგადოება ტერორიზმის საფრთხიდან (ტერორისტული აქტების სერია განხორციელდა იმ პერიოდში გორში და მიმდებარე ტერიტორიაზე, მათი გამოძიებისას ხელისუფლება რუსულ კვალზე ალაპარაკდა), იდეოლოგიური ზეგავლენისგან და სიმბოლოებისგან, რომელიც საზოგადოებას ახსენებდა და შესაძლოა, „აძლიერებდა კიდევაც“ იდეოლოგიურ განწყობებს (სიღრმისეული ინტერვიუ გია თორთლაძესთან. 12 ნოემბერი, 2014).

ლუსტრაციის კანონი იყო კომპრომისის შედეგი. უშუალოდ კანონპროექტში გაწერილი იყო ლუსტრაციის ფარგლებში განსახილველი ყოფილი თანამდებობის გაცილებით ვრცელი ნუსხა, ვიდრე ეს არის თავისუფლების ქარტიაში. აღნიშნული სიის შემცირება გია თორთლაძემ იმ ფაქტით ახსნა, რომ

იმდროინდელი უმრავლესობის წევრებმა მიმართეს ფრაქციის ხელმძღვანელს კანონიდან რამდენიმე პოზიციის ამოდების მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში წაუყენეს ულტიმატუმი, რომ უმრავლესობას დატოვებდნენ. „მე ვარჩიე ნაწილობრივ გასულიყო კანონი, ვიდრე მთლიანად ჩავარდნილიყო“ (სიღრმისეული ინტერვიუ გია თორთლაძესთან. 12 ნოემბერი, 2014).

თუკი შევადარებთ ლუსტრაციის შესახებ ქართულ, ჩეხურ და ლიტვურ მოდელებს შეიძლება დავასკვნათ, რომ:

კანონის ჩეხური ვარიანტი არ ითვალისწინებს საიდუმლო სამსახურებთან კავშირში მხილებული პირებისათვის არჩევითი თანამდებობების დაკავების აკრძალვას, მას შემდეგ რაც ისინი საზოგადოებას გააცნობენ საკუთარ სტატუსს ამ მიმართულებით, როგორიც არის მაგალითად ადგილობრივი თვითმმართველობა და პარლამენტი¹, რადგანაც კანონის თანახმად მოქალაქემ თავად უნდა გადაწყვიტოს აირჩევს თუ არა მსგავსი წარსულის მქონე პირს. ხოლო „თავისუფლების ქარტიის თანახმად“ მხილებულ პირებს არცერთი არჩევითი თანამდებობის დაკავების უფლება არ ენიჭებათ („თავისუფლების ქარტია“. 2011. საქართველოს პარლამენტი. მუხლი 8, 9.).

ჩეხეთის კანონმდებლობით ლუსტრაციის კანონი არ ვრცელდება პირებზე, რომლებიც დაიბადნენ 1971 წლის 1 დეკემბრის შემდეგ, ხოლო ქართული კანონმდებლობით მსგავსი შეზღუდვა არ არსებობს. მეტიც ეს ეხება ყველას 1921 წლის 25 თებერვლიდან 1991 წლის 9 აპრილამდე იყვნენ დაკავშირებული საიდუმლო სამსახურებთან. აქვე არის ჩანაწერი, რომ აღნიშნული კანონი

¹ მიუხედავად ამისა 1994 წელს 80 ათასამდე პირმა მოისურვა გაევლო ლუსტრაციის პროცედურა რათა მისცემოდათ კენჭისყრის შესაძლებლობა მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა ამას არ მოითხოვდა, რაც შეიძლება ავხსნათ იმ პაქტით, რომ ლუსტრაციის წარმატებით გავლა ლეგიტიმურობის და წარმატების შანსებს ზრდიდა. (იხ. Williams K. C)

გავრცელდება იმ ადამიანებზეც, რომელთაც 1991 წლის 9 აპრილიდან აქვთ რაიმე კავშირი უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან, ან უარი განაცხადეს საქართველოს სპეც-სამსახურებთან საიდუმლო თანამშრომელობაზე და ა.შ. (იქნ).¹

ასევე საინტერესოა ის ფაქტი, რომ ჩეხეთის რესპუბლიკაში თანამდებობის დაკავების აკრძალვა ეხებათ პირებს, რომლებიც უშიშროების სკოლებში სწავლობდნენ 3 თვეზე მეტი ვადით, ქართულ ვერსია კი მსგავს რეგულაციას არ ითვალისწინებს. ექსპერტთა აზრით ამ შემთხვევაში დოკუმენტის მორგება მოხდა საქართველოს კონკრეტულ თანამდებობის პირებზე და ამით დოკუმენტის პოლიტიკურ ხასიათს უსვამენ ხაზს (დოლიძე ა. 2010).

რაც შეეხება ლიტვის კანონთან მსგავსებას, ლიტვის ლუსტრაციის კანონში საიდუმლო სამსახურებთან დაკავშირებულმა პირებმა თავად უნდა აღიარონ

¹ ა) უარი განაცხადეს დამოუკიდებელი საქართველოს სპეციალურ სამსახურებთან საიდუმლო თანამშრომლობაზე;

ა.ბ) სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, გარიცხულ იქნენ საიდუმლო თანამშრომელთა აპარატიდან;

ა.გ) დაუდგენელი მიზეზების გამო გაწყვიტეს კავშირი დამოუკიდებელი საქართველოს სპეციალურ სამსახურებთან;

ბ) ყოფილი სსრ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ოფიცრები, რომლებმაც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან (1991 წლის 9 აპრილიდან) უარი განაცხადეს დამოუკიდებელი საქართველოს სპეციალურ სამსახურებში მუშაობის გაგრძელებაზე ან რომელთაც, სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, უარი ეთქვათ დამოუკიდებელი საქართველოს სპეციალურ სამსახურებში მუშაობის გაგრძელებაზე;

გ) ყოფილი სსრ-ის და საქართველოს სსრ-ის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, რაიონული და საქალაქო კომიტეტების მდივნები;

დ) ყოფილი სსრ-ის და საქართველოს სსრ-ის ახალგაზრდული ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტების ბიუროების წევრები;

ე) საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე. („თავისუფლების ქარტია“. 2011.)

ამის შესახებ, რასაც ქართული ვერსიაც ითვალისწინებს („თავისუფლების ქარტია“, 2011). ლიტვურ ვარიანტში შეზღუდვის ვადად დაწესებულია 10 წელი, რასაც საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს და რაც მთავარია თუ ლიტვაში საბჭოთა კავშირის საიდუმლო სამსახური კრიმინალურ ორგანიზაციად გამოცხადდა, მსგავსი ფაქტი საქართველოში არ მომხდარა.

„თავისუფლების ქარტიის“ განმარტებით ბარათში არ არის დასაბუთებული, თუ რატომ გაკეთდა არჩევანი ლუსტრაციის ჩეხურ და ლიტვურ გამოცდილებაზე, რომლებიც სიმკაცრის თვალსაზრისით ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდებიან და რა პრინციპით მოხდა პუნქტების შეჩევა ევროპული გამოცდილებიდან.

კანონის მაქოქმედებამდე საზოგადოებაში მან არაერთგვაროვანი შეფასება გამოიწვია¹. ერთ-ერთი საკითხი ეხებოდა კომისიის ჩამოყალიბების საკითხს, რომელიც შედის შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციაში და ამავე დროს არქივებიც ამავე სამინისტროს დაქვემდებარებაშია. ასევე კითხვები ეხებოდა კომისიის ფართო უფლებამოსილებას, სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების პირველი ფორმას (განსაკუთრებული მნიშვნელობა) რამდენად არის ისინი საფრთხის შემცველი და შესაძლოა თუ არა გახდეს პოლიტიკური მანიპულაციების საშუალება ². გარდა ამისა, უნდა აიკრძალოს თუ არა

¹ 2013 წლის 25 დეკემბრის ცელილებით კანონი უფრო მეტად მოქნილი გახდა, კერძოდ თუ ძველი რედაქციით კომისიას უნდა შეესწავლა სიმბოლოების რაციონალურობის საკითხი და გადაეცა შესაბამისი ორგანოსათვის, ამჯერად თვითონ დებულობს გადაწყვეტილებას მისი აღმოფხვრის შესახებ. ამასთანავე კომისიას მიეცა რეკომენდაციის არშესრულების შემთხვევაში პირთა გაფრთხილების და შემდეგში 1000 ლარიანი დაჯარიმების უფლება. (IDFI, 4 თებერვალი 2014)

² აგროვებს მონაცემებს და აწარმოებს იმ პირთა რეესტრს, რომლებიც საიდუმლოდ თანამშრომლობდნენ ყოფილი სსრკ-ის სპეციალურ სამსახურებთან ან რომელთა შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დაგენილი წესით მიღებული მონაცემები მიუთითებს მათ ფარულ კავშირზე ყოფილი სსრკ-ის სპეციალურ სამსახურებთან. კომისია ასევე აგროვებს ინფორმაციას საბჭოთა და ფაშისტური სიმბოლიკების აღმინისტრაციული ორგანოების მიერ, აგრეთვე სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაზე გამოყენების თაობაზე, ასევე

სიმბოლიკები, რომელიც განთავსებულია მაგალითად, კომერციულ დაწესებულებებზე (KGB ბარი) და ა.შ.

მიუხედავად კანონის მიღებისა, თავად ამ კანონი ჯერჯერობით პრექტიკაში სრულყოფილად არ ამოქმედებულა. ერთ-ერთი შედეგი ეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შენობიდან საბჭოთა დროიდან შემორჩენილი ხუთქიმიანი ვარსკვლავის მოშორება იყო.

თუკი შევაჯამებოთ ლუსტრაციის კანონის მისაღებად გაღებულ ძალისხმევას შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ყველა ხელისუფლების წარმომადგენელი ცდილობდა, რაიმე ფორმით მოექებნა გამოსავალი და შეესრულებინა გაცემული დაპირება ლუსტრაციის პროცესის გატარებისა და ყოფილი აგენტების გამოაშკარავების შესახებ. როგორც წესი აღნიშნული საკითხის გააქტიურებას წინ უძლოდა კონკრეტული პოლიტიკური მოვლენა, რომელიც დაკავშირებული იყო საბჭოთა კავშირის ნომეკლატურის წარმომადგენელთა გააქტიურებასთან. შესაბამისად საკითხის წინ წამოწევა ხდებოდა არა მხოლოდ საზოგადოების ინტერესების შესაბამისად, არამედ იმისდა მიხედვით როგორი იყო პოლიტიკური დღისწესრიგის გამოწვევები. ქართულ პოლიტიკაში ლუსტრაცია არა განწმენდის, არამედ “ყვითელი ბარათის” ფუნქციას ატარებდა.

საკულტო ნაგებობების, ძეგლების, მონუმენტების, ბარელიეფების, წარწერების შესახებ, ქუჩების, მოედნების, სოფლებისა და დაბების სახელწოდებების, აგრეთვე მასობრივი თავშეყრის სხვა ადგილების შესახებ, რომლებიც შეიცავს საბჭოთა და ფაშისტური იდეოლოგიების და პროპაგანდის ელემენტებს თუ ამ იდეოლოგიების ლიდერთა სახელებს. „თავისუფლების ქარტია“. (2011). საქართველოს პარლამენტი. მუხლი 7.3

თავი VI. სტალინის საკითხი პოლიტიკურ დისკურსში

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსეთის მიერ ოკუპაციის თემის წინ წამოწევასა და ახალი კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბების მცდელობის პარალელურად გააქტიურდა სტალინის ფენომენის შეფასების საკითხი. როგორც წინა თავებში განვიხილეთ იოსებ სტალინის მიმართ საქართველოს სხვადასხვა თაობის ხელისუფლების წარმომადგენლებს განსხვავებული დამოკიდებულება ქონდათ. თუ ზვიად გამსახურდია მკვეთრად ნეგატიურად აფასებდა ბელადის მემკვიდრეობას, ედუარდ შევარდნაძის აღქმა გაცილებით პოზიტიური იყო, რაც მან თავის გამოსვლებში არაერთხელ გამოხატა. კვლევები თუ როგორი იყო სტალინის აღქმა საზოგადოებაში აღნიშნულ პერიოდში არ ჩატარებულა, თუმცა შეხედულება, რომ სტალინი იყო მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების შემოქმედი საზოგადოებაში დომინანტობდა და რაც ყოველდღიურობაშიც კი იყო შესამჩნევი.

ვარდების რევოლუციის მთავრობის დამოკიდებულება სტალინის საკითხისადმი არათანმიმდევრულია და მსგავსად მეხსიერების პოლიტიკის სხვა საკვანძო საკითხებისა პოლიტიკის დღის წესრიგის შესაბამისად იცვლება. თავდაპირველად, სტალინის და სააკაშვილის საერთო დაბადების დღე (21 დეკემბერი) საზოგადოებაში გარკვეულწილად სტალინის რკინის ხელთან ასოცირდებოდა, და მესიანიზმის იდეას კიდევ უფრო ამბაფრებდა. ხელისუფლებაც არ ცდილობდა ამ საკითხის წინ წამოწევას, თუმცა სტალინი, როგორც ბელადი საქართველოს გმირთა პლეადაში, რომელთაც ქვეყნის მშენებლობის პროცესში იყენებდნენ არ ირიცხებოდა. ხელისუფლების სტრატეგიას შესაძლებელია ერთგვარად სიჩუმის სტრატეგია ვუწოდოთ, რომელსაც არ სურს გააქტიუროს საზოგადოებაში მისი ხსოვნა, თუმცა არც დავიწყებისთვის ემეტება.

§ 6.1 საბჭოთა მონუმენტური ძეგლები

ვარდების რევოლუციის შემდეგ მმართველობის პირველ წლებში ხელისუფლების და განსაკუთრებით, პრეზიდენტ სააკაშვილის შეფასება სტალინთან მიმართებაში თავშეკავებული იყო. მისი, როგორც საბჭოთა სისტემის ნაწილის აღქმა არ ხდებოდა, მაგრამ რუსეთთან ურთიერთობის დაძაბვასთან ერთად დღის წესრიგში დგება ისტორიის მოდიფიცირების საკითხი. ამ პროცესში ძალიან დიდი დატვირთვა ჰქონდა სიმბოლოებს, რომლებიც ინახავენ ამ ხსოვნას ამა თუ იმ მოვლენის შესახებ. ამ სიმბოლოების საშუალებით შესაძლებელია “ან უკვდავიყოს ან ანათემას გადაეცეს კონკრეტული ხსოვნა” (Verdery, K. 1999).

სტალინის, როგორც საბჭოთა დიქტატორი პოლიტიკის დღის წესრიგში რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის დაძაბვის შემდეგ გამოჩნდა. ამ გამოჩენას ნეგატიური დატვირთვა ქონდა და ბელადი უკვე საბჭოთა კავშირის რეპრესიების ავტორად აღიქმებოდა. ამასთან, შეიმჩნევა სტალინის პოზიტიური შეფასებისა და მისი გავრცელებისადმი ნეგატიური დამოკიდებულება. მაგალითად, 2007 წლის ოქტომბერში ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ეთერში დაიწყო სერიალ „სტალინი LIVE“-ის ჩვენება, რომელშიც ნაჩვენები იყო იოსებ სტალინის ცხოვრების უკანასკნელი თვე, რომელშიაც ბელადი იხსენებს განვლილ გზას და ბოლოს საკუთარი ქმედებების მონანიებას ცდილობს. ტელეკომპანიის გენერალური დირექტორი აღნიშნული სერიალის რეკლამირებისას აცხადებდა, რომ ”ეს ფილმი მაყურებელს საშუალებას აძლევს გაიგოს, რაზე ფიქრობდა სტალინი, ვინ სძულდა და ვინ უყვარდა; ასევე გაიგოს იყო თუ არა სტალინი მართლა ასეთი ცუდი როგორც ჩვენ ამდენი წლები თავში გვიჭედავდნენ და თურმე ეს ყველაფერი ასე არ ყოფილა“ (ინტერნეტ წყარო № 19).

აღნიშნულმა განცხადებამ, ხელისუფლების წარმომადგენლების მკაცრი კრიტიკა გამოიწვია. მას სამარცხვინო და სკანდალური შეფასება უწოდეს, რადგანაც

სისხლიანი ტირანის მითის ძლიერი ქართველი პოლიტკოსით ჩანაცვლების მცდელობის განსხვავებულად შეფასება ვერ მოხდებოდა. არხის საპასუხო განცხადების თანახმად, საქართველოში ჯერ კიდევ იყვნენ დიდი რაოდენობით ადამიანები, რომელითათვის იოსებ სტალინის სახელი მნიშვნელოვანი იყო, და შესაბამისად პროდუქცია სწორედ მათზე იყო გათვლილი.

სტალინის შეფასების საკითხი განსაკუთრებულად მწვავე 2008 წლის რუსეთ საქართველოს ომის შემდეგ გახდა და დაუკავშირდა ომისგან ყველაზე მეტად დაზარალებული ქალაქის - გორის მოედანზე სტალინის მონუმენტის არსებობის მართებულობის საკითხის.

მესხიერების სიმბოლოების საკითხი სამეცნიერო საზოგადოებაში არაერთგვაროვნადაა შეფასებული. მკვლევართა ნაწილისთვის მისი არსებობა ისტორიის ინტერპრეტაციის სიცოცხლისუნარიანობასთან არის დაკავშირებული. (Forty, A. 1990. Groseclose, B. 1999. Roginer, L. Sznaider, M. 1998.) ხოლო მკვლევერთა დიდი ნაწილის აზრით მოშორებული, მონუმენტებიც გარკვეული ინფორმაციის ხსოვნის მატარებელია და თავის მხრივ ზეგავლენას ახდენენ ხალხზე (Lowenthal, D. 1975).

სახელისუფლებო წრეებში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ქალაქში, რომელიც ომის დროს პერმანენტულად და დაუნდობლად იბომბებოდა რუსი აგრესორების მიერ, არ შეიძლებოდა მდგარიყო საბჭოთა ბელადის ქანდაკება, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვდა ბოლშევიკების მიერ დემოკრატიული საქართველოს ანექსიაში და იმ მბიმე მდგომარებაში რაშიც დღესდღეობით ქვეყანა იმყოფებოდა. ამასთანავე, საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაცია, რომელიც თავისმხრივ ცდილობდა აღედგინა სტალინისდროინდელი იმპერია, კვლავაც აგრძელებდა საქართველოს ოკუპაციას. რამაც საქართველოს ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილის მიტაცებასთან ერთად ათასეულობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

გორის ცენტრალურ მოედანზე მდგარი ძეგლი ასევე ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფოს ოფიციალურ პოლიტიკას, რომელიც წარსულის შეფასებას და საზოგადოებაში საბჭოთა მენტალიტების დამსხვრევას ითვალისწინებდა. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებით *XXI საუკუნეში*, როდესაც საქართველოს აქებს თავისი დამოუკიდებელი ისტორია, ამ ქვეყნაში არ შეიძლება არსებობდეს ოკუპაციის მუზეუმი და ოკუპანტთა ძეგლები. რადგანაც საფუძველ შევე ეწინააღმდეგება საქართველოს, როგორც თავისუფალი ქვეყნის მენტალიტებს და სახელმწიფოებრივ პრიორიტეტებს (სააკაშვილი პ. 3 ოქტომბერი 2008).

აღნიშნული ძეგლის ქალაქის ცენტრიდან გადატანის იდეა 2008 წელს მთავრობის სხდომაზე გაცხადდა, როდესაც ვიცე პრემიერმა გიორგი ბარამიძემ ხაზი გაუსვა, რომ მუდმივად თავისუფლებისათვის მებრძოლი ერს არ შეიძლება თავისუფლების სიმბოლოდ ოკუპანტის ძეგლი ჰქონდეს, მხოლოდ იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ ის საქართველოში დაიბადა.

ოფიციალური დისკურსის თანახმად გორის ცენტრალურ მოედანზე ძეგლის არსებობა „ახირებული და გაუგებარი დაუდევრობა იყო“ (ინტერნეტ წყარო №10), რომელიც სახელმწიფოს იდიოტურ მდგომარეობაში აყენებდა (გია ნოდია). აღნიშნულ ინიციატივას მთავრობის წარმომადგენლები მიესალმნენ, მაგრამ საზოგადოებაში განსხვავებული რეაქცია გამოიწვია. კერძოდ, სამოქალაქო საზოგადოებისა და პოლიტიკოსთა წარმოადგენლები ორ ბანაკად დაიყვნენ. ნაწილი მხარს უჭერდა ძეგლის აღებას, მეორე ნაწილი კი აპროტესტებდა. ორივე მხარე ხაზს უსვამდა, რომ აღნიშნულ გადაწყვეტილებას პოლიტიკური სარჩევი ჰქონდა, რასაც ძეგლის გადატანის მომხრეები დადებით, ხოლო მოწინააღმდეგები უარყოფით მხარედ მიიჩნევდნენ.

ძეგლის გადატანის მომხრეთა ძირითადი არგუმენტაციის თანახმად: სტალინი მეოცე საუკუნის უმთავრეს ბოროტებათა სიას ლიდერობდა. მისი მმართველობის პეიოდში საბჭოთა კავშირმა იმპერიის შემადგენლობაში მყოფ ერებს და მათ

შორის სტალინის მშობლიურ ქართველებსაც მოუწყო გენოციდი. მისი პერსონული დადებითი შეფასება უფრო მეტად მითოლოგიის თემას განეკუთვნებოდა, რომელსაც სწორედაც რომ ქართული წარმომავლობა პეტავდა და რეალობასთან საერთო არაფერი ჰქონდა. ქართველთა გულუბყვილობის კიდევ ერთი გამოხატულება იყო ის ფაქტი, რომ ბელადის გარდაცვალების შემდეგაც კი 1959 წელს მისი სახელის დაცვას არაერთი ქართველი შეეწირა. ამიტომაც, ისტორიის შეფასების და სტალინისთვის პატრიოტის ფასადური სახის ჩამოხსნის დრო იყო დამდგარი. მის მიერ გატარებული პოლიტიკა იყო არა საქართველოს არამედ რუსეთის ინტერესებში და სწორედაც რომ იმპერიას ემსახურებოდა. ოფიციალური დისკურსის თანახმად რუსეთი არის მტერი, რომელიც 200 წლის მანძილზე განუწყვეტლივ გვესხმის თავს. არ შეიძლება მტრის მონუმენტი ქალაქის მთავარ მოედანზე იდგეს (24 საათი. 29 სექტემბერი, 2008. გვ. 10). ამასთანავე, ძეგლის გადატანის მოწინააღმდეგებს სტალინის სადღეგრძელოების ძახილში ამხელდნენ და ბელადის, როგორც ზე-კომპენსაციის საშუალებად აღქმაში სდებდნენ ბრალს. (კონცეფცია: მართალია რუსეთმა ჩვენ დაგვიპყრო, მაგრამ სტალინის საშუალებით ჩვენ რუსეთი დავიპყროთ) (ზედანია გ. ბაქრაძე ლ. 2009).

აღნიშნული გადაწყვეტილება, სახელმწიფოს მხრიდან ემსახურებოდა ხაზგასმას, რომ ის აგრძელებდა ბრძოლას იმპერიის წინააღმდეგ და არ დაუშვებდა მტკიცნეული ისტორიის განმეორებას. ეს გადაწყვეტილება გულისხმობდა, როგორც პროტესტს რუსეთის იმპერიული პოლიტიკის წინააღმდეგ, ასევე საზოგადოებაში აღვიძებდა ერის კოლექტიურ მეხსიერებაში წინააღმდეგობის მოძრაობას, რომელიც ათწლეულების განმალობში წარუმატებელი იყო, მაგრამ ამჟამად მიზნისთვის უნდა მიეღწია. იდეის მომხრეთა ერთ-ერთი არგუმენტის თანახმად, ძეგლის არსებობა ქალაქის ცენტრში, ასევე ეწინააღმდეგებოდა საქართველოს და მისი ხელისუფლების მიერ ევროპული ფასეულობების გაზიარების საკითხს, რამდენადაც აღნიშნული ძეგლი მიანიშნებდა, რომ ბელადის მეხსიერება ქვეყანაში ჯერაც ცოცხალი იყო, (ამის არგუმენტად

მოყავდათ, რომ ევროპელებმა შეძლეს ტოტალიტარული წარსულის გადალახვა, რუსეთმა კი ვერა. ეს ერთ ერთ ევროპულ ფასეულობად აღიქმებოდა) შესაბამისად, ცოცხლობდა დიადი საბჭოეთის ნოსტალგია და შანსი, რომ ფორსმაჟორულ სიტუაციაში მტერი კონფორმისტულად განწყობილი ადამიანების პოვნას მოახერხებდა.

საბჭოთა მონუმენტების ქვეყანაში არსებობა ხელისუფლებას ახსენებდა, რომ მიუხედავად წამატებულ რეფორმებზე აპელიებისა, ის მაინც პოსტსაბჭოთა სახელმწიფო იყო, რომელიც ჯერ კიდევ ვერ გამიჯვნოდა რუსეთს, მიუხედავად მისი მხრიდან არაერთჯერადად თავდასხმისა. საზოგადოებაშიც კი, სტალინის ძეგლის გადატანა რუსეთის აგრესის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად და ერთგვარ რევანშად აღიქმებოდა, რამდენადაც ხელისუფლება ცდილობდა ისტორიის გადაწერას და ახალი ვერსიის შექმნას, პოლიტიკური ბერკეტების გამოყენებით.

სტალინის ძეგლის გადატანის მოწინააღმდეგეთა ძირითადი არგუმენტი, სწორედ იმ პრინციპზე იყო დაფუძნებული, რომ ხელისუფლება მიზნად არა ტოტალიტარული წარსულის შეფასებას და სტალინიზმის, როგორც ფენომენის შესწავლას ისახავდა მიზნად, არამად მიმდინარე პოლიტიკის დღის წესრიგზე იყო მორგებული და რუსეთის აგრესის წინააღმდეგ სვლას წარმოადგენდა. სტალინის, როგორც ბელადისადმი არსებული დადებითი განწყობის განეიტრალება ძეგლის „ჩამოკვერცხლბეჭებით“ ვერ მოხდებოდა. მენტალობის შესცვლელად საჭირო იყო საბჭოთა კავშირის, როგორც სისტემის მეცნიერული პკლევა, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მხოლოდ ამ გზით მოხერხდებოდა საზოგადოებაში არსებული მითების გადაფასება.

სისტემის დემონტაჟი არა ძეგლების მოშორებით, არამედ ჩვენს თავებში, ეს იყო მათი ძირითადი დევიზი. წარსულის სრულად გააზრების შემთხვევაში საბჭოთა ძეგლები არ წარმოადგენდა საფრთხეს არც ხელისუფლებისთვის და შესაბამისად, არც საზოგადოებისათვის. მას მხოლოდ ტურისტული

მნიშვნელობა ექნებოდა, როგორიც ეს აღმოსავლეთ ეკროპის სახელმწიფოთა უმრავლესობამ წარმატებით განახორციელა.

აღნიშნულ საკითხში პოლიტიკის ჩარევის კიდევ ერთ მაგალითს წარმოადგენდა ხელისუფლების მცდელობა ნებისმიერი ხერხის გამოყენებით მოეშორებინა ძეგლი გორის მოედნიდან. 2010 წელს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი უკრნალ „კომერსანტთან“ ინტერვიუში, რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე საუბრისს შეეხო სტალინის ძეგლის გადატანის თემატიკას და აღნიშნა, რომ 2008 წლის აგვისტოში მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ქართულ და რუსულ მხარებს შორის სტალინის ძეგლის რუსების მიერ აფეთქებასთან დაკავშირებით. მისი თქმით, ამ მოლაპარაკებებში ქართულ მხარეს თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე წარმოადგენდა. ის რუს ჯარისკაცებს სთავაზობდა 50 000 დოლარს ძეგლის აფეთქების სანაცვლოდ, თუმცა რუსულმა მხარებ ამ გარიგებაზე უარი განაცხადა. მისი განცხადებით რუსულმა მხარემ აღნიშნული შემოთავაზება შეურაცყოფადაც კი მიიღეს. ეს იმ ფონზე, როდესაც „სხვა ყველაფრისოვის რუსები ფულს აიღებდნენ, მაგრამ ამისოვის არა“ (ინტერნეტ წყარო №25), რაც მისი თქმით, კიდევ ერთხელ უჩვენებს, თუ რამხელა სხვაობაა ჩვენსა და რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა მენტალობას შორის¹.

¹ მინისტრ მერაბიშვილის განცხადების შემდეგ სამინისტროს პრესსამსახურმა განმარტა, რომ მართალია გამოქვეყნებული ინტერვიუ რეალურად ასახავდა მინისტრის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, მაგრამ თემებიდან, რომელიც ეხებოდა საქართველოს ინტერესებს ჩრდილოეთ კავკასიაში და საქართველო-ევროპავშირის ურთიერთობებს კონტექსტიდან იყო ამოგლეჯილი. ამასთანავე პრეს-სამსახურის განმარტება არ შეხებია სტალინის ძეგლის შესახებ ინფორმაციას, რაც შესაძლოა მისი რეალურობის ადასტურებდეს.

მოგვიანებით, ვანო მერაბიშვილმა გაზეთ „24 საათისოვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ამ თემაზე ხუმრობით საუბრობდნენ და ეს ცნობილი ისტორიაა, „...როდესაც გივი თარგამაძე ტყვების გათავისუფლების თაობაზე ოქუპანტებთან მოლაპარაკებას აწარმოებდა, უთხრა, სამოქალაქო ინფრასტრუქტურას ნუ დაანგრევთ, თუ გინდათ ფულს მოგცემთ და სტალინის ძეგლი ააფეთქეთო, - ასეთ კონტექსტში იყო ნათქვამი. თვითონ რუსი ოფიცრები ამბობდნენ, როგორ აკადრეთ ეს სტალინს,

თუკი შევაფასებთ ხელისუფლების ამ განზრახვას შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მთავრობა შეეცადა თავად რუსეთის ხელით გაეპეობინათ მათვის მნიშვნელოვანი საქმე, მათვე ხელით მოეშორებინათ სტალინის ძეგლი საქართველოსთვის. რასაც ორი მნიშვნელოვანი შედედები შეიძლებოდა პქონდა:

- ✓ პირველი, რუსეთის, როგორც მტრის ხატს უფრო განამტკიცებდა, რადგანაც მათ არ დაინდეს თვით სტალინიც კი, რომელმაც მათ იმპერია შეუქმნა;
- ✓ მეორე, ხელისუფლება ამ საკითხს ექსესების გარეშე მოაგვარებდა, რადგანაც როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა ძეგლის მოშორების საკითხმა საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი გორის რაიონის მაცხოვრებლებში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია.

გორში სტალინის ძეგლის დემონტაჟის საკითხი გავრცელდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში არსებული ძეგლების საჭიროების საკითხსაც და საქართველოში სტალინის მონუმენტების ლეგიტიმურობის საკითხის ერთიან კონტექსტში განხილვა დაიწყო, რითაც თემატიკას გორის ფაქტორი ჩამოცილდა და უფრო მეტად სისტემური გახდა.

ძეგლების დემონტაჟის პროცესი გორიდან დაწყო, ძეგლი დამით, წინასწარი გაფრთხილების გარეშე, გორის ცენტრიდან მაღულად გადაიტანეს. ანალოგიურად წარიმართა ძეგლების გადატანის პროცესი საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში კერძოდ, ტყიბულში, ქუთაისში, ახმეტასა და თელავში. მიუხედავად დამით ჩატარებული ოპერაციისა, ძეგლების აღებას ექსესების გარეშე მაინც არ ჩაუვლია. ადგილობრივი ტელეკომპანია

სტალინი ჩვენი იდეალიაო... ამ განწყობაზე იყო იქ საუბარი - ჩვენს მიწაზე შემოჭრილი რუსი თვითორები და რუსული არმია დღეს სტალინის მიმდევრები, სტალინისტები არიან. სწორედ ამის თქმა მინდოდა” მერაბიშვილი ”კომერსანტში” გამოქვეყნებულ ინტერვიუს განმარტავს (სივილ ჯორჯია, 10 აპრილი, 2010)

„თრიალეთის“ უურნალისტებს არ მისცეს დემონტაჟის პროცესის გადაღების საშუალება, უურნალისტებს შეურაცყოფა მიაყენეს და კამერა წაართვეს. (მოგვიანებით, პოლიციელებმა კამერა დაააბრუნეს, მაგრამ უურნალისთვის განცხადებით გადაღებული კადრები წაშლილი იყო.) (ფუტკარაძე, გ. 25.06.2010).

საქართველოს მოსახლეობამ სტალინის „ჩამოკვერცხლბეჭების“, პროცესი პოლიციელების მიერ გადაღებული კადრების საშუალებით ნახა, საიდანაც ჩანდა, თუ როგორი ოვაციებით ხვდებოდა ადგილზე შეკრებილი ადამიანების ჯგუფი ძეგლის ჩამოგდებას. ოფიციალური დისკურსის თანახმად მოზეიმე ხალხი გამოხატავდა საბჭოთა მენტალიტეტოან დამშვიდობებას. ეს პროცესი არა მხოლოდ ხელისუფლების ჩარევით, არამედ თავისთავად ხალხის სურვილით ხდებოდა. მითუმეტეს, ძეგლის გადატანამდე არაერთხელ გამართულა ამ ადგილზე ახალგაზრდების აქცია, რომლებიც, ხელისუფლებას უმოქმედობაში ადანაშაულებდნენ და მონუმენტის სასწრაფოდ გადატანას ითხოვდნენ. ეს ფაქტი კიდევ უფრო ამტკიცებდა სხვაობას დასავლური დირებულებების აღქმისას ქართველ და რუს ერს შორის.

საზოგადოების რეაქცია ჩუმად ძეგლის გადატანაზე მკვეთრად ნეგატიური იყო. სტალინის დამით „მოტაცების“ მიზეზად ოფიციალური წყაროები ადგილობრივი მოსახლეობის გაღიზიანების თავიდან აცილების სურვილს ასახელებდნენ. ცენტრალური მთავრობის განცხადების თანახმად, ბელადის ძეგლი სტალინის მუზეუმში უნდა აღმართულიყო, თუმცა აღნიშნული დაპირება არ შესრულებულა¹.

¹ ძეგლის დაბრუნების იდეა დღესაც ცოცხლობს. ხელისუფლების ცელილების შემდეგაც არაერთი პოლიტიკოსი პირდებოდა გორის მაცხოვრებლებს ბელადის ძეგლის დაბრუნებას, მაგრამ თავისუფლების ქარტიაში 2014 წელს შესული ცელილების თანახმად კანონმდებლობით იკრძალება კომუნიზმთან და ფაშიზმთან დაკავშირებული ძეგლების დადგმა.

მოგვანებით, ხელისუფლების მიერ გახმოვანდა სტალინის მუზეუმის კონცეფციის შეცვლის იდეა, რომლითაც ეს უკანასკნელი სტალინიზმის მუზეუმად უნდა გადაკეთებულიყო. 2008 წლის სექტემბერში ნიკა ვაჩევიშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლება გორში, სტალინის მუზეუმში კიდევ ერთი ოკუპაციის მუზეუმის გახსნას გვიგმავდა, რომელიც საზოგადოებას გააცნობდა ორსაუკუნოვანი რუსული ოკუპაციის შესახებ მასალას. ახალი მუზეუმი უნდა დაეპროექტებინათ პოლონელ და ლიტველ სპეციალისტებს, რომელთაც აღნიშნულ საკითხზე მუშაობის დიდი გამოცდილება ქონდათ (ინტერნეტწყარო №24). ოფიციალური დისკურსის თანახმად სტალინის მუზეუმში უფრო მეტად კომუნიზმის პროპაგანდა მიმდინარეობდა, ვიდრე რეალობის ასახვა, რამდენადაც გიდების ტექსტი ორიენტირებული იყო გაამართლებინა საბჭოთა ხელისუფლების სისხლიანი რეპრესიები, ამიტომაც საჭირო იყო მუზეუმის შინაარსის და შესაბამისად ექსპოზიციის შეცვლა და მისი თანამედროვე მოთხოვნილებებს მორგება.

კულტურის მინისტრმა ნიკა რურუამ 2008 წლის აგვისტოს საქართველოში დატრიალებული უბედურება, სტალინიზმის პროდუქტად შეაფასა და დასძინა, რომ ურთიერთშეუთავსებელია სტალინის მუზეუმი საბჭოთა ბელადის განდიდების ლექციებით და საქართველოს სწრაფვა ცივილიზებული მსოფლიოსკენ (ინტერნეტწყარო №4).

გორში სტალინის ძეგლის ადგილას უნდა დადგმულიყო სტალინური საბჭოთა რეპრესიების შედეგად დაღუპული ადამიანების ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალი, რომლის მაკეტის შესარჩევად კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ 2010 წელს საერთაშორისო კონკურსი გამოაცხადა. ნამუშევრები საკონკურსო პროექტები 2011 წლის 21 იანვრიდან 30 იანვრის ჩათვლით გამოფენილი იყო თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზში.

წარმოდგენილი 42 პროექტიდან თამარ კვესიტაძისა და პაატა სანაიას სკულპტურამ „ამაოებას არ ამოება“ გაიმარჯვა. 5 მეტრიანი ბეტონის ქანდაკება განასახიერებდა დაჩეხილი ადამიანების ერთობას, რომლებიც მიუხედავად ჭრილობებისა წინ მოიწევენ. სკულპტურის სახელწოდებად აღებულ იქნა კოტე უბანებიშვილის ზემოთაღნიშნული ფრაზა, ხოლო ძეგლის ავტორების თანახმად ის გამოხატავდა „რომ რაც ამაოებაა, არ უნდა ჩაეჭიდო, არ უნდა ა მო ე ბა. არადა, ეს ხშირად ხდება ჩვენ ცხოვრებაში. ძეგლთან ამ ფრაზას ხაერთო თუნდაც ის აქვს, რომ სტალინის კულტიც ამაოება იყო და ეს დრომ უკვე გამოაჩინა. თუმცა, ნახევარი გორი მაინც ჩაჭიდებულია ამ ამაოებას“ (ინტერნეტწყარო №2).

პრეზიდენტმა სააკაშვილმა ძეგლზე საუბრისას ხაზი გაუსვა, რომ ეს მონუმენტი საქართველოს იდეას განასახიერებდა, „როგორც არ უნდა დაგვანაწერონ, დაგვჩერონ, გვებრძოლონ, მაინც დავდგებით ვეხზე და გავაგრძელებთ სვლას წინ“ (ინტერნეტწყარო №3). მიუხედავად კონკურსის გამარჯვებისა, სკულპტურა სტალინის ძეგლის ადგილას არ აღმართეს. ჩამოთვლილ მიზეზთა შორის ერთ-ერთი, თავად სკულპტურის ვიზუალური მხარე იყო, კერძოდ, ომგამოვლილ ქალქში დაჩეხილი ადამიანების ხილვა ისდაც მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობას კიდევ უფრო დაამძიმებდა. ამიტომაც, არაოფიციალური წყაროების თანახმად ერთი წლის შემდეგ ახალი კონკურსის ჩატარება დაიგეგმა, თუმცა ხელისუფლების ცვლილების გამო ის არ ჩატარებულა.

ძეგლის მოშორების საკითხი ანტირუსული პროპაგანდის გაგრძელების ნაწილად აღიქვა საზოგადოების იმ ნაწილის მიერ რომელიც თავიდანვე ეწინააღმდეგებოდა სტალინის ძეგლის აღების იდეას. ხელისუფლების აღნიშნული ნაბიჯი შეფასდა, როგორც მცდელობა შენარჩულებულიყო აქტუალურობა ქართულ-რუსული ურთიერთობების ნებატიური გამოცდილების პროპაგანდისა, ამასთანავე წაშლილიყო ნებისმიერი სიმბოლური გამოვლინება რომელიც ამ ურთიერთობას პოზიტიური სახით შეასენებდა საზოგადოებას.

სტალინის როგორც მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი უმთავრესი გმირის მიმართ არსებულ პოლიტიკას დაუკავშირდა მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალების საკითხი, რომელიც მსგავსად ბელადის ქეგლისა საბჭოთა მმართველობასთან ასოცირდებოდა და ეროვნული მნიშვნელობის მატარებელი არ ყოფილა. მიუხედავად ვარდების რევოლუციის შემდგომი ხელისუფლების განსაკუთრებული დამოკიდებულებისა გმირების მიმართ, მეორე მსოფლიო ომში დაღუპული მებრძოლები მსგავსად სტალინისა ნაციონალური გმირების სიაში არ ჩაეწერნენ, რადგანაც ისინი საბჭოთა სისტემას ემსახურებოდნენ, რომელსაც საკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენელთა ხედვით საერთო საქართველოსთან არაფერი არ ჰქონია.

ხელისუფლების ამ პოლიტიკის გამოხატულება იყო ქალაქ ქუთაისში არსებული დიდების მემორიალი, რომელიც 2009 წლის 19 დეკემბერს ააფეთქეს¹. მემორიალის აფეთქების მიზეზად მემორიალის ადგილას პარლამენტის მშენებლობის სურვილი დასახელდა, თუმცა ოპოზიციური პარტიებისა და საზოგადოების ნაწილისათვის ეს ფაქტი ხელისუფლების ანტირუსული პოლიტიკის გაგრძელებას წარმოადგენდა.

ეს იმ ფონზე როდესაც საქართველოსა და რუსეთს შორის ომის შემდეგ ურთიერთობა უაღრესად დაძაბული იყო. მემორიალის აფეთქების ოფიციალურ თარიღიად 21 დეკემბერი დასახელდა, რაც სტალინის და საკაშვილის დაბადების დღე იყო. სიმბოლური თვალსაზრისით სწორედ ამ დღეს მონუმენტის აფეთქება განასახიერებდა საბჭოთა წარსულიდან კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმას.

აღნიშნული გადაწყვეტილებით რუსეთი ნამდვილად გაღიზიანდა, რამდენადაც ჯერ კიდევ მონუმენტის დემონტაჟის იდეის გაუღერებისთანავე, კრემლში ის მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისადმი უპატივცემულობის გამოხატულებად შეფასდა. ხოლო მემორიალის აფეთქებდან რამდენიმე კვირის შემდეგ, ქუთაისში

¹ გეგმის თანახმად მემორიალი 21 დეკემბერს უნდა აფეთქებულიყო

დანგრეული მემორიალის ასლის მოსკოვში დადგმის იდეას კენჭი რუსეთის ფედერაციის საკანონმდებლო ორგანოში ეყარა და 448 ხმით არც ერთის წინააღმდეგ გადაწყვეტილება ინიციატივის სასარგებლოდ იქნა მიღებული. მოგვიანებით პრეზიდენტმა პუტინმა საფუძველი ჩაუყარა მემორიალის მშენებლობას. დიდების მემორიალის ანალოგის მშენებლობასაც თავის მხრი რუსულმა მხარებ სიმბოლური დატვირთვა მიანიჭა. მონუმენტის ავტორმა მერაბ ბერძენიშვილმა აღდგენის პროცესში ჩართვაზე უარი განაცხადა იმ პრინციპით, რომ მას ესკიზები აღარ ჰქონდა. საბოლოო ჯამში მოსკოვში დადგმულ მონუმენტს სახელიც კი სიმბოლური დატვირტვის მატარებელია, მას „ფაშიზმის წინააღმდეგ ჩვენ ერთად ვიყავით“ უწოდეს, და მონუმენტი კომპოზიციურად გამოხატავს ფოტოს სადაც მელიტონ ქანთარიასა და მიხაილ ეგოროვს რაიხსტაგზე საბჭოთა დროშა ააქვთ. ხოლო ქუთაისში აფეთქებული დიდების მემორიალი წარმოადგენს კომპოზიციის უკანა ხედს. ასევე სიმბოლური დატვირთავ ქონდა იმ ფაქტსაც, რომ მონუმენტის გახსნაზე მიწვულ სტუმრებს შორის ქართვალი პოლიტიკოსებიც იყვნენ. (ინტერნეტწყარო №22).

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ რუსი პოლიტიკოსების საპასუხო შეფასებისას აღნიშნულ ფაქტში დამნაშავედ საქართველოს ხელისუფლება, როგორც ცალკე მხარე გამოყავდათ და ამ პროცესში თავად საქართველოს მოსახლეობა არანაირად არ იყო გარეული.

§6.2. ფაშიზმზე გამარჯვების დღე 9 მაისი თუ 8 მაისი

იოსებ სტალინის ერთ-ერთი უმთავრეს მიღწევათა შორის მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვება სახელდება. შესაბამისად, ისევე როგორც საბჭოთა კავშირში, თანამედროვე რუსეთში 9 მაისი ეროვნული სიამაყის საგანს წარმოადგენს და ერთ-ერთი იმ საკვანძო საკითხთაგანია, რომლის ყოფილ მოქავშირე რესპუბლიკათა მიერ გადახედვა დიდ გულისწყრომას იწვევს. ომის

დამთავრების თარიღი ერთგვარი სიმბოლო, კოლექტიური მეხსიერების მნიშვნელობანი ასპექტია.

აღნიშნულ ომში გავრცელებული ინფორმაციით საქართველოდან დაახლოებით 700 000 ადამიანი დებულობდა მონაწილეობას, რომელთაგან 300 000 -მდე შეეწირა ამ ბრძოლას. შესაბამისად, ვეტერანთა დიდი რაოდებობის, თუ სტალინის ქართველობის გამო, 9 მაისი საქართველოში ერთ-ერთ პომპეზურად აღნიშვნად დღესასწაულს წარმოადგენდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 9 მაისი, როგორც დიდ სამამულო ომში გამარჯვების თარიღის საზეიმო აღნიშვნა გაუქმდა, მაგრამ ედუარდ შევარდნაძის საქართველოში დაბრუნების შემდეგ ისევ აღსდგა. შესაძლოა ამ ფაქტის ლავირების პოლიტიკის ნაწილად განხილვა, რომელსაც ხელისუფლება ატარებდა ჩრდილოელი მეზობლის მისამართით.

რუსეთ საქართველოს ომამდე მელიტონ ქანთარია ერთ-ერთი იმ გმირთაგანი იყო, რომლის ქართული წარმომავლობა და გმირობა საამაყო თემატიკას განეკუთვნებოდა, მაგრამ რუსეთთან ურთიერთობის დაძაბვის და საბჭოთა წარსულის გადახედვისას სიმბოლისტური პოლიტიკის გააქტიურების შემდეგ ერთ-ერთი საკითხი, რომელსაც “ვარდების რევოლუციის” შემდგომი ხელისუფლება შეეხო მეორე მსოფლიო ომის შეფასების და მასში ქართველების მონაწილეობის საკითხი იყო.

განსხვავებული თარიღები წარმოშვა იმ ფაქტმა, რომ გერმანიამ კაპიტულაციას ხელი მოაწერა ევროპული დროით 8 მაისს 22 საათსა და 45 წუთზე, ამ დროს კი საბჭოთა კავშირში უკვე 9 მაისი იყო.

მეორე მსოფლიო ომს განსხვავებულად აღიქვამენ პოსტ-საბჭოთა სივრცეში და მსოფლიოს დანარჩენ ნაწილში. საბჭოთა კავშირისათვის და დღესდღეობით მისი სამართალმემკვიდრე რუსეთისათვის აღნიშნული ბრძოლა შეფასებულია, როგორც დიდი სამამულო ომი, რომლის ნარატივი და მასში კოალიციის

მონაწილეობის საკითხი იცვლებოდა საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებთან ერთად¹.

დასავლური გაგებით ის მეორე მსოფლიო ომია, როდესაც მოხდა პიტლერის დამარცხება და ამით კაცობრიობა უფრო დიდ კატასტროფას გადაურჩა. აღნიშნული განსხვავებულ აღქმას კიდევ უფო მეტად ამძაფრებდა ის ფაქტი, რომ უკროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ გერმანული ნაციზმი და საბჭოთა სტალინიზმი ერთმანეთს გაუთანაბრა და ორივე დაგმო. ტოტალიტარიზმის მსხვერპლთა დღედ კი - 23 აგვისტო, მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის გაფორმების თარიღი დააწესა.

¹ მუდმივად აქცენტირება იმაზე, რომ საბჭოთა კავშირს გარს არტყია არათუ მეგობრები და მოკავშირები, არამედ მტრები მეორე მსოფლიო ომის გამოცხადებისთანავე შეწყდა, მეტიც აღმოჩნდა, რომ საბჭოთა კავშირს ჰყავდა მეგობრებიც და მოკავშირებიც. მაგალითად, 1941 წელს ოქტომბრის რევოლუციის იუბილეზე ი. სტალინმა განაცხადა, რომ ინგლისმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიაღწიეს ელემენტარულ დემოკრატიულ თავისუფლებას “მათ აქვთ პროფკავშირები პარტიები პარლამენტი..... ” ამ შეხედულებამ მაშინ ასახვა პპოვა ისტორიოგრაფიაშიც.

1945 წლის პანკრატოვას რედაქციით გამოსულ სსრკ-ს ისტორიაში სტალინი ნორმანდიის დაკავებას აფასებდა, როგორც “ბრწყინვალე მიდწვევას” და, რომ “ომების ისტორიამ არ იცის სხვა მსგავსი მაგალითი სამხედრო ხელოვნების ასეთი ოსტატობის ჩვენებისა.”

ერთი წლის შემდეგ აღნიშნული წიგნი ჩანაცვლებულ იქნა ახალი რედაქციით, რომელშიც იკითხებოდა, რომ 1944 წლის 6 ივნისს, მოკავშირეთა ძალებმა განახორციელეს ჩრდილო საფრანგეთის დაკავება. აღნიშნულმა ტექსტმა საბოლოო სახე შოსტაკოვის სტალინური პრემიის მფლობელ სახელმძღვანელოში მიიღო, რომლის თანახმადაც ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები ომის სამი წლის განმავლობაში ყოველი საშუალებით ცდილობდნენ მეორე ფრონტის გახსნისგან თავის არიდებას, მაგრამ საბჭოთა არმიის გრანადიოზული გამარჯვებების შემდეგ ნათელი გახდა, რომ შეიძლება მან მარტოკამ დაამარცხოს მტერი, დაიკავოს გერმანიის ტერიტორია და გაანთავისუფლოს დასავლეთ ევროპა საფრანგეთის ჩათვლით. 1944 წლის ივლისში ინგლისმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დატოვეს ინგლისი და დაბანაკდნენ საფრანგეთის ჩრდილოეთ სანაპიროზე. ამრიგად საბჭოთა ნარატივი მკვეთრად პოზიტიურიდან ნეგატიური შეფასებისკენ სულ რამდენიმე წელიწადში შეიცვალა და საბოლოოდ მივიდა დასკანამდე: “საბჭოთა კავშირმა ომი მარტომ მოიგო” (Yakobson, S. 1949. pp.127-128)

იმ ფონზე, როდესაც ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა საუკუნის ყველაზე დიდი გეოპოლიტიკური კატასტროფა იყო, ბუნებრივია ამ ორი ნარატივის ურთშეთავსება ძალზედ რთულია.

საქართველოში პოსტსაბჭოთა ნარატივის გადაწერასა და რუსეთისაგან დისტანცირების ფონზე ბუნებრივია დრის წესრიგში დადგა არჩევანის გაკეთების საკითხი, როგორ და როდის უნდა აღინიშნოს ეს დღე, როგორც მეორე მსოფლიო ომი, თუ როგორც დიდი სამამულო ომი. არჩევანი ფაქტიურად უტოლდებოდა ორიენტაციის და ფასეულობების საკითხს. სიტუაცია უფრო მეტად გაამწვავა იმ ფაქტმა, რომ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ქართველ ხალხს და ვეტერანებს 2009 წელს მიულოცა სამამულო ომში გამარჯვების 64 წლისთავი და ხაზი გაუსვა, რომ ქართველ ხალხს მშვიდობას, სიკეთეს და თანხმობას უსურვებდა.

მნიშვნელოვანი ასპექტი რუსეთის პრეზიდენტის მოლოცვაში ის იყო, რომ საქართველოს და რუსეთის ფედერაციას შორის დღეს დაძაბული ურთიერთობის აღდგენის პერსპექტივად „ხაერთო იხტორიული წარხული, კეთილმეზობლობისა და მეგობრობის ტრადიციები“ ესახებოდათ და ამასთანავე პირდაპირი ადამიანური კონტაქტები, კულტურულ და საზოგადოებრივ სფეროებში თანამშრომლობა ქართულ და რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის კავშირები აღნიშნულ იმედებს კიდევ აძლიერებდა (მედვედევი დ. 8 მაისი, 2009). საქართველოს არსებული ხელისუფლების არყოფნამ ამ დისკურსში კიდევ უფრო გააძლიერა არსებული დაძაბულობა და საბოლოოდ დასვა საკითხი თუ როდის უნდა აღენიშნათ დღესასწაული 8 თუ 9 მაისს.

დისკურსი აღნიშნული საკითხი 2009 წლის 8 მაისს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ შემოიტანა. მან საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან ერთად ყვავილებით შეამკო, ვაკის პარკში, უცნობი ჯარისკაცის საფლავი. ვაშაძის თქმით, რუსეთი სეპარატიულად, ისევე როგორც სხვა მრავალს, ამ თარიღსაც 9 მაისს აღნიშნავს. მაშინ როდესაც დანარჩენი

ციკილიზებული მსოფლიოსათვის ფაშიზმი 8 მაისს დამარცხედა (ინტერნეტზეარო №).

საგარეო საქმეთა მინისტრის აღნიშნული განცხადების შემდეგ მეორე მსოფლიო ომის აღნიშვნის თარიღი საზოგადოების დისკუსიის საგანი გახდა. მოგვიანებით საკითხს დაემატა კიდევ ერთი ასპექტი, თუ რა იყო საქართველოში 8 თუ 9 მაისის აღნიშვნის მიზეზი: ფაშიზმზე გამარჯვების აღნიშვნა თუ საჭოთა დღესასწაულისადმი პატივის მიგება?!

პირველი საკითხი იყო თუ რამდენად უნდა აღგვენიშნა სტალინის კოალიციის წევრობა და წითელ არმიაში სამსახური არა თავისუფალი, არამედ დაპყრობილი ქვეყნის სტატუსით. ხელისუფლების არგუმენტების თანახმად ქართველები არამხოლოდ წითელ, არამედ მოწინააღმდეგებე, ჰიტლერის არმიაშიც იბრძოდნენ. გერმანელებთან მებრძოლ ქართველებს ჰქონდათ გათვლა, რომ ნაციზმის გამარჯვებით საქართველოს დამოუკიდებლობას დაუბრუნებდნენ, წითლების მხარეს მებრძოლებს არანაირი ნაციონალური მიზანი არ ქონიათ. 8 თუ 9 მაისს გამარჯვებით საქართველოში ტოტალიტარიზმი არ დამარცხებულა, ის კვლავაც გაგრძელდა. მაშინ ხომ არ აჯობებს ტოტალიტარიზმის დამარცხებასთან ერთად კომუნიზმის დამარცხების დღეც ავღნიშნოთ თუნდაც 31 დეკემბერს სსრკ-ს დაშლის დღეს.

საზოგადოების მეორე ნაწილისთვის მეორე მსოფლიო ომის აღნიშვნა ციკილიზებულ სამყაროს წევრობასთან ასოცირდებოდა. დაღუპულმა ქართველებმა თავიანთი სიცოცხლით შეიტანეს წვლილი ნაციზმის დამარცხებაში და მათზე ხაზის გადასმა დაუშვებელი იყო.

აღნიშნული დისკუსიიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ 8 მაისის დაწესების ძირითადი მიზანი საბჭოთა ისტორიიდან გაქცევის მცდელობა და ციკილიზებული სამყაროს ნაწილად გაწერის მცდელობა იყო. ევროპის სახელმწიფოთა არჩევანზე აპელირებით ხელისუფლება ქმნიდა ერთგვარ მესიერების ნიმუშს, მოდელს, რომლითაც საზოგადოებას უნდა ეხელმძღვანელა.

§6.3. წარსულის ფალსიფიკაციასთან ბრძოლა რუსეთის ფედრაციაში

ისტორიკოსების როლი წარსულის თხრობისას უმნიშვნელოვანესია, რამდენადაც ისინი ქმნიან იმ ნარატივს, რომელსაც საზოგადოება იმახსოვრებს, რომელიც იქცევა კოლექტიურ მეხსიერებად და აყალიბებს განწყობას მოვლენათა მიმართ. ისტორიის, როგორც მეცნიერების სიზუსტის შესახებ ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები არსებობს. თუმცა ისტორიკოსის, როგორც ჭეშმარიტების მაძიებლის ფუნქცია და მისი ზეგავლენის შესაძლებლობები ნარატივის ფორმირების პროცესში საზოგადოებაში ფართოდ აღიარებულ თემას წარმოადგენს.

XX საუკუნის ისტორიოგრაფიაში დომინანტური ადგილი ეკავა პოზიტივისტურ მიდგომას, რომლის თანახმადაც წარსულის ობიექტური შესწავლა და გადმოცემა შესაძლებელი იყო და ცდილობდნენ ისტორიოგრაფია ჭეშმარიტების თხრობის ჩარჩოში მოექციათ, რამდენადაც ჭეშმარიტების წყაროს ისტორიკოსები უშუალოდ არქივებში, დოკუმენტებსა და პირველად მონაცემებში ეძებდნენ და მათზე დაყრდნობით მოუთხობდნენ საზოგადოებას წარსულის შესახებ (Lopes, C. 1998).

XX ს-ში აღმოცენებულმა კონსტრუქტივისტულმა ხედვამ ისტორიის შინაარსი ისტორიკოსის წინაშე დასახულ მიზანს დაუქვემდებარა და აქცენტი დიდგვაროვანთა ყოფის აღწერიდან, რომელიც აქამდე დომინანტური იყო, სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე და უბრალო ადამიანების ცხოვრებაზე გადაიტანეს. ხოლო XXI საუკუნეში მდგომარეობა გაიმყარა დეკონსტრუქტივისტულმა ხედვამ, რომელიც ისტორიის შექმნისას აქცენტს მმართველი წრეების და მათი ინტერესების დიდ ზეგავლენაზე და პეგმონური ნარატივების არსებობაზე ამახვილებს ყურადღებას. სწორედ ეს უკანასკნელი ძლევა საშუალებას ვისაუბროთ პოლიტიზირებული ისტორიის შესახებ, რომლიც, როგორც წესი, პოლიტიკურ დღისწესრიგს არის მორგებული და მიზნად

გადაწყვეტილებათა ლეგიტიმაციის ამაღლებას, საზოგადოების მისადმი მხარდაჭერას ისახავს მიზნად.

„ჰეშმარიტი“ ისტორიის გამოვლენის საკითხი განსაკუთრებით მწვავეა გარდამავალი საზოგადოებებისთვის, რომელმაც ტოტალიტარული ან ავტორიტარული მმართველობა გამოიარა. საზოგადოების ინტერესს სამართლიანობის აღდგენა წარმოადგენს, ხოლო ხელისუფლებისათვის აღნიშნული საკითხი ერთის მხრივ ლეგიტიმურობის, ხოლო მეორეს მხრივ მორალური კათარზისის გავლის საშუალებას წარმოადგენს.

ამ მიმართულებით მეხსიერების პოლიტიკის ფორმირებისას ერთ-ერთ გავრცელებულ სტრატეგიას ისტორიული ჰეშმარიტების დამდგენი კომისიების ფორმირება წარმოადგენს. აღნიშნული კომისია, როგორც წესი მიზნად ისახავს გამოიკვლიოს წარსული დანაშაულები, ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები, რომელიც როგორც წესი წინა მმართველობის დროს განხორციელდა. აღნიშნული კომისია ასევე მომავალი თაობათა განათლებასაც ისახავს მიზნად რათა გააცნოს წარსულის საშინელებები, რომ მომავალში ვერავინ შეძლოს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების უარყოფა.

ამასთანავე კომისია მიჩნეულია როგორც პოლიტიური იარაღი, რამდენადაც გადაწყვეტილებას მისი შექმნის შესახებ დებულობები არა ისტორიკოსები, არამედ პოლიტიკოსები¹. განსხვავებით ისტორიის დიდაქტიკური დანიშნულებიდან ის უფრო მეტად წარსულთან, წინა მმართველობასთან დისტანციებას, მის არადემოკრატიულობის დამტკიცებას ცდილობს.

ისტორიული სინამდვილის დამდგენი კომისიები შესაძლებელია დახასიათდეს, როგორც „ოფიციალური, დროებითი, არასასამართლო ფაქტების დამდგენი ორგანო, რომელიც ცდილობს ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული

¹ გერმანიაში კომისია შეიქმნა პარლამენტის მიერ, ხოლო ესტონეთში, ლატვიაში, ლიტვასა და რუმინეთში პრეზიდენტის ბრძანებით.

სამართლის დარღვევის მამხილებელი ფაქტების გამოვლენას (Amnesty International, 11 June 2007.). კომისიები, როგორც წესი:

- ორიენტირებული არიან წარსულის შესწავლაზე;
- უფრო ხშირად სწავლობენ არა მხოლოდ ერთ კონკრეტულ მოვლენას არამედ პერიოდს;
- არიან გარკვეული ვადით შექმნილი, როგორც წესი ეს ვადა მერყეობს ექვსი თვიდან ორ წლამდე და მუშაობას ასრულებენ ანგარიშის შექმნით;
- არიან ოფიციალურად სანქციონირებული სახელმწიფო ინსტიტუციის მიერ (Hayner, B. Ash, T. 2002. p14);

გავრცელებული ტიპოლოგიზაციის თანახმად ისტორიული ჭეშმარიტების დამდგენი კომისია მიზნად ისახავს:

- ავტორიტეტული ჩანაწერების მომზადება თუ რა ხდებოდა წარსული რეჟიმის განმავლობაში;
- მსხვერპლთათვის ისეთი პლატფორმის შექმნა, რომელიც საშუალებას მისცემს საზოგადოებისათვის საკუთარი იდეების გაზიარების შესაძლებლობას;
- საკანონმდებლო, სტრუქტურული და სხვა სახლი ცვლილებები, რათა მოხდეს დანაშაულებათა პრევენცია;
- გამოვლენა იმ პირებისა, რომლებიც იყვნენ პასუხისმგებლები აღნიშნული დანაშაულის ჩადენაში (Popkin M. Roht-Arriaza N. 1995. pp 79.);

ბოლო 40 წლის განმავლობაში კერძოდ 1974 წლიდან 30-ზე მეტი ჭეშმარიტების დამდგენი კომისია შეიქმნა აფრიკაში (სამხრეთ აფრიკა, უგანდა, ლიბია, მაროკო,

ზიმბაბვე ჩადი, ბურუნდი ნიგერია და სიერა ლეონე), აზიაში (შრი ლანკა, ნეპალი და სამხრეთ კორეა), ცენტრალურ და ლათინურ ამერიკაში (პაიტი, ბოლივია, ურუგვაი, ელ სალვადორი არგენტინა, გვატემალა, ჩილე, ეკვადორი, პანამა და პერუ) და თვით კანადაშიც კი სადაც დამყარდა ახალი დემოკრატიები, ხელისუფლებაში მოვიდნენ ახალი მმართველები, რომლებიც სწორედ ისტორიული ჰეშმარიტების დამდგენი კომისიის საშუალებით შეეცადნენ გაეანალიზებინათ წარსული, ეპოვათ სამართალი და ეზრუნათ დაყოფილი საზოგადოების შერიგებაზე.

ისტორიული სინამდვილის დამდგენი კომისიები საბჭოთა სისტემის დაშლის შემდეგ რამდენიმე სახელმწიფოში შეიქმნა და მიზნად საბჭოთა დანაშაულების გამოვლენას ისახავდა მიზნად. მათ შორის იყო გერმანია, რუმინეთი და ბალტიის სახელმწიფოები, მოგვიანებით მათ საქართველოც შეუერთდა და ეს უკანასკნელი პვლევის პიპოთეზის თანახმად სწორედ ბალტიისპირეთის სახელმწიფოების მაგალითის გათვალისწინებით შეიქმნა.

პოსტსაბჭოთა კომისიებს მართალია თითოეულ ქვეყანაში გარკვეული თავისებურება ახასიათებს, მაგრამ მათგან შესაძლებელია გერმანული და რუმინული მაგალითების გამოყოფა, ხოლო ბალტიისპირეთის შემთხვევები მეტ-ნაკლებად შესაძლებელია გაერთიანდეს ერთ ჯგუფად.

პირველი კომპონენტი, რითაც გერმანიის მაგალითი განსხვავდება სხვა სახელმწიფოებისგან და მათ შორის ქართული შემთხვევისგანაც არის საზოგადოების ინფორმირებულობის საკითხი. გერმანიაში აღნიშნული კომისიის მუშაობას თან ახლდა სახალხო განხილვები¹ თუმცა განსხვავებით სამხრეთ-

¹ კომისიის მუშაობისას 1992 წლის მაისიდან 1994 წლის მაისამდე კომისიის მუშაობის ფარგლებში მოეწყო 44 საჯარო განხილვა, 40 დამატებით დახურული განხილვა და 150 შეხვედრა კომიტეტთან, იმ საკითხების განსახილველად, რომელიც საზოგადოებასი ყველაზე მტკიცნეულად აღიქმებოდა. კომისიის მუშაობის შედეგიდ გამოიცა 148 აკადემიური ნაშრომი, რომელიც 95 ძირითად საკითხს შეეხებოდა. (McAdams A. 2001)

აფრიკის კომისიისგან დამნაშავეებისა და მსხვერპლთა პირისპირ შეხვედრების ორგანიზება არ მომხდარა; სხვა სახელმწიფოებში კომისიის მუშაობა დახურულად და საზოგადოებისგან იზოლირებულად მიმდინარეობდა; თუმცა განსხვავებით სხვა კომისიებისაგან ლატვიაში კომისიის შედეეგების გაცნობა საზოგადოებისათვის კონფერენციათა სერიის საშუალებით მოხდა, სადაც დასწრება თავისუფალი იყო და ჩართულობის კომპონენტს ამ ეტაპზე გარკვეულწილად აკმაყოფილებდა.

ბალტიის პირეთის სახელმწიფოები ცდილობდნენ შეესწავლათ ოკუპაციის გველა მიმართულება, რომელივ ქვეყანამ გამოიარა, კერძოდ, ლიტვის კომისია სწავლობდა ლიტვის ოკუპაციის საკითხს როგორც ნაცისტების, ასევე კომუნისტების მიერ, შესაბამისად კომისია მოიცავდა ორ კომიტეტს, რომელიც აღნიშნული მიმართულებით მუშაობდა; ესტონეთის შემთხვევაში იკუპაციის საკითხი ქრონოლოგიურად იყო დაყოფილი კერძოდ 1) ესტონეთის ოკუპაცია საბჭოთა კავშირის მიერ 1940-1941 წწ.-ში; 2) ესტონეთის ოკუპაცია ნაცისტური გერმანიის მიერ და 3) ხელახალი ოკუპაცია საბჭოთა კავშირის მიერ. ასევე ლატვის შემთხვევაში კომისიის ერთი ჯგუფი მუშაობდა საბჭოთა კავშირის მიერ 1940-1941 წწ.-ში ლატვიის ოკუპაციაზე, ორი ჯგუფი ჰოლოკოსტისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის საკითხებზე, ხოლო მეოთხე ჯგუფი 1944-1956 წლებში საბჭოთა კავშირის მიერ ქვეყნის ხელახლა ოკუპაციის საკითხს სწავლობდა.

ისტორიული ჰეშმარიტების დადგენის საკითხი რუსეთის ფედერაციაშიც დაისვა და განსხვავებით ზემოთაღნიშნული სახელმწიფოებისგან, რომლებიც ისტორიის საბჭოთა კავშირისეული ვერსიის გადაფასებას ცდილობდნენ, ამ შემთხვევაში პირიქით კომისია სწორედ საბჭოთა კავშირის ისტორიის რეინტერპრეტირების გამოვლენაც ცდილობდა და მათ წინააღმდეგ იყო მიმართული.

რადგანაც საქართველოში ისტორიული სინამდვილის შემსწავლელი კომისია გარკვეულიწილად გამოძახილსაც წარმოადგენს კომისიის გადავწყვიტეთ ეს უკანასკნელიც გაგვეანალიზებინა, მითუმეტეს, კომისიის წევრთა განცხადების თანახმად ისტორიის არასწორი ინტერპრეტაციის ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს საქართველო და მისი ხელისუფლება წარმოადგენდა.

რუსეთის ფედერაციაში წარსულის აღქმა პოლიტიკური კურსის და დღის წესრიგის ცვლილებაზეა დამოკიდებული. პრეზიდენტ ვ. პუტინის პრეზიდენტობის მეორე ვადის ბოლო წლებში და განსაკუთრებით დ. მედვედევის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ცენტრალურმა ხელისუფლებამ აქტიურად დაიწყო უახლესი წარსულის შეფასების გაკონტროლება და მტკიცება იმისა, რომ საბჭოთა წყობილება სულაც არ იყო ცუდი. მართალია, მას ქონდა გარკვეული შეცდომები, მაგრამ ჰყავდა ისეთი გენიოსი, როგორიც იოსებ სტალინია, რომლის ძლიერმა მენეჯერულმა უნარმა მეორე მსოფლიო ომის მოგება დიდწილად განაპირობა. აღნიშნული შეხედულება აისახა ა. ფილიპოვის რედაქტორობით გამოსულ რუსეთის ისტორიის სახელმძღვანელოში, რომელმაც მოგვიანებით ისტორიის ოფიციალური ვერსიის სახე მიიღო.

ყველაზე ხმამაღალი განაცხადი, რომელმაც, როგორც რუსეთში ასევე მის ფარგლებს გარეთაც დიდი რეზონანსი გამოიწვია „რუსეთის ინტერესების საწინააღმდეგოდ ისტორიის ფალსიფიკაციასთან მებრძოლი კომისიის“ შექმნა იყო, რომელიც უშუალოდ პრეზიდენტ მედვედევის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა. მისი თქმით ამ კომისიის შექმნის აუცილებლობა იმ ფაქტით იყო განპირობებული, რომ “ისტორიის ფალსიფიკაციის მცდელობა სულ უფრო ძალი, ბოროტი და აგრესიული ხდებოდა” (მედვედევი, დ. 07.05.2009). კომისიას დაევალა შეესწავლა ინფორმაცია, ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ფალსიფიკაციის შესახებ, რომელიც მიმართული იყო, საერთაშორისო არენაზე რუსეთის პრესტიჟის შემცირებისკენ, ასევე გაეანალიზებინა სახელმწიფო ორგანოთა ქმედებების კოორდინაცია და მოემზადებინა ადეკვატური რეაგირებისათვის შესაბამისი რეკომენდაციები. რაც შეეხება “ადეკვატურ

რეაგირებას”, კომისიის თითოეული წევრი ერთხმად ამტკიცებდა, რომ დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, არანაირი სადამსჯელო ზომები არ მიიღებოდა, თუმცა 2009 წლის გაზაფხულზე საზოგადოებამ ”**Н о в а յ რ ა ვ ე თ ა**”-ს საშუალებით შეიტყო, რომ მეცნიერებათა აკადემიამ გასცა ინსტრუქცია რეგიონალური ინსტიტუტებისადმი, რათა შეედგინათ ისტორიის ფალსიფიკატორთა სიები. აღნიშნული ფაქტის გახმაურების შემდეგ კომისიაში განაცხადეს, რომ ეს მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივა იყო, ხოლო, თავის მხრივ, აკადემიის განცხადებით სიები დასჯის კი არა, სოციოლოგიური კვლევისათვის დგინდებოდა (ამერიკის ხმა. 15.11.2009).

აღნიშნული კომისია 28 წევრისგან შედგებოდა და მას სათავეში პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი სერგეი ნარიშკინი ედგა, რომელმაც კომისიის მუშაობის მიზანი შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: ისტორიკოსთა მუშაობის ორგანიზება და არა კონიუქტურიდან გამომდინარე დასკვნების გაკეთება. ასევე იმის გარკვევა თუ კონკრეტულად, რომელი ფალსიფიკირებული ფაქტები აყენებენ რუსეთის ინტერესებს ზიანს. მანვე დააკონკრეტა ფალსიფიკირებული ისტორიის კერძი, როგორიც, მაგალითად, მეზობელი სახელმწიფოებია, სადაც ნაცვლად კეთილმეზობლური დამოკიდებულების დამყარების მცდელობისა, დაკავებულნი არიან სხვადასხვა სახის პრეზენტიების წამოყენებით. მათ შორის ტერიტორიული, ეკონომიკური, მატერიალური და ა.შ.. მისი თქმით „ფალსიფიკირის წინადმდეგ“ ბრძოლის ეფექტურ საშუალებად ახალი მასალების, მათ შორის გასაიდუმლოებული დოკუმენტების მოძიება-დამუშავება ესახებოდათ (Нарышкин 31.05.2009).

კომისიის წევრმა ს. მარკოვმა კიდევ უფრო დააზუსტა და გამყალბებელთა შორის “უკრაინა, სააკაშვილის რეჟიმი, ესტონეთისა და ლატვიის ხელისუფლება” მოიხსენია. კომისიის ძირითად მიზნად კი “ისტორიკოსებისათვის ნორმალური პირობების შექმნა” დასახელა, რათა ნორმალური მუშაობის და შესაბამისი ინტერპრეტირების საშუალება მიეცეთ“. თუ რას გულისხმობდა ისტორიკოსების სამუშაო პირობებში მას არ დაუკონკრეტებია. ექსპერტები მიერ ხაზი გაესვა

ხელისუფლების მხრიდან მომავალ სიგნალზე, რომელიც რუსეთის ფედერაციის სინამდვილეში “კარგად მუშაობს”. საწინააღმდეგო შემთხვევაში ისტორიკოსთა ნაშრომები ან არ დაიბეჭდება, ან, უარეს შემთხვევაში, მოხვდება იმ “შავ სიაში”, რომელთა შექმნის მცდელობაზე ზემოთ ვისაუბრეთ. ამასთან, კომისიის მოღვაწეობა ექსპერტთა ნაწილის აზრით, შესაძლებელია აღვიქვათ, როგორც სახელმწიფო იდეოლოგიის ჩამოყალიბება, რაც რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციით აკრძალულია.

თუმცა ს. მარკოვის განცხადება ორი ტიპის ისტორიის არსებობის თაობაზე, სადაც პირველი-განკუთვნილია მხოლოდ პროფესიონალი ისტორიკოსებისათვის, სადაც შესაძლებელია საუბარი ნებისმიერი სიმწვავის ფაქტებზე და იგი დაფარული უნდა იყოს საზოგადოებისათვის, მეორე ისტორიაში კი რომელიც განკუთვნილია პუბლიკისათვის აქცენტი კეთდება პოზიტიურ ურთიერთობაზე, ერთა შორის მეგობრობაზე, მიმანიშნებელი იყო სადისკუსიო სივრცის დახურვის შესაძლებლობაზე, რომელიც ისტორიის ინსტრუმენტალიზაციის ერთ-ერთი ნიშანია.

საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობის საფუძველი შესაძლოა თვით კომისიის შემადგენლობამაც წარმოშვა. 28 წევრიდან 6 იყო მხოლოდ ისტორიკოსი, დანარჩენი ნაწილი დაკომპლექტებული იყო საგარეო დაზვერვის, უშიშროების საბჭოს სხვადასხვა სამინისტროების წარმომადგენლებით და რუსეთის არმიის გენერალური შტაბის უფროსიც კი. კომისიის მდივანი ისააკ კალინინი, რომელიც აქტიური ლობისტი იყო ა. ფილიპოვის “რუსეთის ისტორიის”, სადაც სტალინი მოხსენიებულია, XX საუკუნის ეფექტური მენეჯერის სახელით, ხოლო რეპრესიები კი განხილულია, როგორც “იზდერჟა”. ამასთანავე ამ სახელმძღვანელოში მთელი პარაგრაფი ეთმობა ვ. პუტინის “სუვერენული დემოკრატიის” კონცეფციას.

§6.3.1 საბჭოთა ისტორიის სადაო საკითხები

კომისია მუშაობდა სამი მიმართულებით: უკრაინა, ბალტიის ქვეყნები და საქართველო. ხოლო განსახილველი მოვლენები კი ძირითადად XX საუკუნეს ეხება. ესაა მეორე მსოფლიო ომი და მისი შედეგები. ასევე იალტის კონფერენციის შემდეგ შექმნილი ვითარება. განსაკუთრებული უურადღება ეთმობოდა მეორე მსოფლიო ომის დაწყების მიზეზს და სტალინის პოლიტიკას. გავრცელებული შეხედულების თანახმად, ომის დაწყებაში გერმანიას, იტალიას და იაპონიას ედებოდა ბრალი. მაგრამ ბოლო დროს აქტიურად დაიწყო საუბარი მასში საბჭოთა კავშირის, როგორც ერთ-ერთი აგრესორის როლზე. რაც, ბუნებრივია, რუსეთისთვის, როგორც საბჭოთა კავშირის უშუალო მემკვიდრისთვის, მიუდებელი იყო.

შესაბამისად, კომისიას ზემოთ აღნიშნული ფაქტების განხილვა ევალებოდა. გარდა ამისა, შეიძლება გამოიყოს რამდენიმე კონკრეტული სადაო საკითხი: პოლტავის ბრძოლა; გოლოდომორი 1932-1933წწ.; 1938 წლის 29 სექტემბრის მიუნხენის შეთანხმება; მოლოტოვ-რიბენტოპის პაქტი; კატინის საქმე; დავა რეპრესიის მასშტაბების შესახებ; მსხვერპლი სამხედრო და სამოქალაქო პირთა შორის; ლენდ-ლიზი; II მსოფლიო ომის პერიოდში არსებული სს დაჯუფებების ლეგიტიმაციის პროცესი და ა.შ.

ფალსიფიკაციასთან ბრძოლაში ასევე აქტიურად ჩაბმული იყო რუსეთის თავდაცვის სამინისტრო, სადაც გამოდიოდა ინტერნეტ უურნალი სახელწოდებით: “Военно-Исторический Журнал”. აქ იბეჭდებოდა საკითხები რუბრიკით: “Против Лжи и Фальсификаций”. ამავე უურნალში დაიბეჭდა სამხედრო ინსტიტუტის თანამშრომელ პოლიკოვნიკ ს. კოვალოვის სტატია “Вымыслы и Фальсификации в Оценках Роли СССР Накануне и с Началом Второй Мировой Войны” ავტორი მეორე მსოფლიო ომის დაწყებაში ბრალს სდებდა პოლონეთს, რომელმაც არ დაკმაყოფილა

გერმანიის ტერიტორიული პრეტენზია და იძულებული გახადა თავს დასხმოდა პოლონეთს (ინტერნეტ წყარო №22).. ამ სტატიაში დიდი რეზონანსი გამოიწვია და სამინისტრო იძულებული გახდა განეცხადებინა, რომ მაღალჩინოსანი ავტორის მოსაზრება არ იყო სამინისტროს ოფიციალური შეხედულება, ამის საპასუხოდ პოლონეთის საგარეო უწყებამ მოსთხოვა რუსეთის ფედერაციის ეფექტურობის აქტები აეხსნა თუ რატომ ხვდება მსგავსი შინაარსის სტატიები უწყების ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში (ინტერნეტ წყარო №21)..

გარდა კომისიის შექმნისა რუსეთში მომზადდა აგრეთვე საკანონმდებლო ბაზაც, კერძოდ, რუსეთის დუმამ მიიღო კანონი "ახალ დამოუკიდებელ რესპუბლიკებში უოფილ სსრკ-ს ტერიტორიაზე ნაციზმის და მისი მიმდევრების რეაბილიტაციის შესახებ". კონსტანტინე ზატულინი საუბრობდა ასევე სანქციების აუცილებლობაზე და, მისი თქმით, აღნიშნული აუცილებლად შეეხება უკრაინას ლიტვას და ესტონეთს, „სადაც აქტიურად მიმდინარეობს, ანტისაბჭოთა პოლიტიკა“. ფიზიკური პირებისთვის კანონპროექტი გულისხმობს ფულად ჯარიმას 300 ათას რუბლამდე, ასევე პატიმრობის სამ წლიან ვადას მძიმე შემთხვევებში (ინტერნეტ წყარო №21), ხოლო სახელმწიფოების დონეზე დიპლომატიური კავშირის გაწყვეტის დონეზე გადაწყდებოდა.

რუსეთისათვის ერთ-ერთ მტკიცნეული საკითხი, მათივე სიტყვებითვე რომ ვთქვათ, „სოკოსავით მომრავლებული“ საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმებია, რომლებიც სხვა არაფერია თუ არა „რუსოფონის და სიძულვილის დანერგვა ადგილობრივ მოსახლეობაში“ ¹.

¹ აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთი არ არის ის გამონაკლისი სადაც მსგავსი კანონები ფუნქციონირებს. მაგალითად: საფრანგეთში იქრძალება ფრანგულ კოლონიებში საფრანგეთის პოზიტიური როლის უარყოფა, ასევე თურქების მიერ სომხების გენოციდის და პოლოპოსტის უარყოფა. ამ უკანასკნელის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება იკრძალება გერმანიაში და ავსტრიაში.

§6.3.2 საბჭოთა წარულის აღქმა და ისტორიის სახელმძღვანელოების საკითხი რუსეთის ფედერაციაში

რუსეთის ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ისტორიის სახელმძღვანელოებს. ისტორიის ოფიციალური ვერსია, რომელიც სახელმძღვანელოში უნდა ასახულიყო 2003 წელს ვ. პუტინმა, გაახმოვანა როდესაც ახალგაზრდა ისტორიკოსებთან შეხვედრისას ხაზი გაუსვა, რომ ისტორიის სახელმძღვანელოები ახალგაზრდებში უნდა იწვევდეს “სიამაყის გრძნობას თავისი ქვეყნის ისტორიისადმი, სამშობლოსადმი”. ასევე 2007 წელს ერთ-ერთ კონფერენციაზე ისურვა, რომ ისტორიის მასწავლებლებმა სტალინის პერიოდი დადებითი მხრით წარმოადგინონ, რადგანაც მან შექმნა საბჭოთა კავშირის სიდიადე და მოუგო ომი პიტლერს, ხოლო მისი შეცდომები, სულაც არ ყოფილა განსაკუთრებული და განსხვავებული. სწორედ მსგავსი შინარსისაა ა. ფილიპოვის “რუსეთის უახლესი ისტორია”, რომელიც 1945-2006 წლებს მოიცავს. სახელმძღვანელოში სტალინის როლი ცალკე ქვეთავადაა განხილული და ხაზგასმითაა საუბარი, რომ სტალინის მთელი მოღვაწეობა რუსეთის იმპერიის, როგორც ტერიტორიული, ასევე პოლიტიკური ნიშნით აღდგენას ემსახურებოდა (ინტერნეტ წყარო №12).

ზემოთთქმულიდან გამომდინარე, კომისიამაც გვერდი არ აუარა მოცემულ საკითხს. ს. ნარიშკინმა განსაკუთრებით ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ უკანასკნელი 15 წლის მანძილზე შეიქმნა არაერთი სკოლის სახელმძღვანელო, რომელთა დონე და შინაარსი სადაოა, რადგანაც შეიცავს ცდომილებებს ფაქტებსა და ქვეყნის როლთან მსოფლიო პოლიტიკასთან მიმართებაში და კომისიის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი სწორედ სპეციალისტების დახმარებით სახელმძღვანელოების დონის ამაღლება და ისტორიის პოლიტიკური სიცრუისგან გაწმენდა იქნებოდა.

ყურადღების მიღმა არ რჩებოდა ასევე პოსტ-საბჭოთა ქვეყნების ისტორიის სახელმძღვანელოები, რომელთა შესწავლის მიზნით არაერთი კვლევა ჩატარდა,

რათა გაეგოთ როგორ აღიქვამენ ადნიშნული სახელმწიფოები საკუთარ წარსულს. მაგალითად “საზოგადოებრივი ტექნოლოგიების ცენტრმა” და “ევრაზიის მონიტორმა” შეისწავლა 12 ყოფილი საბჭოთა სახელმწიფოს 187 სასკოლო სახელმძღვანელო და მათი თქმით “მრავალი ახალი რამ შეიტყვეს რუსეთის შესახებ”. გამონაკლისს მხოლოდ სომხეთისა და ბელორუსის სახელმძღვანელოები წარმოადგენდა. დანარჩენში ისტორიული ფაქტები და მოვლენები გაყალბებული და „ნაციონალურ ინტერესებზე იყო მორგებული“. მაგალითად აზერბაიჯანის მე-6 კლასის ისტორიის სახელმძღვანელოში წერია, რომ აზერბაიჯანელთა წინაპრები შუმერების თანამედროვენი არიან, რადგანაც თავდაპირველი ცნობები მათ შესახებ შუმერულ ეპოსებში მოიპოვება. ხოლო საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოების რუკებში საქართველოს ფარგლებში მოხსენიებულია თანამედროვე აზერბაიჯანის, რუსეთის და თურქეთის ტერიტორიები. მათი დასკვნით ისტორიის სახელმძღვანელოები რუსეთს ბრალს სდებენ გენოციდში. მაგალითად, ყირგიზეთში, უკრაინაში, ხოლო აზერბაიჯანში სსრკ-ს და რუსეთის მთელი პოლიტიკა ამგვარადაა შეფასებული.

რაც შეეხება მეორე მსოფლიო ომის შეფასებას, თითქმის ყველა, განსაკუთრებით კი საქართველოს, მოლდავეთის და უზბეკეთის სახელმძღვანელოები საბჭოთა რუსეთს აგრესორად რაცხავენ და ფაშისტურ გერმანიასთან ერთად თანაბარ ბრალს სდებენ ომის დაწყებაში.

„საქართველოში უკვე პირველი კლასის სახელმძღვანელოდანვე საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აქტზეა საუბარი, რომელიც 1991 წლის 9 აპრილს მიიღეს. იქ კონკრეტულად ნათქვამია: 1921 წლის ოქტომბერ-მარტში საბჭოთა რუსეთმა შეიარაღებული აგრესიის გზით საქართველოს სახელმწიფოს ოკუპაცია განახორციელა, რასაც შემდგომ ფიზიკური ანექსია მოჰყვა. საქართველოს მთელს ყოფნას საბჭოთა კავშირში თან სდევდა სისხლიანი ტერორი და რეპრესიები... კვლევის ავტორების თქმით სახელმძღვანელოებში საერთოდ არ არის ნახსენები თუ რა სარგებელი მიიღეს ყოფილი სსრკ-ს

რესპუბლიკებმა. მეტიც გამოკვეთილია “აბსოლუტური ბოროტების” თეორიისკენ მიბრუნების პროცესი, რომელსაც რუსეთი განასახიერებს (ინტერნეტ წყარო №13).

ამრიგად, რუსეთის ფედერაციაში წარსული აღიქმება როგორც ოფიციალური იდეოლოგიის ნაწილი და მორგებულია ქვეყნის თანამედროვე გამოწვევებს. რომელიც, თავის მხრივ რუსეთის, როგორც ზესახელმწიფოს ადგილის დაბრუნებას ისახავს მიზნად საერთაშორისო არენაზე. რუსეთის შემთხვევაში პრობლემას სადისკუსიო სივრცის არ არსებობა, არქივების დახურვა და სახელისუფლებო წრეების მიერ მიღებული ვერსიის არსებობა ქმნის.

საქართველოს როგორც ისტორიის ფალსიფიკაციის ერთ-ერთი წყაროს აღქმა დაპირისპირებული ნარატივების წარმოშობის და მათი როგორც პოლიტიკური ფაქტორის გამოყენებისთვის ქმნის საფუძველს.

§6.4. საქართველოს ისტორიული სინამდვილის დამდგენი კომისია

ომის დამთავრებიდან რამდენიმე თვეში საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის მინისტრად დაინიშნა ნიკოლოზ რურუა, რომელიც ცნობილი იყო, როგორც ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელი. აღნიშნულ ცვლილება ხელისუფლების არგუმენტაციით სწორედ კულტურის პოლიტიკის დიდმა მნიშვნელობამ განაპირობა. მოგვიანებით კი თავად მინისტრმა ქართულ კულტურაზე საუბრისას მას „სახელმწიფოებრიობისა და იდენტობის საფუძველი“ უწოდა. საქართველოს მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობის აღნიშნული ცვლილება ექსპერტების მიერ რეალური ომის ქაღალდზე გადატანად იქნა შეფასებული.

საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება გამოიწვია კენტის უნივერსიტეტის (აშშ) დოქტორანტ ვასილ რუხაძის სტატიამ, (ინტერნეტ წყარო №14) რომელშიაც ის რუსეთის 200 წლიანი მმართველობის წინააღმდეგ კოლექტიური მესიერების შექმნის აუცილებლობაზე საუბრობდა და ამ პროცესში გადამწყვეტ როლს

სწორედ ხელისუფლებას ანიჭებდა. მისი თქმით: კოლექტიური მეხსიერების შექმნას ერები და საზოგადოებები ხშირ შემთხვევაში ტრაგიკული და სისხლიანი ოკუპაციების შემდეგ იწყებენ, რათა ოკუპაციით შერყეული ეროვნული იდენტობა და ეროვნული ერთიანობის ჩამოყალიბებას შეუწყონ ხელი... რაც საქართველოში ვერ მოხერხდა და ამის შედეგია რომ დღესაც არსებობს კოლაბორაციონისტების წარმოშობის საფრთხე. ამ გამოწვევის საპასუხო ერთ ერთ აუცილებელ ნაბიჯად ავტორს ისტორიული სიმართლის დამდგენი კომისიის ჩამოყალიბება მიაჩნდა. რუსების სტატიის გამოქვეყნება წინ უსწრებდა კომისიის ჩამოყალიბების შესახებ პრეზიდენტის განცხადებას, რაც მისი განცხადებით შემთხვევითი იყო (სიღრმისეული ინტერვიუ ვ. რუსებესთან 4 ივლისი, 2014).

ისტორიული სიმართლის სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საზოგადოებას 2010 წლის 9 აპრილს ოკუპაციის მუზეუმიდან განცხადა „დღეს როგორც არასდროს საჭიროა ამ ისტორიის შესწავლა, რაც აუცილებელია ბრძოლის გასაგრძელებლად და მოვლენათა უარესი განვითარების თავიდან ასაცილებლად“. მიუხედავად იმისა რომ მაშინვე გაცხადდა რომ აღნიშნული კომისიის ხელმძღვანელი ვასილ რუსაძე იქნებოდა, ხოლო მდივანი თორნიკე შარაშენიძე, უშუალოდ კომისის შექმნის ოფიციალური აქტის ხელმოწერას რამდენიმე თვე დასჭირდა და იგი ოფიციალურად 2010 წლის 5 აგვისტოს სწორედ 9 აპრილის განცხადების საფუძველზე გამოცხადდა შექმნილად.

კომისიის დებულების თანახმად მისი ძირითადი მიზანია საქართველოს XIX-XX საუკუნეების ისტორიული მეხსიერების, საქართველოში რუსეთის იმპერიის 200-წლიანი პოლიტიკისა და მისი შედეგების შესწავლა და საფუძვლიან სამეცნიერო-ისტორიულ კვლევა-ძიებაზე დამყარებული დასკვნა-რეპორტის მომზადება, რომელიც სრულად აღწერს საქართველოს მიერ ცარისტული და საბჭოთა რუსეთის ოკუპაციის პერიოდში გადატანილი ისტორიული ძალადობის ფაქტებს. კომისიამ აღნიშნული ნაშრომი 2010 წლის 15 დეკემბრამდე უნდა

წარედგინა. აღნიშნული ფაქტი საზოგადოების მხრიდან მომდინარე კრიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი გახდა.

ექსპერტების ნაწილის აზრით დროის ასეთ მოკლე მონაკვეთში დირებული ნაშრომის შექმნა, რომელიც ასახავს რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის 200 წლიან პერიოდს, შეუძლებელია. მაგრამ მოგვიანებით თ. შარასენიძემ განმარტა, რომ დოკუმენტი არ იქნებოდა სქელტანიანი სამეცნიერო ნაშრომი არამედ 40-50 გვერდიანი ნაშრომი, რომელიც „მოწოდებულია იმისათვის, რომ წაიკითხოს ჩვეულებრივმა ადამიანმა, რომელიც შესაძლოა საერთოდ არ იცნობს საქართველოს ისტორიას, ან უცხოელებმა, რომლებმაც არაფერი იციან საქართველოს შესახებ.“

დოკუმენტი უნდა ყოილიყო მოკლე და დატვირთული და ითარგმნოს რუსულ და ინგლისურ ენებზე ანუ, ნაშრომი ფართო აუდიტორიისთვისაა განკუთვნილი და არა იმდენად ისტორიკოსებისთვის, ვინც საქართველოს ისტორია ისედაც კარგად იცის. შემდგომში თუ ვინმეს ჩაღრმავება მოუნდება, შეუძლია გაეცნოს მოხსენებებს, რომლებიც დაწერეს ჩვენმა ისტორიკოსებმა და რომლებიც ედება საფუძვლად ამ ჩვენს საბოლოო მოხსენებას“ (ინტერნეტ წყარო №20)

კომისიის ხელმძღვანელის თქმით შეიქმნა 105 გვერდიანი ნაშრომი, რომელიც აღწერდა მე-18 საუკუნიდან საბჭოთა კავშირის დაშლამდე საქართველოს ისტორიას. მიუხედავად იმისა კომისიის ხელმძღვანელის განცხადებით ხელისუფლებამ დადგებითად შეაფასა ორგანოს მუშაობა, თავად დოკუმენტი ჯერჯერობით საჯარო არ გამხდარა (სიღრმისეული ინტერვიუ გ. რუხაძესთან 4 ივლისი, 2014).

განხილვების პროცესში კომისიის წევრების დისკურსიდან იკვეთებოდა რამდენიმე საინტერესო ტენდენცია:

1. ქართველების წვლილი ოკუპაციის პროცესში; კომისიის მუსაობის შედეგად უნდა გაამაღიზდეს არა მხოლოდ როგორიყო

ქართულ რუსული ურთიერთობები, არამედ როგორი იყო თითოეული მხარის როლი იმ პოლიტიკის ფორმირებაში რაც საბოლოო ჯამში მივიღეთ.

(თორნიკე შარაშენიძის განცხადებით გეორგიევსკის ტრაქტატის დადებაში, რომელსაც თავად ნებატიურად აფასებს, დიდი წვლილი მიუძღვის ერეპლე მეორის კარის გარემოცვას, რომლებიც აქტიურად ლობირებდნენ აღნიშნული ხელშეკრულების დადებას (საბჭოთა კავშირის კვლევის ლაბორატორია. 2010);

2. საზოგადოება არ იცნობს ისტორიას ამიტომაც უნდა გავაცნოთ. ადრე არსებული ისტორია ხაზგასმით დადებითად წარმოაჩენდა რუსეთის როლს საქართველოში, მაგალითად რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების დაბრუნებას, მართალია საქართველოსთვის დადებითი შედეგები ქონდა, მაგრამ რუსეთს უფრო მეტად ადარდებდა შავისდვისპირეთში თავისი სტრატეგიული მდგომარეობის გაუმჯობესება ვიდრე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ადდგენა, მითუმეტეს ბათუმის შემოერთების შემდეგ რუსეთნა აქტიურად დაიწყო დემოგრაფიულ მდგომარეობის ცვლილება რეგიონში;

3. წარსულიდან გარკვეული დასკვნების გამოტანის აუილებლობა, რათა მომავალში არ გავიმეოროთ; კომისიის მუშაობის შედეგი უნდა ყოფილიყო ისტორიის, როგორც მასწავლებლის დანიშნულების მატარებელი. 200 წლის მანძილზე რუსეთთან ურთიერთობის ყველა მცდელობა საქართველოსთვის საზიანოდ დასრულდა. შესაბამისად დროა გარკვეული დასკვნების გამოტანის და მომავალში ურთიერთობების სწორედ წარსულის გამოცდილების საფუძველზე დაგეგმვის;

შესაბამისად, ხელისუფლების დისკურსი და დამოკიდებულებები რუსეთის ფედერაციისა და კოლაბორაციონისტების მიმართ ამ დოკუმენტით დებულობდა ლეგიტომაციის უფრო მაღალ, ხარისხს, რამდენადაც აწ უკვე წყაროებზე დაყრდნობით, მეცნიერულ საფუძველზე იქნებოდა ნაჩვენები ის სურათი, რაც შედეგად მოყვა ქართულ რუსულ 200 წლიან ურთიერთობას.

დასკვნა

მესიერების აქტუალიზაცია და მისი გამოყენება სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში უაღრესად აქტუალურ თემას წარმოადგენს. მის აქტუალურობას განსაკუთრებით ხელს უწყობს ის ფაქტი თუკი ქვეყანას აქვს იგივე გამოწვევები, რაც წლების წინ აწუხებდა საზოგადოებას და ასევე გამოირჩევა განსაკუთრებული დამოკიდებულებით საკუთარი წარსულის მისამართით.

საქართველოს შემთხვევა უკელა ზემოთჩამოთვლილ კრიტერიუმს აკმაყოფილებს. რამდენადაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დარღვეული იდენტობის და სახელმწიფოს მშენებლობის საკითხი თავიდან დადგა დღის წესრიგში. საქართველოსთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი თავისებურება სახელმწიფოს მშენებლობის არამემკვიდრეობითობა იყო, კერძოდ, დამოუკიდებლობის აღდგენიდან მოყოლებული თითოეული პრეზიდენტი ქვეყანაში მშენებლობის პროცესს ხელახლა იწყებდა, რაც თავისთავად ზეგავლენას ახდენდა წარსულის მემკვიდრეობის გააზრებისა და მესიერების პოლიტიკის ფორმირების პროცესზე, მის ხასიათსა თუ სტრატეგიაზე.

